140
1975

ეროვნული ბიბლიოთეკა




# პიონერი

10

1975



მარცხნიდან მარჯვნივ: მარინე ქსოვრელი, ნათელა ბუთხუზი. ქრისტინე თათარიშვილი.

# ქართლის ზვრებში

ამ რამდენიმე წლის წინათ, ისიც თქვენსავით სასკოლო მერხთან იჯდა და პიონერული ყელსახვევი ეკეთა.

ყელსახვევი მუდამ გატკეცილი და კოხტად მორგებული ჰქონდა, თუმცა გოგონას ანცსა და მოუსვენარს ეძახდნენ.

მართლაც ერთთავად ასკინკილა კეცავდა კასპის ვიწრო ქუჩებს სკოლიდან სახლამდე, სახლიდან სკოლამდე.

— რამოდენა ენერგია აქვს ამ გალეულს, — ამბობდნენ.

— დამჯდარი არასდროს მინახავს, ეს ყარაჩი, ესა.

— მაგის მიბაძვით მთელი უბნის ბავშვებიც ასკინკილათი დადიან. ფეხსაცმლის ყიდვას ველარ ავუვედით, — ბუზღუნებდნენ მშობლები.

— ეს გოგონა ან ააშენებს და ან დააქცევს ბუთხუზიანთ კერას.

გამხდარი, კაფანდარა გოგონა არად აგდებდა მათ ბუზღუნს. ანდა რა ექნა? თავადაც ძალიან უნდოდა, მაგრამ ვერ ახერხებდა მოსვენებას.

მხოლოდღა გაკვეთილებზე არ იღებდა ხმას, თუმცა იქაც ვერ აჩერებდა ტანს, წრიალებდა. უხმოდ კი იჯდა, მაგრამ ფიქრი მაინც შორს გაურბოდა.

— ეტყობა, უჭირს ყურადღების მობილიზება, — ფიქრობდა კლასის ხელმძღვანელი, როცა საგნის მასწავლებლები შესჩივლებდნენ, და ბავშვთან გაკვეთილების შემდეგ რჩებოდა.

მართალია, ყოველგვარ საქმეს გულს ვერ უდებდა, მაგრამ თუ რაიმე გაიტაცებდა, დააინტერესებდა, მორჩა... სხვას უკვე ველარაფერს ამჩნევდა, აღარც ჭამა ახსოვდა, აღარც ძილი.

ტექნიკა იზიდავდა, ავტომანქანები და ტრაქტორები, ექსკავატორები და ბულდოზერები...

ახლაც კარგად ახსოვს: ერთხელ კაპიკ-კაპიკ შეგროვილი ფულით ნორჩ ტექნიკოსთა მაღაზიაში დიდი ყუთი იყიდა. ყუთზე ექსკავატორი და პატარა ბიჭუნა ეხატა. შინ მისვლისთანავე გახსნა. ყუთი რკინის ნაჭრებით იყო სავსე, იქვე ცალკე ჭანჭიკები და გასაღები ელაგა, ხოლო ყუთის სარქველქვეშ, ფერად ქაღალდზე სხვადასხვა მარკის მანქანები იყო გამოხატული.

იმ ღამეს თვალი არ მოუხუჭავს ნათელა ბუთხუზს. ათასნაირი მანქანა ააგო.

# „კომუნისტებისაგან ვიღებთ მაგალითს“

ბოლოს ისეთნაირი ტრაქტორი შექმნა, სურათზე ნაჩვენებს სულაც არ ჰგავდა, ახლა კი მოეწონა. დიდხანს უყურებდა უცნაურ მანქანას.

— ღმერთო, ეს ხომ ბაგრატ ძიას ტრაქტორსა ჰგავს, ნამდვილად მისი ასლია, ოღონდ ძალზე პატარაა. ხვალ უთუოდ უნდა წავიღო და შევადარო, — ჩაილაპარაკა.

მექანიზატორებმა ნახელავი შეუქეს.

ასე დაიწყო ნორჩი ტექნიკოსის მეგობრობა ოკამის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მექანიზატორთა ერთ-ერთ ბრიგადასთან, რომელიც ტერიტორიულად კასპში იმყოფებოდა.

მერე კი... ბუთხუზიანთ ეზოში ხშირად ნახავდით ტრაქტორის ნახმარ სათადარიგო ნაწილებს, ჭანჭიკებსა და გასაღებებს. ვინ იცის, საიდან მოჰქონდა ამდენი ხარახურა, მთელ დღეს რომ ჩაჰკირკიტებდა მოცალეობის ჟამს.

ასე გადიოდა დრო. ნათელა მექანიზატორებთან ხშირად დადიოდა, შეეჩვია გამრჯე ადამიანებს. ბოლოს ერთ-ერთ მათგანს — ბაგრატ ავლოხაშვილს ისე გაუთამამდა, ტრაქტორის საჭესთან დამსვიო, სთხოვა. ბაგრატ ძიამ სურვილი შეუსრულა, გვერდით მოისვა და ტრაქტორის მართვის ელემენტარული წესები აუხსნა.

გაბედულად გაავლო პირველი ხნული, უნაკლოდ შეასრულა ბაგრატის ყველა დარიგება.

„დაკვირვებული გოგონაა. ეგ რომ ბიჭი იყოს, კარგი მექანიზატორი დადგებოდა“, — გაიფიქრა მექანიზატორმა.

დღე დღეს მისდევდა, თვე — თვეს, წელიწადი — წელიწადს.

პიონერი
10
ოქტომბერი
1975
საქართველოს ალკკ ცკ-ის და ვ. ი. ლენინის სახელობის ნორჩ პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი
გამოდის 1926 წლიდან
საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

1972 წელი. დღე ზრდის ზღვარს უახლოვდება, ქალაქ კასპის ქუჩებში ბუღი ტრიალებდა. სასკოლო ცხოვრების გაცხარებული დღეებიც დამცხრალიყო, არემარეს აღარ აყრუებდა ონავართა ჟივილ-ხივილი. ახლა მხოლოდ მეათე კლასში მიმდინარეობდა უკანასკნელი გამოცდა. წყვილად და კენტად გამოდიოდნენ კასპის საშუალო სკოლის ეზოდან თითქოსდა ერთბაშად დაბრძენებული ახალგაზრდები. ზოგნი თვალგაბრწყინებულნი მოაბიჯებდნენ, ზოგნიც თავჩაქინდრულნი და დანაღვლიანებულნი.

კენტად გამოვიდა სკოლის ეზოდან ნათელა ბუთხუზი. თავაწეული მოდიოდა, შავტუხა სახეზე ნათელი ეფინა, მაგრამ, ეტყობოდა, ღრმა ფიქრებს მისცემოდა.

„ესეც ესეე! მორჩა გამოცდები. სიმწიფის ატესტატიც ხელთა მაქვს, ახლა ჩემ გზას უნდა გავუდგე. ოჰ, ეს გზები, გზები...

გუშინ დამრიგებელი გვეუბნებოდა, თქვენ ხვალიდან საზოგადოების სრულუფლებიანი წევრები ხართ და ცხოვრების გზა თქვენ თვითონ უნდა აირჩიოთო. ყველა გზა, თუკი იგი ნამდვილი შრომის გზაა, უთუოდ საჭირო და საპატიოა. მაგრამ გზა მრავალია. ზოგი რომელიმე თქვენთაგანს იოლად დასაპყრობი მოეჩვენება, ზოგი — ძნელად მისადგომი და ზოგიც — მიუდგომელი. მთავარი მაინც ის არის, რომ არჩეული გზა თქვენს სულსა და მისწრაფებას მიესადაგოს, მაშინ ყველა გზა კარგია, ყოველივე დაბრკოლებასაც ადვილად დასძლევთ და გუთანსაც ბოლომდე გაიტანთო.

ჰო, მართლა, სხვისი არ ვიცი და, მე სწორედ რომ გუთანი უნდა გავიტანო. ეს ხელობა თითქმის ვიცი. გამოცდებსაც დავიჭერ და ტრაქტორსაც ჩამაბარებენ. მერე, გიყვარდეს, ზვრებში შევაჯირითებ. მაგრამ მშობლები? მაგათ ამ ამბის გაგონებაც არ უნდათ. ვინ ქალი და ვინ მექანიზატორიო. აბა, სხვას ვის ნახავ ქალს, ტრაქტორზე რომ იჯდეს, თუნდაც მთელს რაიონშიო. რას იტყვიანო. რაც უნდათ ისა თქვან. რომ მიყვარს ტექნიკა, რა ვქნა? აქ თუ არავინ არის, დასავლეთ საქართველოში ხომ არიან მექანიზატორი ქალები?! აბა, ნაზიბროლა ხასაია ვინღაა! იქნებ იმასაც ეწინააღმდეგებოდნენ მშობლები? ახლა კი საქვეყნოდ სახელგანთქმული ქალია. ჰოდა, ის თუ დასავლეთ საქართველოშია, მე აღმოსავლეთ საქართველოში ვიქნები პირველი. მაგრამ სჯობს ჯერ ჩუმად ვიყო და, ფაქტის წინაშე რომ დავაყენებ, მერე რას იზამენ. ჯერჯერობით მექანიზატორებთან დამხმარე მუშად მოვეწყობი. მშობლებს ვეტყვი, ორ წელიწადს ვიმუშავებ, შრომითი სტაჟი მინდა მქონდეს უმაღლესში შესასვლელად-მეთქი“, — ფიქრობდა გზად მიმავალი.



ვაზის შესაწამლავად მზადდება ტრაქტორი.

სამ თვეს იმუშავა დამხმარე მუშად ნათელა ბუთხუზმა ოკამის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის კასპის მექანიზატორთა ბრიგადაში. თავისუფალ დროს სულ ტრაქტორთან იყო, ფარვანასავით

დასტრიალებდა. მალე ისე დაეუფლა მართვას, მექანიზატორები უკვე თამამად ანდობდნენ საჭეს.

— ახლა კი დროა მანქანა ჩაიბარო. — უთხრა ერთ დღეს ბაგრატ ძიამ და ნათელამ მაშინვე მევენახეობის მანქანა-ტრაქტორთა პარკის მთავარი ინჟინრის კაბინეტს მიაკითხა.

— შეიძლება, პატივცემულო? — მორიდებით შეაღო კარი.

— შემოდი, შემოდი. — თავი აიღო შუა ხანს მიღწეულმა სანდომიანმა სახის კაცმა და მამაკაცის ტანსაცმელში გამოწყობილი გოგონა ცნობისმოყვარედ შეათვალიერა.

— იცით რა, პატივცემულო, გავიგე, რომ მექანიზატორის ადგილი გქონიათ და იმისათვის შეგაწუხეთ.

— მერედა, თვითონ ვერ მოვა, ვისაც სურს იმუშაოს? — ღიმილით უთხრა ნათელას მთავარმა ინჟინერმა, — გამოვცდით და, თუ მოგვეწონება ავიყვანთ კიდეც. არ მესმის, აქ პროტექცია რა საჭიროა.

— როგორ გეკადრებათ, მე თვითონ მინდა მექანიზატორად ვიმუშაო.

— რაო!? — მთავარ ინჟინერს თვალები გაუფართოვდა, — მომეყურა, თუ.. აბა, ერთი გაიმეორე, რა თქვი.

— მე მინდა მექანიზატორად ვიმუშაო!

—მერე, იცი კი რამე ამ საქმისა?

— ვიცი. — დაბეჯითებით წარმოთქვა ნათელამ და მთავარ ინჟინერს თვალი გაუსწორა. — თუ გნებავთ, ახლავე გამომცადეთ.

— აბა მართვის მოწმობა მიჩვენე.

— მოწმობა... მოწმობა არა მაქვს, ძია.

— იცი, რას გეტყვი, — დამარცვლით წარმოთქვა მთავარმა ინჟინერმა და ხმაში ბრაზი შეეპარა, — მე აქ...

— პატივცემულო, მე ყველაფერი ვიცი, რაც ტრაქტორის მართვისათვის არის საჭირო, გნებავთ გამომცადეთ, — სხაპასხუპით წარმოთქვა ნათელამ და ცრემლი ჩაყლაპა.

მთავარი ინჟინერი ერთხანს უხმოდ იჯდა, შემდეგ წამოდგა, ფანჯარასთან მივიდა და გამოაღო.

— მოდი აქ, გოგონა! — დაუძახა ნათელას, — ახლოს მოდი, ახლოს.

ნათელა მორიდებით ამოუდგა გვერდით. ეზოში ტრაქტორი იდგა.

მთავარმა ინჟინერმა თავისებური გამოცდა მოუწყო. ნათელა დინჯად და შეუცდომლად პასუხობდა.

— თუ მართვაც ასე კარგად იცი, ნამდვილი მექანიზატორი ყოფილხარ. აბა, ზაქრო, დასვი ერთი საჭესთან ეს გოგონა, ოღონდ... — თვალით ანიშნა მთავარმა ინჟინერმა მექანიზატორს, — გვერდით მოუჯექი, ემანდ რაიმე არ მოხდეს.

ნათელამ თამამად ჩართო ძრავა და ტრაქტორი უნაკლოდ გაატარა.

მალე ნათელამ კვალიფიციური მექანიზატორის მოწმობა მიიღო და ტრაქტორიც ჩააბარეს.

— აბა, შენ იცი, ნდობა უნდა გაგვიმართლო, ტრაქტორს თვალისჩინივით უნდა გაუფრთხილდე და მოუარო, — უთხრეს.

გარეშე ადამიანებმა შეიძლება იფიქრონ: აბა ტრაქტორი რა ისეთი სათუთი მანქანაა, ამგვარი გაფრთხილება და მოვლა რომ უნდოდეს?

მაგრამ ერთი შეხედვით თითქოს უხეში მანქანა საკმაოდ ფაქიზი და ზოგჯერ ბავშვივით ჭირვეულია.

სამაგიეროდ, თუ კარგად მოუვლი და ალღოს აუღებ, თასმასავით მოგერგება და შრომასაც ერთიორად გაგიადვილებს.

სწორედ რომ თასმასავით მოირგო ნათელამ თავისი ტრაქტორი. შეუფერხებლად დაატარებდა ოკამის ზვრებში, ხნავდა, წამლავდა ვენახებს, პირად ნორმებს გადაჭარბებით ასრულებდა. საგრძნობლად ზოგავდა საწვავ მასალას.

საზოგადოებრივ საქმიანობაშიც თავიდანვე აქტიურად ჩაება...



ვინ
მოთვლის
რამდენი
ათასი
კილომეტრი
აქვს
გავლილი
ამ „რკინის რაშს“
ვაზთა
რიგებში.
აი,
ახლაც
გოგონას
მარჯვე
ხელებს
მორიგ რეისზე
მიჰყავს იგი.

— ნათელა, ხვალ გამოცდილების გაზიარების დღეა. აბა, შენ იცი, ახალგაზრდებს უნდა ესაუბრო!

— ნათელა, ამ თვის ბოლოს კომკავშირის საერთო კრება გვექნება, ერთი საკითხი შენ უნდა მოამზადო და კრებაზე გამოიტანო!

— ნათელა, ზოგიერთი კომკავშირელი ყალთაბანდობს, აბა, შენ იცი, შენებურად შეუცაცხანე!

და აკეთებდა ნათელა ყოველივეს ხალისიანად და უზადოდ, რისი გაკეთებაც საჭიროდ მიაჩნდა, რასაც ავალებდნენ, რასაც უბრძანებდნენ...

ხარობდა გოგონა. ხარობდა, რადგან აშკარად ხედავდა თავდადებული შრომის ნაყოფს. ისიც უხაროდა, ყველა რომ აქებდა, როგორც მუყაითსა და საქმის მცოდნეს, ისიც, რაიონულ გაზეთში რამდენჯერმე რომ ითქვა მისი შრო-

მითი მიღწევების შესახებ, მაგრამ ამ სიხარულს ერთგვარი ნაღველი მაინც ახლდა.

„ნუთუ მარტო ვიქნები, ნუთუ სხვა ქალი არ ისურვებს მექანიზატორობას"? — ფიქრობდა და გუნებაში არჩევდა მეგობარ გოგოებს.

ერთ მშვენიერ დღეს კი... ეს ორი წლის წინათ იყო, ნაღველის გამომწვევი მიზეზიც გაქრა.

თანაქალაქელმა მარინე ქსოვრელმა, რომელმაც ის-ის იყო საშუალო სკოლა დაამთავრა, მექანიზატორის პროფესიის შესწავლა გადაწყვიტა და ნათელას მიაკითხა.

დასავით მიიღო ნათელამ მარინე. მთელ საათს ესაუბრა, ათასი წვრილმანი გამოჰკითხა.

— ტექნიკა მეც დიდი ხანია მიზიდავს, მაგრამ შენი მაგალითი რომ არა, მაინც ვერ გადავწყვეტდი, — გულწრფელად უთხრა მარინემ.

ნათელას და მარინეს მალე ოკამელი ქრისტინე თათარიშვილიც შეუერთდა.

ხალისიანმა, მუყაითმა გოგონებმა მალე შეისწავლეს მექანიზატორის ფრიად საპატიო პროფესია. მერე ნათელას ხელმძღვანელობით კომკავშირელ მექანიზატორ გოგონათა რგოლიც შეიქმნა. გოგონებმა 100 ჰექტარი ახალშენი ვაზი გაიპიროვნეს კულტივაციისა და შეწამვლის სამუშაოების ჩასატარებლად.

1974 წელი. ჩვენი რესპუბლიკის ახალგაზრდები საქართველოს ალკკ XXX ყრილობის გახსნისათვის ემზადებიან: ოკამელმა ახალგაზრდებმაც უნდა წარგზავნონ თავიანთი წარმომადგენელი.

— გაიგე, — უთხრა ერთ დღეს ქრისტინემ მარინეს, — ყრილობაზე ნათელას რომ გზავნიან?

— ეგ ისედაც ვიცოდი, უფრო სწორად, გული მიგრძნობდა.

— ძალიან გამეხარდა, მაგრამ უიმისოდ ჩვენს რგოლს გაუჭირდება და ეს მაფიქრებს. იცი რა? მთავარ ინჟინერს ვუთხრათ, ვინმე დაგვეხმაროს. განა ჩვენ არ დავხმარებივართ სხვებს?

— ფიქრი ნუ გაქვს. ცოტა ხანს ჩვენც მოვუვლით გაპიროვნებულ ზვრებს, სანამ ნათელა დაბრუნდება.

ნათელა ბუთხუზმა კი, რადგან საკავშირო ალკკ XVII ყრილობის დელეგატად აირჩიეს, მალე მოსკოვისაკენ აიღო გეზი...

მდიდარი შთაბეჭდილებებით დაბრუნდა ნათელა ჩვენი დიადი ქვეყნის ახალგაზრდობის ამ გრანდიოზული ფორუმიდან, მდიდარი შთაბეჭდილებებით და მეტად საპატიო საჩუქრით — „ნათელა ბუთხუზს საკავშირო ალკკ XVII ყრილობის დელეგატს საქართველოდან— დნეპროპეტროვსკელი ახალგაზრდებისაგან", იუწყება ლამაზი წარწერა მის მიერ ჩამოტანილ ტრაქტორ „ბელორუსზე", ახლა ოკამის საბჭოთა მეურნეობის ფართობებში რომ დაგრიალებს.

ახალი ენერგიით შეებნენ ნათელა და მისი რგოლი სამუშაოს, ახალი გადიდებული ვალდებულება იკისრეს და პირნათლად გაანაღდეს 1974 წელს.

უმალ გამოეხმაურა ნათელა ბუთხუზი მოსკოველ კომკავშირელთა მოწოდებას: „შენს წილ და იმ ჭაბუკისათვის" კვირაში ერთი დღე მუშაობს იგი სამამულო ომში დაღუპული გმირის, ქართველი ქალიშვილის ზოია რუხაძის წილ. ამ დღეს გამომუშავებული თანხა ხომ მშვიდობის ფონდში ირიცხება, რითაც ნათელასაც შეაქვს თავისი ღირსეული წვლილი ქვეყნად მშვიდობის დაცვის კეთილშობილ საქმეში.

ჯერ კიდევ ივნისის ბოლოს გაანაღდა დიდი გადაჭარბებით ნათელამ 1975 წლის პირადი საწარმოო გეგმა — 658 ჰექტარი ფართობი მოხნა ნაცვლად 600 ჰექტარისა და ერთ ტონამდე საწვავიც დაზოგა.

ხმაშეწყობილი უმღერიან მექანიზატორი გოგონები შრომას და ოცნებობენ იმ დღეზე, როცა მათი რიგები კიდევ უფრო გაიზრდება. ამიტომაც იყო, წლეულს, ივნისში, რაიონის ყველა ჭაბუკსა და ქალიშვილს რომ მიმართეს — მიებაძათ, მხარი დაეჭირათ მათთვის, შეესწავლათ მექანიზატორის პროფესია — ტრაქტორის, კომბაინის მართვა და „რკინის ხარით" შებმოდნენ მიწას — სიუხვისა და ბარაქის წყაროს.

კასპის რაიონის კიდევ ხუთმა მკვიდრმა, საშუალო სკოლა ახალდამთავრებულმა გოგონამ გადაწყვიტა, დასდგომოდა ნათელა ბუთხუზის გზას...

სულ ექვსიოდე წელიწადი გავიდა მას შემდეგ, ნათელა ბუთხუზი პიონერთა ორგანიზაციაში რომ იყო და ახლა იგი სახელგანთქმული ქალიშვილია, სკკპ წევრი, რაიონული საბჭოს დეპუტატი და „საპატიო ნიშნის" ორდენის კავალერი...

მეოცე გაზაფხული მიითვალა წლეულს ნათელამ, რამდენი რამ კი მოასწრო ამ ხნის მცირე მანძილზე! და ყოველივე ეს ნათელას მიზნისაკენ დაუოკებელმა სწრაფვამ, არჩეული პროფესიის მართლაც რომ დიდმა სიყვარულმა შეაძლებინა.

**გიგლა მესხიშვილი.**

ფოტო: ვ. გორისენკოსი.



სამნი არიან, „დები" არიან, ვაჟებს არ ჩამოუვარდებიან.



ნათელა ბუთხუზი ცოდნასა და გამოცდილებას არ იშურებს რგოლის წევრებისათვის.



გურამ ვერაზანაშვილი
მხატვარი გ. ფოცხიშვილი

მოთხრობა

# სიმართლის ძნა

ზამთარი კარს იყო მომდგარი და ბებიაც წამდაუწუმ გვახსენებდა: — დროზე მოიტანეთ შეშა, შვილებო, სიცივეს ზარმაცი კაცი არ უყვარსო.

სადაც უნდა წავსულიყავით, ბებია იყო ჩვენი სახლის დარაჯი. რაც მამა ჯარში გაიწვიეს, მას შემდეგ ეზოდან ფეხი არ გაუდგამს. მართალია, თვალში სინათლე აკლდა, მაგრამ მის ყურთასმენას ვერაფერს გამოაპარებდი: მეზობლის მამალი შეფრინდებოდა ღობეზე თუ ღორი გამოგლეჯდა ჭიშკარს, მაშინვე თავის განუყრელ ჯოხს დასცხებდა კიბის მოაჯირს: — აქედან დამეკარგეთ, თქვე მგლის არჩივებოო.

ფრონტიდან დროდადრო სამკუთხა ბარათი მოგვდიოდა, სადაც მამა თავის ამბავს იტყობინებოდა. ძმებს გვანამუსებდა, დროზე დაბარეთ და დათესეთ, ბებოს მიხედეთ, სახლ-კარი შეინახეთ, კერაზე ცეცხლი არ გაანელოთ, სხვების დასაცინი არ გახდეთო. შორს იყო და მაინც ჩვენზე წუხდა. მაშინ თოთხმეტი თუ თხუთმეტი წლისა გახლდით. ჩემი ძმა სამი წლით უმცროსი იყო. მე ვიყავი მისთვის მამაცა და უფროსი ძმაც.

უფრო და უფრო სუსხიანი ხდებოდა ქარის ქროლვა. ტყვიისფერი ღრუბლები ძირს ეშვებოდნენ. მაღალ მთებზე ჩამოთოვა კიდეც. ერთი ხარი ნათლია ზაქარიას ვთხოვეთ, მეორე — მის ძმისწულს. ურემი კი სამჭკუაანთ კვიმატას. გაუთენებლივ შევაბით ხარები და ტყისკენ გავწიეთ. სახლის დარაჯად, როგორც ყოველთვის, ბებია დავტოვეთ და მასაც ჩვენს მოსვლამდე მთელი გულისყური ეზოსკენა ჰქონდა.

შუადღისას თეოფანე მეღორე მოსდგომოდა ჭიშკარს და ბებიასგან სადღვებელი ეთხოვა. არავინ იცის, რისთვის დასჭირდა სადღვებელი ამ ზამთრის პირას, მაგრამ კაცია და გუნებაო, რას გაიგებ, ვის რა ზრახვა უდევს გულში! ბებია ძუნწი ქალი არ იყო, მაგრამ, ვინაიდან კარგად ვერა ხედავდა, საკუჭნაოს კარს უჩვენოდ არავის უღებდა: აქაოდა, რადგან თვალში სინათლე მაკლია, ვიღაც ხელმრუდმა ზედმეტი რამე ხელს არ გააყოლოსო.

თეოფანე მეღორე მეზობელი იყო. ჩვენი ბაღის ბოლო მის ეზოს ებჯინებოდა. რამდენჯერ მინახავს ღობეს მომდგარი, გაფანჩული წარბებიდან ხარბად რომ გამოჰყურებდა ხილით დახუნძლულ ხეებს, ალაღებულ ბოსტანს და მაშინ, ვინ იცის, შურის რა ჭია უფუტკნიდა ბანჯგვლიან მკერდს.

ბებია კარგად იცნობდა თეოფანეს, მის ხმას ათას ხმაში გამოარჩევდა, მაგრამ ომში წასული შვილის სახლს თვალისჩინზე მეტად უფრთხილდებოდა. ამიტომ უარით გაისტუმრებინა მეზობელი — რა ვქნა, კი არ გეწყინოს და, გასაღები მე არა მაქვს, ბიჭებმა შეინახეს სადღაცაო.

განაწყენებული წასულა თეოფანე მეღორე. ხანდახან მუქარის სიტყვებსაც გამოურევდა ხოლმე და ბოღმას ამით იქარვებდა თურმე. ეს ამბავი მოგვიანებით შევიტყეთ.

მოვიტანეთ შეშა, გადმოვცალეთ, ხარები და ურემი პატრონს ჩავაბარეთ.

ბებია ზედა სართულიდან ჩამოდიოდა. ერთგან საფეხური მოფანფალებული იყო, ბებიამ ვერ მოზომა ნაბიჯი, ფეხი დაუსხლტა და მოაჯირისათვის რომ არ ეტაცა ხელი, კიბეზე ჩამოგორდებოდა.

— ფრთხილად, ბებია, არაფერი მოიტეხო! — შესძახა ჩემმა ძმამ და მისაშველებლად გაიქცა.

— მოიტეხოს და მოიტეხოს! — მკვახედ წამოიძახა ვიღაცამ, — აღარ დაადგა საშველი მაგის ჩაძაღლებას!

თავი ავიღე. ღობესთან მომდგარ თეოფანე მეღორეს თვალები გაავებული ქორივით უელავდა. ფდალი წვერი მუჭაში ჩაებღუჯა და ზედმეტი ბოღმისაგან ლამის თვითონვე დაეგლიჯა.

— რაც ადრე წაეთრევა იმქვეყნად, მით უკეთესი! — დააყოლა ღვარძლიანი ჩახითხითებით.

სუნთქვა შემეკრა, ბრაზმა ამაცახცახა და გონება დავკარგე. აღარ მახსოვს, როგორ გადავევლე ღობეს, როგორ დავახტი ფოცხვერივით მოულოდნელობისაგან შეცბუნებულ მეღორეს, ძირს გავშხლართე და ცხვირ-პირში მუშტები დავაყარე.

მართალია, ჩემი წლოვანებისათვის საკმაო ღონეცა მქონდა, ჭიდაობაშიც უბნის ბიჭებში პირველობას არავის ვუთმობდი, მაგრამ სხვა დროს ვერასგზით ვერ გავბედავდი თეოფანეზე ხელის აღმართვას. ალბათ, უსამართლობამ და მისმა გესლიანმა სიტყვებმა გამიორკეცა ძალა.

— რა დაგიშავა, შე მყრალო, რატომ უნდა ჩაძაღლდეს' — ვღრიალებდი გამწარებით, — რატომ, შე სულაკატებულო, შენა! — მთელი ძალით ვექაჩებოდი წვერზე და ლამის მთლად შემოვაბდღვენი.

ჩემი ასეთი გამოხტომით სულ დაიბნა. გულაღმა გაშხლართული წამოდგომასაც აღარ ცდილობდა. ძარღოოდენ ხელებით იფარავდა სახეს და მუშტების აცდენას ლამობდა.

იქნებ დამნაშავედაც იგრძნო თავი? დამნაშავე ხომ ყოველთვის უძლური და მხდალია სიმართლის წინაშე...

კარგა მაგრა დავუქექე. რაც ადრინდელი დაგროვილი ჯავრი მქონდა, ყველა ახლა გადმოვანთხიე. ცემით რომ გული ვიჯერე, სიბრაზემაც გამიარა, თუმცა მაინც არ ვეშვებოდი. მხოლოდ მაშინ დავანებე თავი, როცა ძლივსძლივობით ამაგლიჯეს მისმა ცოლმა და შინაბერა დებმა.

— აბა კიდევ გაბედე, აბა კიდევ! — გავყვიროდი მუშტებმომარჯვებული და უცებ მივხვდი, რომ ხმა დამბოხებოდა.

ისეთ ძალას ვგრძნობდი, თეოფანე მეღორეს კი არა, ხეს რომ დავტაკებოდი, მასაც წავაქცევდი.

შინ მისული ბებიამ დამაწყნარა:

— ეთქვა, ბიჭო, რა მოხდა, ხომ იცი, რა ყიამყრალი კაცია... მართლა კი არაფერი მომივიდოდა იმის სიტყვით...

— რატომ უნდა ეთქვა, რატომ? — ბოღმიანი ხმით განვაგრძობდი, — უპატრონოდ რომ დაგვიგულა, იმიტომ? კარგად ვიცი, რაცა ნებავს! ჩვენი ბაღ-ბოსტნის ყურებ..თ ლამის დაელმდეს!

— რას ამბობ, შემოგევლოს ბებია! ვიდრე ცოცხალი ვარ, ვინ გაბედავს თქვენს დაჩაგვრას! — კრუხივით გაფხორილმა ბებიამ იქაურობას თავისი უსინათლო თვალი მოავლო...

მეორე დღეს მამა ჩამოვიდა.

ყავარჯნებზე მოხანხალე მოადგა ჭიშკარს, თან ოფლისა და წეკოს სურნელი მოიყოლა.



მთელმა სოფელმა ჩვენთან მოიყარა თავი. ზოგი რას ეკითხებოდა, ზოგი — რას. ყველას პირველ რიგში ფრონტის ამბავი აინტერესებდა. მამა დაუზარებლად უპასუხებდა კითხვებზე და ბრძოლის ეპიზოდების გახსენებით ყრუანტელსა ჰგვრიდა მსმენელებს.

ბებია წამდაუწუმ ხელს უსვამდა მხრებზე, თითქოს სურდა დარწმუნებულიყო, ის იყო თუ არა.

— რაკი შენს ნახვას ვეღირსე, ახლა გინდაც მოვკვდე; აღარა ვჩივი, — დამჭკნარ ლოყებზე მარგალიტის მარცვლებივით მოუგორავდა ცრემლი.

— რას ამბობ, დედა, ახლა გვმართებს სიხარული! — იცინოდა მამა, — ჰა, ბიჭებო, თქვენ კი ძალიან წამომეჩიტეთ და!.. — სიყვარულით გვიყურებდა მამა, — ყუმბარების ქარ-ცეცხლშიც თქვენზე ვფიქრობდი.

— ნამდვილი ყვინჩილები გახდნენ! — გაიღიმა ბებიამ, — მიზეზი იპოვონ და, საჩხუბრად ეგრევე იწევენ.

ბებიამ დაწვრილებით მოუყვა გუშინდელი ამბავი, რამაც მამა გულიანად აცინა.

— მაშ თეოფანე აგორავე, ჰა? აი, შე ყაჩაღო, შენა! — ხარხარებდა და თვალზე მომდგარ ცრემლს ფარაჯის სახელოთი იწმენდდა. — მაინც როგორ მოერიე იმოდენა კაცს, შე მამაძაღლო!

კარგა რომ შეღამდა და სავახშმო მთვარემაც ყური ამოყო, ლაზათიანი სუფრა გაიშალა ჩვენს ოჯახში.

— აბა, შენ იცი, — მითხრა მამამ, — ყველა მეზობელი დამიპატიჟე, — მერე თვალი თვალში გამიყარა და ოდნავ მკაცრი ხმით დააყოლა: — თეოფანეს კი ჯერ ბოდიში მოუხადე და შემდეგ ისე მოიწვიე.

თავი ჩავღუნე. როგორ, თეოფანე მეღორეს საკუთარი ფეხით ვეახლო? ეს არ მოხდება.

— რას ჩაქინდრე თავი? — მკითხა მამამ, — ვერ გაიგე ნათქვამი?

— თეოფანესთან ვერ წავალ, ჩემი ძმა გაგზავნე.

— არა, შენ წახვალ და ბოდიშსაც მოუხდი.

— არა, არ წავალ! ის ჩვენი მტერია, ბოროტი კაცია, ცუდი სურს ჩვენთვის, ცუდი! — ცრემლით ამევსო თვალები, აღრიალებას აღარაფერი მიკლდა.

— რას ამბობ! — ყავარჯენი დააბრახუნა მამამ, — მტერს იქ, ფრონტზე ვებრძოდით... სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გვქონდა... სისხლს ვღვრიდით... შენ კი... შენ კი ადამიანის ერთი უხეირო სიტყვა ვერ აგიტანია. იქნებ რაღაცამ გაამწარა ისიც და გუნებაზე ვერ იყო? ახლა ისეთი დროა, დაშაქრული სიტყვებისათვის კაცს აღარა სცალია!..

თავჩაღუნული ვიჯექი და ერთხელვე გაკერპებულს ფეხის მოცვლა არ მსურდა.

მამამ მცირე ხანს იყუჩა, პირდაპირ მომაცქერდა და ხმადაბლა მითხრა:

— გამოდის, რომ ტყუილად დაგვიღვრია სისხლი, ტყუილად შეგვიწირავს სიცოცხლე; თურმე ტყუილად დაგვიცავს ქვეყანა, ოჯახი!..

უეცრად მივხვდი, რომ მას მშვენივრად ესმოდა ყველაფერი, მაგრამ ახლა ასე იყო საჭირო.

სინდისის ქენჯნა ვიგრძენი. რაღაც მომებჯინა ყელში და კინაღამ დამახრჩო. წამოდგომა ვცადე, მაგრამ თავმოყვარეობამ კვლავ დამძლია და ადგილზევე მიმაკრა.

— რა იქნება, მამა... — ვცადე შევპასუხებოდი, მაგრამ მოუთმენლად შემაწყვეტინა:

— ხმა! — მძიმე მუშტი დაარტყა მაგიდაზე, — შენ ბავშვი ხარ და ჯერ კიდევ ბევრი არაფერი გესმის! მე მამა ვარ, გააკეთე ის, რაც გითხარი.

წელმოწყვეტილი გავიძურწე გარეთ. ღმერთმა დასწყევლოს თეოფანეცა და გუშინდელი ჩხუბიც! რომელ-

მა ეშმაკმა გამაგიჟა ასე!.. რას მეტყვის, თავისთან რომ მნახავს? იქნებ კეტითაც გამომეკიდოს. გუშინდელს აქეთ ალბათ სამაგიეროს გადახდაზე ფიქრობს. თუმცა... თუმცა, მამა რომ ჩამოვიდა, მერე თვალიც აღარ მომიკრავს, მაგრამ ახლა რომ დამინახავს... ეჰ, ჯანდაბას მისი თავი, რაც მოსახდენია, მოხდეს. მართლა პატარა ხომ აღარა ვარ.

მეზობლები შემოვიარე და ძლივს მივათრიე ფეხები თეოფანეს ჭიშკრამდე. ერდოში მისი შინაბერა დები ისხდნენ და ჭოტებივით აცეცებდნენ თვალებს.

— ქეთევან ბიცოლა! — წამოვიკნავლე და მევე შემრცხვა ჩემი ხმისა.

შინაბერებმა ხმა არ გამცეს. ერთმანეთს გადახედეს და უფრო მეტად მოიბუზნენ.

შინიდან ქეთევან ბიცოლა გამოვიდა.

— შენა ხარ, ოთარ? რაზე მოსულხარ? — შემეკითხა ოდნავ მღელვარე ხმით.

— მამამ დამაბარა, თეოფანე ძია გვეწვიოს ვახშმად, ჩემი დაბრუნება მინდა აღვნიშნოო.

შინაბერები შეინძრნენ.



— ნამდვილად ასე დაგაბარა? — შემეკითხნენ ჩაციებით, — ნამდვილად?

— ნამდვილად, — მივუგე მე.

— არ გვატყუებ? — მაინც ეჭვობდნენ შინაბერები.

— მამას გეფიცებით!.. რა მაქვს მოსატყუარი... ეგ კი არადა, მამამ მიბრძანა, ბოდიშიც მოუხადეო, გუშინდელი... აი, აი,... გუშინდელი ამბისათვის, — დამება ენა.

— ეგ, როგორ! — წამოიძახა სამივე ქალმა, — ბოდიში უნდა მოუხადო?

— უნდა მოვუხადო, — ღრმად ჩავისუნთქე ჰაერი.

— მამამ გითხრა ასე?

— მამამ! — დავუდასტურე ქალებს.

— მადლობა ღმერთს! — შვებით ამოისუნთქეს ქალებმა, — ჩვენ კი რაღა არ ვიფიქრეთ... მაშ, ბოდიშის მოსახდელად მოხვედი, არა?—უკვე მერამდენედ შემეკითხნენ. ეტყობა, ყურს არ უჯერებდნენ, — შენ არ მოგვატყუებ. ისეთი მამის შვილი ხარ.

ხელახლა მოვყევი, როგორ დამტუქსა მამამ გუშინდელი ჩხუბის გამო და მერე როგორ გამომგზავნა თეოფანეს დასაპატიჟებლად.

ბოლოს, როცა ძლივსძლივობით დავარწმუნე ისინი, ქალები წინ გამიძღვნენ და საბძელთან შეჩერდნენ.

— აი, აქ არის დამალული! გუშინ, შვილო, დიდი სისულელე ჩაიდინა, ცუდი სიტყვები რომ აკადრა ბებიაშენს, მაგრამ ნათქვამია, ერთი შეცდომა მღვდელსაც მოუვაო. აკი დაისაჯა კიდეც... შენ კი უკვე დიდი ბიჭი ხარ. დიდი კი არა, ნამდვილი ვაჟკაცი! კაი კაცია მამაშენი, გამგებიანი. ძალიან გაგვეხარდა მისი მშვიდობით დაბრუნება, თუმცა რა, ახლოს ვერ გავეკარეთ. სულ ამ მიწადასაყრელ თეოფანეს ბრალია ყველაფერი... გამოდი, კაცო, ოთარია მოსული, მამამისს გამოუგზავნია დასაპატიჟებლად.

— არ მატყუებთ? — კარების შიგნიდან გაისმა მეღორის იჭვნეული ხმა.

— გამოდი, გამოდი, ნუ გაგძვრა სული! გადამთიელები ხომ არა ვართ, ჩხუბი ვის არ მოსვლია.

— ვითომ მართალია? — კვლავ არ სჯეროდა თეოფანეს.

— კარგი ერთი, მშიშარა ქალად ნუ იქეცი!

— თქვენი ხათრით გამოვალ...— საკეტმა გაიჩხაკუნა და კარში თეოფანეს აბურძგნული თავი გამოჩნდა.

— მამამ გამომგზავნა, ვახშამზე დამეწვიეო, თანაც ბოდიშს გიხდი გუშინდელი ამბისათვის, — სხაპასხუპით მივაყარე მე.

მცირე ხანს იყუჩა. რაღაცაზე დაფიქრდა, გაჩეჩილ წვერზე ხელი ჩამოისვა და მერე ყრუდ იკითხა:

— ბოდიშს მიხდი?

— დიახ.

ისევ გაჩუმდა, დაშტერებით შემომაცქერდა, თითქოს არა სჯერა ნათქვამიო. უცებ დირეს გადმოაბიჯა, ხელები გაშალა და სანამ რაიმეს მოვიფიქრებდი, მკერდზე მიმიკრა.

— გაიზარდე, შვილო, გაიზარდე, ისეთი პატიოსანი ოჯახის ქომაგი რომა ხარ... გუშინ ნამდვილად ვტყუოდი... მეც არ ვიცი, რა აბეზარა შემიჯდა თავში. ახლავე გადავიცვამ და გამოვალ. გული მომიკვდეს, მამაშენის დაბრუნება თუ არ გამხარებოდეს... ერთად დავიზარდეთ, ერთად ვთამაშობდით, კაკალსაც ერთად ვაყრევინებდით ხეებიდან... მერე ეს ომი! მე კი დავივიწყე... არ მეპატიება, არა! მამაშენმა მაინც მაჯობა დიდსულოვნებაში. რაღა არ ხდება თურმე ამ წუთისოფელში! შენ კი... შენ კი, შვილო, მხოლოდ სიმართლის გზით გევლოს ცხოვრებაში!

შინისაკენ გავეშურე რაღაცნაირად შემსუბუქებული გულითა და ნათელი, გასხივოსნებული სულით.

ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს მხრებიდან მძიმე ტვირთი მომეხსნა, ფრინველივით ლაღი და ბუმბულივით მჩატე გავხდი.

ჩვენი სახლიდან უკვე მოისმოდა სიმღერის ხმა. ფეხს ავუჩქარე და თამამად შევაბიჯე ეზოში.

# კოსმოსი და ადამიანი



ბავშვებო, დღეიდან ჩვენ ვიწყებთ ვრცელ საუბარს კოსმონავტიკისა და ასტრონომიის საკითხებზე. ყურადღებით წაიკითხეთ წერილები რუბრიკით: „ადამიანი და კოსმოსი". მოგვწერეთ კიდევ რა საკითხები გაინტერესებთ, ან წაკითხულმა რა კითხვები აღგიძრათ.

## კოსმოსისაკენ

ადამიანები უძველესი დროიდანვე ოცნებობდნენ კოსმოსისაკენ გაფრენაზე. ამას მოწმობს სხვადასხვა ხალხის მიერ შექმნილი თქმულებები და ზღაპრები. მაგალითად, მფრინავი ხალიჩები, ფრთოსანი ადამიანები და ცხოველები, ზღაპრული ფრინველები და სხვა. ამ თქმულებებში კოსმოსისაკენ გაფრენა მარტივად არის წარმოდგენილი. ეს იმიტომ, რომ ძველ დროში, თითქმის XV–XVI საუკუნეებამდე, არ ჰქონდათ სწორი ცნობები კოსმოსის შესახებ. მხოლოდ ამ უკანასკნელი ოთხი საუკუნის განმავლობაში გაირკვა, რომ კოსმოსური სხეულები (ციური მნათობები) არაჩვეულებრივად შორს არიან. კოსმოსში მოგზაურობა ძალზე ძნელია და სახიფათო. მიუხედავად ამისა, ამ უკანასკნელ 100 წლის განმავლობაშიც კი დაიწერა ფანტასტიკური რომანები, სადაც კოსმოსში ფრენა მარტივად და პრიმიტიულად არის წარმოდგენილი.

XIX–XX საუკუნეში მეცნიერებისა და ტექნიკის სწრაფი განვითარების შედეგად კოსმოსში გაფრენის საკითხი მეცნიერულ ნიადაგზე დადგა: გაფართოვდა ცოდნა ასტრონომიის დარგში, წარმოიშვა და გაძლიერდა აერონაოსნობა, გაირკვა კოსმოსურ სივრცეში გასვლის ძირითადი სიძნელეები. ამის შესაბამისად გამოთქმული იყო მოსაზრებანი კოსმოსში გასვლის საკითხზე. მაგალითად, ფრანგმა მწერალმა ჟიულ ვერნმა მთვარეზე გაფრენა წარმოგვიდგინა უზარმაზარი ქვემეხიდან ჭურვის გასროლის გზით. მაგრამ ეს არ აღმოჩნდა სწორი: ახლა უკვე დასაბუთებულია, რომ ქვემეხით გასროლილი ჭურვი დედამიწის მიზიდულობას ვერ გადალახავს და მთვარემდე ვერ მიაღწევს.

კოსმოსურ სივრცეში გასვლის შესაძლებლობა მეცნიერულად დაასაბუთა გენიალურმა რუსმა მეცნიერმა კ. ციოლკოვსკიმ. იგი სავსებით სწორად მიხვდა, რომ დედამიწის მიზიდულობის გადალახვა და კოსმოსურ სივრცეში გასვლა მხოლოდ რაკეტით არის შესაძლებელი.

1903 წელს კ. ციოლკოვსკიმ გამოაქვეყნა შრომა, სადაც მოცემულია რაკეტის ფრენის თეორია და დასაბუთებულია მისი გამოყენების შესაძლებლობა საპლანეტთაშორისო მიმოსვლისათვის. საინტერესოა აღინიშნოს, რომ იმ დროს არც დასავლეთ ევროპაში და არც ამერიკაში მსგავსი შინაარსის შრომა არ არსებობდა.

კ. ციოლკოვსკის იდეის მეცნიერული ღირებულება მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს იქნა სწორად შეფასებული. 1927–1930 წლებში თანდათანობით შეიქმნა რეაქტიული ძრავის კონსტრუქციებზე მომუშავე ინჟინერთა ჯგუფი, ახალგაზრდა მეცნიერის კოროლიოვის მეთაურობით. თვითონ კ. ციოლკოვსკის არ შეუწყვეტია ამ მიმართულებით მუშაობა და ის იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ერთ რაკეტას არ შეუძლია განავითაროს კოსმოსურ სივრცეში გასასვლელი დიდი სიჩქარე. დედამიწის მიზიდულობას გადალახავს და კოსმოსში გასასვლელ სიჩქარეს განახორციელებს მხოლოდ რამდენიმე რაკეტისაგან შედგენილი სისტემა, ანუ, როგორც ახლა უწოდებენ, მრავალსაფეხურიანი რაკეტა. ასეთი რაკეტის სქემა მოგვცა ციოლკოვსკიმ 1929 წელს. ასე შეიქმნა რეაქტიული ძრავებისა და საპლანეტთაშორისო მიმოსვლის მეცნიერულად დასაბუთებული თეორია — კოსმონავტიკა.

1933 წელს ციოლკოვსკი ამბობდა: ჩვენში შეიქმნა საავიაციო მრეწველობა. გამოიზარდა მფრინავების, კონსტრუქტორების, ინჟინრების, მუშებისა და მეცნიერების მრავალათასიანი არმია. საბჭოთა მფრინავებმა მიაღწიეს ყველაზე დიდ სიმაღლეს, განავითარეს მაქსიმალური სიჩქარე, დაამყარეს ფრენის ხანგრძლივობის რეკორდი და გამოიჩინეს მრავალმხრივი გმირობა; ჩვენმა პარაშუტისტებმა მოიპოვეს მსოფლიო რეკორდები. ყოველივე ეს იმის საწინდარია, — დაასკვნის ციოლკოვსკი, რომ კოსმოსში გასვლა რეალობად იქცეს.



„სოიუზის" ეკიპაჟი: ა. ლეონოვი და ვ. კუბასოვი დედამიწაზე დაბრუნებისთანავე კორესპონდენტებს აძლევენ პირველ ინტერვიუს.

კ. ციოლკოვსკის სწამდა, რომ კაცობრიობა სამუდამოდ კი არ დარჩება დედამიწაზე მიჯაჭვული, არამედ ჯერ ფრთხილად გაივლის ატმოსფეროს ზედა ფენებს, ხოლო შემდეგ მზის სისტემის სივრცეს დაეუფლება. მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, „დედამიწა გონების აკვანია, მაგრამ არ შეიძლება მარად ვიცხოვროთ აკვანში".

## კოსმოსში ფრენის ერა

1957 წლის 4 ოქტომბერი. დილიდანვე მთელი მსოფლიოს რადიოსადგურები ავრცელებენ სენსაციურ ცნობას, რომ დედამიწის ირგვლივ მოძრაობს საბჭოთა კავშირიდან გაშვებული „სპუტნიკი". სულ მალე „სპუტნიკს" შესანიშნავი ქართული შესატყვისი „თანამგზავრი" გამოეძებნა. ეს იყო 84-კილოგრამიანი სხეული. იქ მოთავსებული რადიოსადგური იძლეოდა მხიარულ და მგზნებარე ხმას: „ბიპ-ბიპ-ბიპ!" ამ



ამერიკელი ასტრონავტები თ. სტრაფორდი, დ. სლეიტონი, ვ. ბრანდი და საბჭოთა კოსმონავტები ა. ლეონოვი, ვ. კუბასოვი ერთობლივი ფრენისათვის მზადების დროს.

ცნობამ გააკვირვა მსოფლიო!.. ქუჩებში, ტრანსპორტში, ოჯახში და საერთოდ ყველგან, მოქალაქეთა ძირითადი სასაუბრო თემა იმ დღეებში იყო „თანამგზავრი". ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებულ წერილებში აღინიშნა, რომ ეს არის საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის უდიდესი წარმატება, რომ ამით იწყება კოსმოსში ფრენის ერა.

ერთი თვის შემდეგ კოსმოსში გავიდა მეორე საბჭოთა თანამგზავრი, რომელზეც იყო პირველი ოთხფეხა მგზავრი — ძაღლი „ლაიკა". სამი თვის შემდეგ ამერიკელებმაც იწყეს თანამგზავრების გაშვება.

პირველმა თანამგზავრმა სამი თვის განმავლობაში 1400-ჯერ შემოუარა დედამიწას ირგვლივ და შემდეგ ჩამოვარდა. მეორე კი 5 თვეზე უფრო მეტი ხნით მოძრაობდა და შემდეგ ისიც ჩამოვარდა. ასევე ჩამოვარდა მესამე, მეოთხე და ბევრი სხვა.

1959 წლის 2 იანვარს საბჭოთა კავშირიდან მთვარის მიმართულებით გაუშვეს პირველი ავტომატური სადგური „ლუნა-1", რომელმაც 5 000 კილომეტრზე ჩაუარა მთვარეს. გავიდა დედამიწის მიზიდულობის სფეროდან და იწყო მოძრაობა მზის ირგვლივ — შეიქმნა პირველი ხელოვნური პლანეტა (ასტეროიდი). ამავე წლის 12 სექტემბერს გაშვებულ იქნა „ლუნა-2", რომელმაც მთვარეზე მიიტანა საბჭოთა ალმები. 4 ოქტომბერს გაშვებულ „ლუნა-3" ავტომატურმა სადგურმა გადაიღო მთვარის უხილავი მხარის ფოტოსურათები და სატელევიზიო აპარატებით გადმოსცა დედამიწაზე.

მომდევნო წლებში, მთვარისა და მისი მიდამოს შესწავლის მიზნით, საბჭოთა კავშირიდან და აშშ-დან გაშვებული ავტომატური სადგურებით, მეტად მნიშვნელოვანი ცნობები იქნა მიღებული: დედამიწაზე ჩამოტანილ იქნა მთვარის ნივთიერება, ავტომატური აპარატებით („ლუნახოდ-1" და „ლუნახოდ-2") შესწავლილ იქნა მთვარეზე მიმდინარე მოვლენები.

1960 წელს და 1961 წლის დასაწყისში ჩატარდა საცდელი სამუშაოები ადამიანის კოსმოსში გასასვლელად, რაც წარმატებით დაგვირგვინდა.

1961 წლის 12 აპრილს საბჭოთა მოქალაქე ი. გაგარინი მსოფლიოში პირველად ავიდა კოსმოსურ სივრცეში ხომალდ „ვოსტოკით". ხომალდმა მიაღწია 327 კილომეტრ სიმაღლეს, შემოუარა დედამიწას და უვნებლად დაეშვა საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე. ეს იყო საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის უდიდესი წარმატება, რომლის აღსანიშნავად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დააწესა „კოსმონავტიკის დღე". იგი ყოველწლიურად აღინიშნება 12 აპრილს.

1961 წლის აგვისტოში საბჭოთა კოსმონავტმა გ. ტიტოვმა 17-ჯერ შემოუარა დედამიწას გარშემო. ნახევარი წლის შემდეგ ამერიკელმა ჯონ გლენმა იმოგზაურა კოსმოსში. ამას მოჰყვა კოსმოსში ჯგუფური ფრენები. გააუმჯობესეს კოსმოსური ხომალდები; ერთადგილიანის ნაცვლად შეიქმნა ორ და სამადგილიანი ხომალდები „სოიუზ" და „აპოლონ"-ის ტიპისა. კოსმოსში უკვე იმოგზაურა 77 კოსმონავტმა. ამერიკელმა კოსმონავტებმა მთვარის ზედაპირსაც კი მიაღწიეს. ამით დამტკიცდა, რომ ადამიანს შეუძლია კოსმოსში ფრენა. კოსმონავტები ფრენის პროცესში აწარმოებდნენ სხვადასხვა ექსპერიმენტს და დედამიწაზე ჩამოიტანეს მეტად მნიშვნელოვანი ცნობები კოსმოსში მიმდინარე მოვალეობის შესახებ.

განსაკუთრებული მნიშვნელობისა იყო კოსმოსური ხომალდების „სოიუზის" და „აპოლონის" ერთობლივი ფრენა, რომელიც სულ ახლახან — 1975 წლის ივლისში ჩატარდა. საბჭოთა კოსმონავტები ა. ლეონოვი და ვ. კუბასოვი კოსმოსში შეხვდნენ ამერიკელ კოსმონავტებს თ. სტაფორდს, დ. სლეიტონსა და ვ. ბრანდს; იქ ჩაატარეს ერთობლივი ექსპერიმენტები და ამით დადასტურდა, რომ შესაძლებელი ყოფილა ერთად იმუშაონ კოსმოსში სხვადასხვა ქვეყნის



„სოიუზ-აპოლონის" შეპირაპირების მომენტში.

წარმომადგენლებმა. მშვიდობიანი მიზნით კოსმოსური სივრცის კვლევაში სსრ კავშირისა და აშშ-ის თანამშრომლობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მომავლისათვის.

უკანასკნელ წლებში, გარდა კოსმოსური ხომალდებისა, გაშვებულ იქნა დედამიწის ირგვლივ მოძრავი ავტომატური სადგურები „სალუტისა“ და „სკაილების“ ტიპისა. ამ სადგურებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია „სალუტ-4“, რომელიც გაშვებული იყო 1974 წლის 26 დეკემბერს. იგი ცილინდრული ფორმისაა, სიგრძე 21,5 მეტრი აქვს, დიამეტრი — 4 მეტრი, მოცულობა — 100 კუბური მეტრი, მასა-19 ტონა. ამ სადგურზე იმყოფება 2 ათასამდე ხელსაწყო, რომლებიც ძირითადად ავტომატურად მუშაობენ და ცნობებს დედამიწას აწვდიან. ამ ცნობებს სპეციალურად მოწყობილი სადგურები იღებენ. სადგურების რიცხვი 3-ათასამდეა.

1975 წლის 12 იანვარს „სოიუზ-17“ კოსმოსური ხომალდით „სალუტ-4“ ორბიტულ სადგურზე გადავიდნენ კოსმონავტები ა. გუბარევი და გ. გრეჩკო, რომლებმაც 30 დღე-ღამის განმავლობაში აწარმოეს ექსპერიმენტები. შემდეგ „სალუტ-4“ ორბიტულმა სადგურმა მუშაობა ავტომატურად განაგრძო.

ამავე წლის 24 მაისს „სოიუზ-18“ კოსმოსურ ხომალდით „სალუტ-4“ ორბიტულ სადგურზე გადავიდნენ კოსმონავტები პ. კლიმუკი და ვ. სევასტიანოვი. ისინი 63 დღე-ღამის განმავლობაში აწარმოებდნენ ექსპერიმენტებსა და დაკვირვებებს. დედამიწაზე ჩამოიტანეს დიდძალი მასალა. „სალუტ-4“ ორბიტული სადგური აგრძელებს ფრენას დედამიწის ირგვლივ დაახლოებით 350 კილომეტრ სიმაღლეზე.

●

ამრიგად, საბჭოთა კავშირში, აშშ-სა და სხვა ქვეყნებშიც მიმდინარეობს მუშაობა კოსმოსში (დედამიწის ზედაპირიდან 200 კილომეტრის ზევით) ფრენის ათვისებისათვის. ამ საქმის საბოლოო მიზანია კოსმოსის ათვისება, ე. ი. კოსმოსში არსებული მასალებისა და იქ მიმდინარე მოვლენების პრაქტიკული გამოყენება.

კოსმოსში გასვლას აქვს უდიდესი მეცნიერული მნიშვნელობა. უკვე მიღებულია ახალი ცნობები მეცნიერების სხვადასხვა დარგში. ჩაისახა და ვითარდება მეცნიერების ახალი დარგები, როგორიც არის კოსმოსური მედიცინა და ბიოლოგია, რენტგენული ასტრონომია და სხვა. ყოველივე ეს განაპირობებს იმ დიდ ინტერესს, რასაც დღეს მთელი კაცობრიობა იჩენს კოსმოსური ფრენისადმი.

*დოც. ა. ფურცხვანიძე*

მ ა რ ი ჯ ა ნ ი

## პიონერის სურვილები

მე რა მინდა? — მეკითხები?
ვიყო როგორც ჩემი ძმები.
ვიყო კარგი პიონერი,
მუყაითი, წესიერი.
ამხანაგებს არ ჩამოვრჩე,
გაკვეთილებს დროზე მოვრჩე.
დედას სახლში დავეხმარო,
ამითაც რომ გავახარო.
ვიკითხო და ვხატო კიდეც,
ვნახო მიწა კიდით კიდე.
ტყეში ჩიტი სულ გალობდეს,
ბაღში ნერგი სულ ხარობდეს,
ბიჭი ისარს არ ისროდეს,
ჩიტს არ კლავდეს არასოდეს.
შემისრულდეს ნატვრა მცირე:
ნუ ნადირობს მონადირე,
იქნებ შველს ეშველოს რამე,
არ შიშობდეს დღე და ღამე.
კურდღელს დღენი გავუგრძელოთ,
ტყეს გაზორდეს — ნახოს მდელოც.
კლდეს სიმაგრე არ დააკლდეს,
მიწა მუდამ განაახლდეს.
ვარდები რომ სულ ვარდობდნენ,
დედები რომ სულ ხარობდნენ.
ირემი მთას ამშვენებდეს,
მამა სახლებს აშენებდეს.
ყველა იყოს ბედნიერი,
არ გვენახოს თვალით მტერი.

1975 წ.

მ ე რ ი მ ი დ ე ლ ა უ რ ი

## ომში დაკარგული პაპის ხსოვნას

მე შენ მასწავლე მოთმინება და მოლოდინი,
სიცოცხლის ფასიც შენ მასწავლე ბოლოს და ბოლოს,
შენა ხარ ჩემი წინაპარი, გამზრდელი დიდი,
გმადლობ, რამეთუ მასწავლი ბრძოლას!
ვდგავარ და გიცდი უსასრულოდ, ვდგავარ და გიცდი,
შენს ყველა სიტყვას გულზე ვიწერ, ვით პიტალო კლდე,
შენი წყალობით მე უკვე ვიცი,
ვისთვის მოვკვდე და როგორ მოვკვდე!

## გაზაფხულის საზრუნავი

ვაზს უნდა ავკიდო აკიდო,
ზვავების სათქმელი — ნაკადულს,
ზღვას — თევზი,
მზეს — ცეცხლი;
წავართვა,
მთებს ვერცხლი
და
გული
გავუთბო
გუგულს — გზადაკარგულს!

## წყაროსადმი

შენი ხელყოფა არასოდეს მომსვლია აზრად,
შენი სიკეთე ჩემს ძარღვებში ისევ ხმიანებს,
არ უნდა იყოს ამაზრზენი, უბრალოდ, ფრაზა:
„აქ გაუვლიათ ადამიანებს“.

# ჩემი ოჯახი და ცხოველები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯერალდ დარელი

მხატვარი თამაზ ხუციშვილი

მაგრამ ერთ დღეს ბაღის კარი ღია დარჩენილიყო და აქილევსი ვეღარსად ვნახეთ. ყველანი მის საძებრად გავცვივდით და ჩვენები აქამდის თუ სათითაოდ იმუქრებოდნენ, ეს კუ არ გადამირჩებაო, ახლა ზეთისხილის კორომებს მოდებულნი გაჰყვიროდნენ:

— აქილევს... აჰა, მარწყვი, აქილევს... აქილევს... მარწყვი...

ბოლოს ვიპოვეთ, თავისებურად განმარტოებით სეირნობის დროს, ძველ კედელმონგრეულ და გვიმრით გადაფარულ ჭაში ჩავარდნილიყო. ჩვენს სინანულს საზღვარი არა ჰქონდა — იგი უსულოდ ეგდო. არაფერმა არ უშველა. ვერც ლესლის მიერ ჩატარებულმა ხელოვნურმა სუნთქვამ მოსულიერა, ვერც მარწყვის წვენმა, რომელიც მარგომ ძალით ჩააწურა ყელში, იქნებ იგრძნოს, რომ სიცოცხლეს აზრი აქვსო. დიდი გლოვითა და ზარით მივაბარეთ მიწას პატარა მარწყვის ბუჩქის ძირას (დედაჩემის იდეა). ეს მოვლენა განსაკუთრებით დაგვახსომა ათრთოლებული ხმით წარმოთქმულმა ლარის მოკლე გამოსათხოვარმა სიტყვამ. მხოლოდ როჯერი აფუჭებდა ყველაფერს: რამდენი ვეცადე, მაგრამ დაკრძალვის ცერემონიალის დროს კუდის ქიცინი ვერ შევაწყვეტინე.

აქილევსის დაკრძალვის დღიდან დიდი დრო არ გასულა, როდესაც ხოჭოებიანი კაცისაგან ახალი აღსაზრდელი შევიძინე. ეს გახლდათ მტრედის ხუნდი, რომელიც ჯერ თვითონ ვერ ჭამდა. რძესა და პურს და დამბალ ხორბალს ვაჭმევდი. ეს ხუნდი საშინელი უშნო რამ იყო. ყვითელი ღინღლით დაფარულ წითელ, დანაოჭებულ კანზე უწესრიგოდ ამოსჩროდა თეთრი ბუმბული. ლარიმ მითხრა, კვაზიმოდო დავარქვათო. სახელი მომეწონა, მნიშვნელობა კი არ ვიცოდი და დავთანხმდი. კვაზიმოდო გაიზარდა, უკვე თვითონ ჭამდა, ტანი ბუმბულით შეემოსა, თავზე კი ისევ შერჩა ყვითელი ღინღლის ქოჩორი. ეს ქოჩორი ისეთ იერს აძლევდა, როგორიც ზომაზე პატარა პარიკიან, გაბღენძილ მოსამართლეებს აქვთ ხოლმე.

ალბათ იმ მიზეზით, რომ უჩვეულო პირობებში გაიზარდა და მშობლებს მისთვის თავიანთი ზნე-ჩვეულებანი არ უსწავლებიათ, კვაზიმოდოს თავისი თავი ჩიტი არ ეგონა და არ დაფრინავდა, ყველგან ფეხით დაბრძანდებოდა. თუ მაგიდაზე ან სკამზე ასვლა სურდა, დაბლა გაჩერდებოდა, თავს აკანტურებდა. თავისი ტკბილი კონტრალტოთი ღუღუნებდა და იცდიდა, სანამ ვინმე აიყვანდა. უნდოდა, ყველაფერში მიეღო მონაწილეობა და ჩვენთან ერთად სასეირნოდაც თხოულობდა წამოსვლას. მაგრამ ამ სურვილს არ ვუსრულებდით, რადგან ან მხარზე უნდა შემესვა და ჩემი ტანსაცმლისათვის საფრთხე შემექმნა, ან არადა, ფეხი მისი ნაბიჯისათვის უნდა შეგვეწყო. თუ დავწინაურდებოდით, უმალ გულისმომკვლელ ჩხავილს გავიგონებდით, მივბრუნდებოდით და დავინახავდით, რომ კვაზიმოდო ბოლოს ქნევით მოგვდევდა გულამოვარდნილი და ჩვენი უყურადღებობით გაგულისებულს მოელვარე მკერდი ამობურცოდა.

კვაზიმოდო დაძინებას მაინც და მაინც შინ თხოულობდა. ვერც მუდარამ გაჭრა, ვერც შეგონებამ — ჩემ აშენებულ სამტრედეში ვერ შევიტყუე. მარგოს საწოლის ბოლოში ძილი ყველაფერს ერჩივნა, მაგრამ მალე სასტუმრო ოთახში გააძევეს და დივანზე მიუჩინეს ადგილი, რადგან მარგო როცა გადაბრუნდებოდა, კვაზიმოდო იღვიძებდა, საბანზე აბაჯბაჯდებოდა, თავზე დააჯდებოდა და სახეში ხმამაღლა, სიყვარულით ჩაჰღუღუნებდა.

ერთხელ ლარიმ შენიშნა, რომ კვაზიმოდოს მუსიკალური ნიჭი ჰქონდა. არა მარტო უყვარდა მუსიკა, არამედ ორ სხვადასხვა მელოდიას — ვალსსა და სამხედრო მარშს ერთმანეთისაგან არჩევდა. თუ სხვა მელოდიას ვუკრავდით, პატეფონთან სულ ახლოს მიცოცდებოდა, მკერდამობურცული და თვალებმილულული იდგა და ჩუმად კრუტუნებდა. ვალსის ხმაზე პატეფონს ირგვლივ უვლიდა, თავს იქნევდა, ტრიალებდა და გრძნობამორეული ღუღუნებდა. მარშს გაიგონებდა თუ არა, გაიმართებოდა, მკერდს წინ წამოსწევდა და ოთახში წინ და უკან დააბიჯებდა, თან ხმამაღლა, ხმის ჩახლეჩამდე ღუღუნებდა, თითქოს ეს-ეს არის გაიგუდებაო. სხვა არც ერთი მელოდიის დროს არ იქცეოდა ასე კვაზიმოდო. მხოლოდ ხანდახან, თუ მუსიკის მოსმენას გადაჩვეული იყო (ხელახლა გაგონების სიხარულით დაბნეული), მარშის ხმაზე ვალსის ცეკვას იწყებდა ან, პირიქით, მაგრამ მალე უთუოდ შეჩერდებოდა და შეცდომას გამოასწორებდა.

ერთ მშვენიერ დღეს, როდესაც კვაზიმოდო უნდა გაგვეღვიძებინა, მივხვდით, ყველანი გავესულელებინეთ — დივანზე ბალიშებს შორის თეთრი, ელვარე კვერცხი იდო. ამის შემდეგ იგი შეიცვალა, გაავდა, გაკუშტდა. აყვანას თუ დავუპირებდით, გაღიზიანებული ხელს გვიკორტნიდა. მალე მეორე კვერცხიც დადო და ახლა კი სულ მთლად შეეცვალა ხასიათი. გაველურდა, გაგარეულდა და ისე გვიყურებდა, როგორც მტრებს. საჭმლისთვის ისე ჩუმად მოიპარებოდა ხოლმე სამზარეულოს კართან, თითქოს დიდი საფრთხე მოელოდა; პატეფონის ხმამაც შინ ვეღარ შემოიტყუა. უკანასკნელად ზეთისხილის ხეზე დავინახე. ტოტზე იჯდა და კეკლუცად და მორცხვად ღუღუნებდა. იმავე ტოტზე კი ცოტა მოშორებით მოზრდილი, ფრიად ვაჟკაცური გარეგნობის მტრედი ტრიალებდა და სიყვარულისაგან თავბრუდასხმული ღუღუნებდა.

დასასრული. იხ. „პიონერი" № 9.



ხოჭოებიანი კაცი ერთხანს საკმაოდ ხშირად დადიოდა ჩვენთან და ჩემს სამხეცეს ახალ-ახალი არსებებით ამდიდრებდა: ხან ბაყაყი მომიყვანა, ხან ფეხმოტეხილი ბეღურა. ერთხელ გულაჩუყებულმა დედაჩემმა და მე ყველა ხოჭო ვიყიდეთ და რომ წავიდა, ბაღში გავუშვით. რამდენიმე დღეს ჩვენი სახლი ხოჭოებით იყო სავსე. დაცოცავდნენ სააბაზანოში, ძვრებოდნენ ლოგინში, ღამე ნათურებს აწყდებოდნენ და ზურმუხტებივით გვიცვიოდნენ კალთაში.

ხოჭოებიანი კაცი უკანასკნელად ერთ საღამოს ვნახე, როდესაც ბორცვის თხემზე ვიჯექი და გზას გავყურებდი. ალბათ დღესასწაულიდან ბრუნდებოდა, ბევრი ღვინო დაელია და ბარბაცით მიდიოდა. სევდიან მელოდიას უკრავდა. გამარჯობა-მეთქი, დავუძახე. რაღაც უცნაურად დამიქნია ხელი, უკან არც გამოუხედავს. გზის მოსახვევთან მისი ფიგურა მკვეთრად გამოისახა ბაცისფერ საღამოს ცაზე. დავინახე მისი დაგლეჯილი ქუდი და ზედ მოფარფატე ფრთები, პიჯაკის ამოტენილი ჯიბეები, მთვლემარე მტრედებით სავსე გალია. თავს ზემოთ ზანტად მოძრავი მკრთალი წერტილები — ხოჭოები. მალე იგი თვალს მოეფარა და ჩემს თვალწინ ფერმკრთალი ცა დარჩა, რომელზეც ვერცხლის ფრთასავით მიცურავდა ახალი მთვარე. საღამოს ბინდში თანდათან იკარგებოდა სალამურის ნაზი წკრიალი.

## ცოდნის გუდა

მარწყვისფერ სახლში დავბინავდით თუ არა, დედაჩემმა განაცხადა, ამ ბავშვს მეცადინეობა თუ არ დავაწყებინეთ, მთლად გატყიურდებაო. მაგრამ ვის უნდა ვემეცადინებინე საბერძნეთის ამ უდაბურ კუნძულზე? როგორც კი ეს პრობლემა დაისვა, საკითხის გადასაჭრელად მთელი ოჯახი ფეხზე დადგა. განათლებაზე ყველას თავისი აზრი ჰქონდა და ამ აზრს ისეთი გაცხოველებით იცავდა, რომ ყოველი კამათი ღრიანცელით მთავრდებოდა.

— დრო თავზე საყრელი აქვს, — ამბობდა ლესლი, — დაჯდეს და იკითხოს. მე შემიძლია სროლაში ვავარჯიშო და თუ ნავს ვიყიდით, ნიჩბოსნობასაც ვასწავლი.

— მართალია, შვილო, მაგრამ ეგ რაში გამოადგება? — იტყოდა დედა და მერე დაბნეული დაუმატებდა, — რა ვიცი, თუ სავაჭრო ფლოტში იმუშავებს...

— მგონია, ყოველ მიზეზგარეშე ცეკვა უნდა ისწავლოს, — ამბობდა მარგო, — თორემ გაუთლელი ხეპრე გაიზრდება.

— მართალია, შვილო, მაგრამ ეს ყოველთვის მოესწრება. ახლა სჯობია, ისეთი საგნების საფუძვლებს დაეუფლოს, როგორიც არის მათემატიკა, ფრანგული... ორთოგრაფიაშიც საშინლად მოიკოჭლებს.

— ლიტერატურა, — დაბეჯითებით იტყოდა ლარი, — აი რა სჭირდება. ლიტერატურის საფუძვლიანი შესწავლა. დანარჩენი თავისით მოვა. მე ყოველთვის კარგ წიგნებს ვაძლევ ხოლმე.

— შენი აზრით, რაბლესთვის ჯერ პატარა არ არის? — იჭვნეულად ეკითხება დედა.

— სრულიადაც არა, — დაუყოვნებლივ თქვა ლარიმ, — ბავშვს ახლავე სწორი წარმოდგენა შეექმნება სექსზე.

— შენ კიდევ რას აგიჩემებია ეს სექსი, — მკაცრად უთხრა მარგომ, რაზეც არ უნდა ელაპარაკებოდეთ, ყველგან ეს სექსი უნდა ჩაატანოს.

— ბავშვს ჰაერზე ყოფნა ესაჭიროება, სროლასა და ნიჩბოსნობას თუ ისწავლის... — დაიწყებდა ისევ ლესლი.

— კარგი, ერთი... ვიცი, ახლა ცივ შხაპზე დაიწყებ მსჯელობას...

— აი შენი უბედურებაც ეგ არის, რომ საკუთარ თავზე ისეთი დიდი წარმოდგენა გაქვს, სხვის აზრს ყურსაც არ უგდებ.

— ტყუილად გგონია, რომ შენისთანა გონებაშეზღუდულის აზრს ყურს დავუგდებ.

— წყნარად, წყნარად, რა გაჩხუბებთ, — ამბობდა დედა.

— აი სულ ლარის დაუფიქრებლობის ბრალია.

— ხედავ — აღშფოთდებოდა ლარი, — ვისზე ამბობ, ამ ოჯახში ერთადერთ დაფიქრებულ ადამიანზე?!

— კარგი, შვილო, ჩხუბით საკითხს ვერ გადაწყვეტთ. საჭიროა ვინმე ვიშოვოთ, ვინც ჯერის ამეცადინებს და მის მიდრეკილებებს წაახალისებს.

— იგი ჯერჯერობით ერთადერთ მიდრეკილებას ავლენს, — მწარედ თქვა ლარიმ, — მთელი სახლი ცხოველებითა და მწერებით აავსო. ვფიქრობ, ამ მხრივ მი-

სი წაქეზება საჭირო არ არის. ცხოვრებაში ისედაც ათასი საფრთხე მოგელის. ამ დილას სიგარეტი უნდა მომეწია და კოლოფიდან უზარმაზარი კრაზანა შემომაფრინდა.

— ჩემთან კალია იყო, — წაიდუდღუნა ლესლიმ.

— ამას უთუოდ ბოლო უნდა მოეღოს, — თქვა მარგომაც, — ჩემს ტუალეტის მაგიდაზე შემაზრზენი ჭიაყელებით სავსე ქილა იდგა.

— კრაზანების შემოტევას გავუძლებდი, ეს გატაცება რაიმე შედეგს რომ გამოიღებდეს, — აღნიშნა ლარიმ, — მაგრამ ეს დროებითია... თოთხმეტი წლისა გახდება და გადაუვლის.

— ეს გატაცება ორი წლიდან დღემდე ოდნავაც არ განელებია. — თქვა დედამ.

— კარგი, რაკი ასე გსურს, ტვინი უსარგებლო ცოდნით გამოვუტენო, ალბათ ჯორჯი უარს არ იტყვის და მოჰკიდებს ხელს მის განათლებას.

— ბრწყინვალე აზრია. — თქვა ჰმაყოფილმა დედამ, — უთუოდ წადი და ნახე. მგონი, რაც ადრე დაიწყებს, უკეთესია.

ამ დროს მე და როჯერი საღამოს ბინდიბუნდში ღია ფანჯრის ქვეშ ვისხედით. მე როჯერის გაბურძგნულ კისერზე ხელი მქონდა შემოხვეული და გულისყურითა და, ცოტა არ იყოს, ბრაზმორეული ვუსმენდი, როგორ წყვეტდნენ ჩემიანები ჩემს ბედ-იღბალს. როდესაც ყველაფერი გადაწყდა, ვიფიქრე, ნეტავ ვინ არის ეს ჯორჯი და რატომ არის აუცილებელი მეცადინეობა-მეთქი. მაგრამ საღამოს ხშირ ბინდში ისეთი ყვავილების სურნელი იდგა, ზეთისხილის კორომები ისე ჩამობურული და მიმზიდველი იყო, რომ მეცადინეობის მოსალოდნელი საფრთხე ხელად გადამავიწყდა და მაყვლის გაბარდულ ბუჩქებში გაფანტული ციცინათელების დასაჭერად წავედი.

მალე გავიგე, რომ ჯორჯი ლარის მეგობარი ყოფილა და კორფუზე სამწერლო მოღვაწეობას ეწეოდა. ამაში უჩვეულო არაფერი არ იყო, რადგან მაშინ ლარის ყველა ნაცნობმეგობარი ან მწერალი იყო, ან პოეტი და მხატვარი. სწორედ ჯორჯის წყალობით მოვხვდით კორფუზე. ისეთ აღფრთოვანებულ წერილებს გზავნიდა, რომ ლარი დარწმუნდა, კორფუს გარდა სხვაგან ცხოვრება არ შეიძლებაო. ახლა კი აგოს პასუხი თავისი დაუფიქრებლობისთვის. ჯორჯი ჩვენთან მოვიდა, დედაჩემს ესაუბრა და მერე მეც გამაცნეს. ეჭვის თვალით შევათვალიერეთ ერთმანეთი. ჯორჯი ძალიან მაღალი და უკიდურესად გამხდარი კაცი იყო, უცნაური, სცენის თოჯინასავით შეწყვეტილი მოძრაობები ჰქონდა, მისი ხმელხმელი, გაძვალტყავებული სახე თითქმის დამალული იყო მუქი ჭაბლისფერი, წვეტიანი წვერებითა და კუს ბაკნის ჩარჩოიანი სათვალით. დაბალი, მელანქოლიური ხმით ლაპარაკობდა და მშრალი, სარკასტული იუმორი ჰქონდა, როდესაც იხუმრებდა, კმაყოფილი ულვაშებში ეშმაკურად ჩაიღიმებდა და სხვისი რეაქცია არ აინტერესებდა.

იგი სერიოზულად მოეკიდა ჩემთან მეცადინეობას. ვერ დააბრკოლა იმ ფაქტმა, რომ კუნძულზე სახელმძღვანელოები არ იშოვებოდა. უბრალოდ თავისი ბიბლიოთეკა კარგად გადაჩხრიკა და დანიშნულ დღეს სრულიად უჩვეულო წიგნებით შეიარაღებული გამოცხადდა. პირქუშად, მოთმინებით მასწავლიდა გეოგრაფიას ძველი „ენციკლოპედიის“ უკანა ყდაზე დაბეჭდილი რუკების მიხედვით, ინგლისურს — სხვადასხვა წიგნიდან, უაილდიდან დაწყებული და გიბონით გათავებული, ფრანგულს—რომელიღაც სქელი, საინტერესო წიგნით და მათემატიკას ზეპირად — მეხსიერებით; ჩემი აზრით, ყველაზე მეტი დრო ბუნებისმეტყველებისთვის უნდა დაგვეთმო და ჯორჯიც კეთილსინდისიერად და გულმოდგინედ მასწავლიდა, როგორ მეწარმოებინა დაკვირვებები და დღიურები. ამის შედეგად ბუნებით უთავბოლო გატაცებას გეზი მიეცა, მივხვდი, რომ შთაბეჭდილებების ჩაწერა მოვლენების უკეთ შესწავლასა და დახსომებაში მეხმარებოდა. მხოლოდ იმ გაკვეთილებზე არ მიგვიანდებოდა, როდესაც ბუნებისმეტყველებაში უნდა გვემეცადინა.

ყოველ დილას, ცხრა საათისათვის ზეთისხილის ხეებს შორის საქმიანად მომავალი ჯორჯი გამოჩნდებოდა ხოლმე. შორტები და სანდლები ეცვა, ფარფლებშემოცვეთილი უშველებელი ჩალის ქუდი ეხურა. იღლიაში წიგნების დასტა ამოეჩარა და ჯოხის ქნევით მოაბიჯებდა.

— დილა მშვიდობისა. დარწმუნებული ვარ, მოწაფე მოუთმენლად ელის თავის მასწავლებელს, — მეტყოდა იგი და თავშეკავებულად გაიღიმებდა.

პატარა სასადილო ოთახის დარაბები მზის გამო დახურული იყო ხოლმე და შიგ მწვანე ბინდი იდგა. ჯორჯი მაგიდასთან მივიდოდა და წიგნებს ფაქიზად დააწყობდა. დასიცხული ბუზები ნელა დაცოცავდნენ კედლებზე, ან დარეტიანებულები ზანტი ზუზუნით დაფრი-



ნავდნენ ოთახში. გარეთ მოუღლელი ჭრიჭინები ახალ დღეს ეგებებოდნენ.

— ვნახოთ, ვნახოთ, — ბუტბუტებდა ჯორჯი და საგულდაგულოდ შედგენილ ცხრილში გრძელი სალოკი თითით რაღაცას ეძებდა — დიახ, დიახ, მათემატიკა. თუ სწორად მახსოვს, ურთულესი საკითხის გადაწყვეტას ვცდილობდით — რამდენ დღეში ააშენებს ექვსი კაცი კედელს, თუ ასეთივე კედლის აშენებას სამი კაცი ერთ კვირას ანდომებს. მე მგონი ამ ამოცანის ამოსახსნელად იმდენივე დრო დაგვჭირდა, რამდენიც იმ კაცებს კედლის ასაშენებლად. აბა, განვემზადოთ საბრძოლველად და ერთხელაც ვცადოთ. შენ ალბათ ამოცანის შინაარსი არ მოგწონს, არა? აბა, ვცადოთ და უფრო საინტერესოდ შევადგინოთ.

იგი ამოცანების წიგნში ჩაიხედავდა, ჩაფიქრდებოდა და დროდადრო წვერს მოიწიწკნიდა ხოლმე. შემდეგ მსხვილი, მკაფიო ასოებით გადმოწერდა ახლებურად შედგენილ ამოცანას.

— ორი მუხლუხა რვა ფოთლის შეჭმას ერთ კვირას ანდომებს. რამდენ ხანში შეჭამს ოთხი მუხლუხა ამდენსავე ფოთოლს?. აბა, შეეცადე ამოხსნა.

ვიდრე მე მუხლუხების მადის ძნელად ამოსახსნელი პრობლემის გარკვევაზე ვწვალობდი, ჯორჯი სხვა საქმით ერთობოდა. იგი გამოცდილი მოფარიკავე იყო, ხოლო იმ ხანებში ადგილობრივი ხალხური ცეკვების შესწავლით იყო გატაცებული. და მაშინ, როდესაც მე ამოცანის ამოხსნაზე თავს ვიმტვრევდი, იგი ოთახის ბინდბუნდში დაფარფატებდა და ფარიკაობის ან ცეკვის ილეთებს ხვეწდა. ეს ჩვეულება, ცოტა არ იყოს, ყურადღებას მიფანტავდა და ახლა რომ მათემატიკაში მოვიკოჭლებ, დღესაც ამით ვხსნი. ახლაც, სრულიად მარტივი ამოცანის ამოხსნა რომ დამჭირდება, თვალწინ ჯორჯის აწოწილი სხეული დამიდგება. ნახევრად ჩაბნელებულ ოთახს ცეკვა-ცეკვით ირგვლივ უვლის და ფუტკრის დარბეული სკასავით ბოხი ხმით დუდუნებს.

— დიმპი-ტაური, დამპი-ტაური... დიმპი-ტაური, დამ... მარცხენა ფეხი წინ... სამი ნაბიჯი მარჯვნივ... დამპი-ტაური, დიმპი-ტაური, დიმ... ტრიალი, ტრიალი, ახტომა, დახტომა... დიმპი-ტაური, დი... — ღიღინებდა იგი და მოწყენილ წეროსავით ტრიალებდა. მერე უეცრად ღიღინს შეწყვეტდა, თვალებში უდრეკი გამომეტყველება ჩაუდგებოდა, ჯერ თითქოს ვიღაცას იგერიებდა, მერე კი წარმოსახვით მტერს მახვილს მოუღერებდა, თვალები დაუვიწროვდებოდა, სათვალეს აელვარებდა და ფეხდაფეხ მიჰყვებოდა. მოხერხებულად აუვლიდა ავეჯს, კუთხეში მიიმწყვდევდა მტერს და კრაზანასავით სწრაფად შეუტევდა, ხან თვითონ აძგერებდა მახვილს, ხან მტრის მოქნეულ მახვილს აიცდენდა. თითქოს ფოლადის ელვარებასაც ვხედავდი. აი, ფინალური მომენტიც, ჯორჯმა ქვემოდან აუკრა მახვილი მტერს, იარაღი განზე გააწევინა, სწრაფად უკან დაიხია, სწრაფადვე მიეჭრა და უეცრად შიგ გულში გაუყარა მოწინააღმდეგეს. ვიჯექი და მოხიბლული შევცქეროდი ბრძოლას. ვიღას ახსოვდა ამოცანების წიგნი. მათემატიკაში ვერაფერს მივაღწიეთ.

გეოგრაფიაში საქმე უკეთ მიდიოდა, რადგან ჯორჯმა ამ საგანს ზოოლოგიური ელფერი მისცა. ვხატავდით უზარმაზარ, მთაგრეხილებით დახაზულ რუკებს და შემდეგ სხვადასხვა ადგილებს იქ გავრცელებული ცხოველებითა და მცენარეებით ვავსებდით. ამგვარად, გამოდიოდა, რომ ცეილონში უმთავრესად ტაპირები ბინადრობდნენ და ჩაი ხარობდა, ინდოეთში ვეფხვები და ბრინჯი, ავსტრალიაში კენგურუ და ცხვარი, ხოლო ცისფერი ოკეანის დინებები, იქ, სადაც გრიგალები, პასატები, დარი და ავდარი იბადებოდა, სავსე იყო ვეშაპებით, ალბატროსებით, პინგვინებითა და ლომვეშაპებით. ჩვენი რუკები ჭეშმარიტი ხელოვნების ნიმუშები იყო. ვულკანები ისეთ ცეცხლსა და ნაპერწკლებს ისროდნენ, რომ ქაღალდის კონტინენტებს გადაბუგვა ემუქრებოდა, ხოლო მსოფლიოს უმაღლესი ქედები თოვლისა და ყინულისაგან ლურჯ-თეთრად ისე ელვარებდა, მის შემხედვარეს ტანში ჟრუანტელი დაგივლიდათ. ჩვენი ყავისფერი, გადახრუკული უდაბნოები აქლემებისა და პირამიდების კუზებს დაეფარათ, ხოლო ტროპიკული ტყეები ისეთი დაბურული და უღრანი იყო, რომ მოუქნელი იაგუარები, სრიალა გველები და მოღუშული გორილები შიგ ძლივს დაძვრებოდნენ. ტყის პირას გამხდარი, დაქანცული ზანგები ხეებს ჩეხავდნენ და ადგილებს ალბათ იმისათვის ასუფთავებდნენ, რომ აქ აცა-ბაცა ასოებით დამეწერა „ყავა“, ან „მარცვლეული“. ჩვენს განიერ, კესანესავით ლურჯ მდინარეებში ნავები და ნიანგები დაცურავდნენ. ჩვენი ოკეანეები უდაბური არ იყო; სადაც ძლიერი შტორმი არ მძვინვარებდა, ან რომელიმე შორეულ, პალმიან კუნძულს მოქცევის უზარმაზარი, შემზარავი ტალღა არ ასკდებოდა, ყველგან სიცოცხლე ჩქეფდა. კეთილი ვეშაპები ყველაზე უვარგის გალეონებსაც კი ახლოს უშვებდნენ და ჰარპუნებმომარჯვებულ მდევრებს ეკვლევინებოდნენ. ნაზი, უცოდველი რვაფეხები ალერსიანად იხუტებდნენ პატარა ნავებს. ჩინური ჯონკების გადაყვითლებულ ეკიპაჟს კბილებდაღრჭენილი ზვიგენების ქარავნები მისდევდა. ხოლო ქურქებში გახვეული ესკიმოსები პოლარული დათვებითა და პინგვინებით სავსე ყინულის ველებზე ჰა და ჰა, დაეწეოდნენ ლომვეშაპების დიდ გუნდს. ეს რუკები სიცოცხლით იყო სავსე, მათზე შეიძლებოდა რამე გესწავლა, ჩაფიქრებულიყავი და კიდევ რაღაც დაგემატებინა: ერთი სიტყვით, ეს რუკები ნამდვილად რაღაცას ნიშნავდა.

ისტორიის გაკვეთილები თავიდან არ მიზიდავდა. მერე ჯორჯი მიხვდა, რომ თუ უღიმღამო ფაქტებს ცოტა ზოოლოგიითა და სხვა სრულიად უადგილო დეტალებით შეალამაზებდა, ჩემს ინტერესს აღძრავდა. ამგვარად შევიტყე ზოგი ისეთი თარიღი, რომლებიც, თუ არა ვცდები, ადრე არსად აღნუსხული არ ყოფილა. არაერთ გაკვეთილზე ვიჯექი სუნთქვაშეკრული და თვალყურს ვადევნებდი ჰანიბალის წინსვლას ალპებში. სრულიადაც არ მაწუხებდა, რამ უბიძგა მას ასეთი მამაცობისაკენ, ან რას აპირებდა მთების გადავლის შემდეგ, ამ, ჩემი აზრით, საკმაოდ ცუდად მოწყობილ ექსპედიციაში, მე მხოლოდ სპილოების სახელები მაინტერესებდა. გავიგე ისიც, რომ ჰანიბალმა სპილოების მომვლელ კაცს არა მარტო მათი კვება დაავალა, არამედ ცივ ამინდში მათი ცხელი წყლით უზრუნველყოფაც უბრძანა. ეს საინტერესო ფაქტი არც ერთი სერიოზული ისტორიკოსისათვის არ არის ცნობილი. კიდევ ერთი ფაქტი, რომლის შესახებაც ისტორიის სახელმძღვანელოების უმეტესობა დუმს, ის გახლავთ, რომ დაადგა თუ არა კოლუმბმა ფეხი ამერიკის მიწას, შესძახა: „ღმერთო, მაღალო, შეხეთ... იაგუარი“. ასეთი შესავლის შემდეგ როგორ არ დაინტერესდები კონტინენტის ისტორიით? ამგვარად ცდილობდა შეუფერებელი სახელმძღვანელოებითა და ზარმაცი მოწაფით შებორკილი ჯორჯი გაკვეთილები საინტერესო გაეხადა.

როჯერს, რა თქმა უნდა, ეგონა, რომ დილაობით დროს მთლად უქმად ვკარგავდი. მაგრამ მაინც არ მტოვებდა და მანამ მე გაკვეთილებს თავს ვაკლავდი, მაგიდის ქვეშ ეძინა, ხანდახან, თუ წიგნისთვის ავდგებოდი, გაიღვიძებდა, წამოდგებოდა, ბალანს შეიბერტყავდა, ხმამაღ-

ლა დაამთქნარებდა და კუდს აქიცინებდა. მაგრამ ამ დროს დაინახავდა, რომ ისევ მაგიდას მივუჯექი და ყურებჩამოყრილი კვლავ თავის კუთხეში წალასლასდებოდა, მორჩილად ამოიოხრებდა და იატაკზე დამრგვალდებოდა. ჯორჯი როჯერის ოთახში ყოფნის წინააღმდეგი არ იყო, რადგან მას თავი კარგად ეჭირა და ყურადღებას არ მიფანტავდა. იშვიათად, თუ ღრმად ჩაეძინებოდა და ამ დროს სოფლის ძაღლის ყეფას გაიგონებდა, შემკრთალი წამოხტებოდა და ჩახრინწული ხმით შეჰყეფდა. მაგრამ როდესაც მიხვდებოდა, სად იყო, ჩვენს მწყრალ სახეებს დარცხვენით შეათვალიერებდა, კუდის ნარჩენი აუთრთოლდებოდა და დაბნეული თვალს აგვარიდებდა.

ერთ ხანს გაკვეთილებს კვაზიმოდოც ესწრებოდა და კარგადაც იქცეოდა. მუხლზე მეჯდა და მთელ დილას თვლემასა და ღუღუნში ატარებდა. მაგრამ იგი მე თვითონ გავაგდე, რადგან ერთხელ ახლად დამთავრებული ძალიან ლამაზი რუკის შუაგულში მთელი ბოთლი მწვანე მელანი დაჰიღვარა. მართალია, ეს ველურობა განზრახ არ ჩაუდენია, მაგრამ მე მაინც განვრისხდი. მთელი კვირა ცდილობდა კვაზიმოდო ჩემი გულის მონადირებას. კარებთან ჩამოჯდებოდა, ჭუჭრუტანაში იხედებოდა და მაცდურად ღუღუნებდა. რამდენჯერმე გული მომილბა, მაგრამ მის საზიზღარ, ჭახჭახა მწვანე ბოლოს რომ დავინახავდი, ისევ ბრაზი მერეოდა.

ერთ გაკვეთილს აქილევსიც დაესწრო, მაგრამ ოთახში ყოფნა მაინცდამაინც არ ესიამოვნა. მთელ დილას დაბორიალობდა ოთახში და ხან კარს ფხოჭნიდა, ხან იატაკის თამასას. შემდეგ რაღაცის ქვეშ შეიჭედა და ისეთი ფხაჭა-ფხუჭი ატეხა, იძულებული გავხდით, ავმდგარიყავით და გამოგვეხსნა. ოთახი ძალიან პატარა იყო და ერთ ნივთს ისე ვერ გადაადგილებდი, სხვებიც რომ არ მიგეყოლებინა. და როდესაც აქილევსი უკვე მესამედ გამოვიყვანეთ სავარძლის თუ კარადის ქვეშიდან, ჯორჯმა განაცხადა, კარტერ პატერსონთან არასოდეს მიმსახურია და ასეთი მძიმე სამუშაოს ჩვეული არა ვარ, ამიტომ ჩემთვისაც და აქილევსისთვისაც სჯობია, იგი ბაღში გავუშვათო.

ამგვარად, ბოლოს მხოლოდ როჯერი დარჩა. მართალია, ძალიან მოსახერხებელი იყო, მეცადინეობის დროს მის ბანჯგვლიან ზურგზე ფეხების დაწყობა, მაგრამ ყურადღება მაინც მეფანტებოდა, რადგან დარაბებში შემოსული მზის შუქი ვეფხვის ზოლებივით ეფინა მაგიდასა და იატაკზე და მახსენებდა ათასგვარ საქმეს, რისი გაკეთებაც იმ დროს შემეძლო.

ჯორჯმა ყველაფერი გაითვალისწინა და გარეთ მეცადინეობის ახალი სისტემა შემოიღო. ზოგჯერ უშველეპელ, ბურძგლა პირსახოცს მოიყოლებდა ხოლმე და ერთად გავყვებოდით ზეთისხილის ტყეებს. მერე თეთრი მტვრით დაფარულ ხავერდოვან გზაზე გადავუხვევდით. შემდეგ ერთხანს დაბალი, კლდოვანი ქედის წვერზე თხის ბილიკით ვივლიდით და მიყრუებულ პატარა ყურეს მივადგებოდით, რომელსაც თეთრი სილით მოფენილი ნახევარმთვარის ფორმის სანაპირო ეკრა. აქვე ჯუჯა ზეთისხილის კორომების ძირას საამო ჩრდილი იდგა. დაბალი კლდის წვერიდან წყალი ისეთი წყნარი და გამჭვირვალე ჩანდა, თითქოს არც იყო და ტალღოვნად ფსკერს ზემოთ მოცურავე თევზები თითქოს ჰაერში დაფრინავდნენ. კამკამა წყალში ექვსი ფუტის სიღრმეზე მოჩანდა ლოდიდან ამოზრდილი ანემონების ნაირფერი, ნაზი მკლავები, ფსკერზე კიბოები დაცოცავდნენ და ჩიკორას ფორმის სახლებს დაათრევდნენ.

ხეების ჩრდილში გავიხდიდით და თბილ, კრიალა წყალში შევცურდებოდით, სახეს შიგ ჩავყოფდით და ლოდებსა და წყალმცენარეებს ვათვალიერებდით. ხანდახან თუ რაიმე უჩვეულოს მოვკრავდით თვალს, ამოსაღებად ფსკერზე ჩავყვინთავდით. ხან დანარჩენებისაგან განსხვავებული ნიჟარა მოგვეწონებოდა, ხან დიდი ზომის კიბო, რომელსაც ნიჟარაზე ანემონა ამოსვლოდა და ამის გამო ვარდისფერი ყვავილით მორთულ ქუდს დამსგავსებოდა. აქა-იქ, ქვიშიან ფსკერზე შავი დამინარიების წაგრძელებული კვლები მოჩანდა, ამ კვლებში კიტრანა ჰოლოტურიები ცხოვრობდნენ. ფეხებს ფსკერისკენ ჩავკიდებდით და ვცდილობდით შავი და მწვანე წყალმცენარეების ვიწრო, პრიალა ფოთლების ხლართებს შორის ფსკერი დაგვენახა. წყალში ისე ვეკიდეთ, როგორც ქორები ტყის თავზე. წყალმცენარეებს შორის ჰოლოტურიები მოჩანდნენ, ზღვის ბინადართა შორის ალბათ ყველაზე უშნო არსებანი. ექვსიოდე დუიმის სისქისანი, ყავისფერი, მეჭეჭებიანი ტყავისაგან გამზადებულ, გაბერილ კუპატებს ჰგავდნენ. ეს პრიმიტიული უაზრო არსებანი, რომლებიც ერთ ადგილზე იწვნენ და მხოლოდ ტალღების რხევა ამოძრავებდათ, ერთი ბოლოდან ისრუტავდნენ ზღვის წყალს და მეორიდან უშვებდნენ. ამგვარად წყლის უმცირესი მცენარეები და ცხოველები მათ ფილტრისებურ კუჭში ილექებიან. ვერავინ იტყვის, ჰოლოტურიები საინტერესო ცხოვრებას ეწევიანო. ისინი მონოტონურად გორავენ ქვიშაში და უსასრულოდ იწოვენ ზღვის წყალს. ამ უშნოდ გასიებულ არსებებს თავდაცვის უნარი თითქოს არ უნდა გააჩნდეთ და არც უნდა ესაჭიროებოდეთ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, თავიანთი უკმაყოფილების გამოხატვა მათაც შეუძლიათ. თუ წყლიდან ამოიყვანთ, სხეულის რომელიმე ნაწილიდან სრულიად ძალდაუტანებლად ამოასხამენ წყლის ნაკადს. ამ წყლისმსროლელი იარაღით თამაში მოვიგონეთ. ორივენი თითო ჰოლოტურიით შევიარაღდებოდით და წყალს ამოვასხმევინებდით, სადაც წყლის ნაკადი ზღვის ზედაპირს შეეხებოდა, იქ უნდა გაგვეცურა და რომელიც იმ ადგილიდან უფრო მეტ წყლის ცხოველს ამოიყვანდა, გამარჯვებულად ის ითვლებოდა. ხანდახან, როგორც ყოველგვარი თამაშის დროს, ისე ავინთებოდით, რომ ერთმანეთს აღარ ვენდობოდით და სიცრუეს ვუსაყვედურებდით. აქ კი ჩვენი ჰოლოტურიები ზედგამოჭრილი იარაღი იყო. გამოყენების შემდეგ ისევ წყალმცენარეების ტყეში ვაბრუნებდით, მეორედ რომ ჩავყვინთავდით, ისინი ისევ იქ გვხვდებოდნენ.



თარგმნა
მზია შატბერაშვილმა.

ელექტრონული ბიბლიოთეკა



# «მეონდეს სამშობლო!..»

**ბავშვები სამყაროში**

**ახლო აღმოსავლეთში გამგზავრების წინ ჩემს ნაცნობ ჟურნალისტს, რომელიც პალესტინელი ლტოლვილების ბანაკებში ნამყოფი იყო, ვკითხე:**

**— რამ მოახდინა იქ შენზე ყველაზე დიდი შთაბეჭდილება?**

**— ბავშვებმა, — მოკლედ მომიგო მან, — ათასობით ბავშვმა, რომელთაც წართმეული აქვთ ბავშვობა. ყოველ მათგანს თავისი პატარა ტრაგედია აქვს, მაგრამ ერთი მათგანიც კი საკმარისია იმისათვის, რომ სამუდამოდ შეგძაგდეს ომი.**

## ბავშვოგადაკარგულნი

არ მახსოვს, ვის უთქვამს, მწუხარება და სიღარიბე ყველგან ერთმანეთსა ჰგავსო. ამ სიტყვების სიმართლეში დავრწმუნდი, როცა საშუალება მომეცა მენახა პალესტინელი ლტოლვილების ბანაკები ლიბანში, რომლებიც ერთურთისაგან მხოლოდ სახელებით განსხვავდებოდნენ. ყველგან ერთნაირად გასაცოდავებული, მიწასგაკრული ქოხმახები, სახელდახელოდ შეკოწიწებული ფირფიცრის ყუთებისა, ქვისა, თუნუქის ფურცლებისა და მზეზე გამოხუნებული ძონძებისაგან.

შორიდან ისინი ადამიანის სადგომს კი არა, რაღაც ფანტასტურ ჭიანჭველების ბუდეს უფრო ჰგვანან.

თვალს ყველგან უნებლიეთ ხვდება ბავშვების არაქათგამოცლილი სახეები, ისინი მზისგულზე მტვერში თამაშობენ კარვებისა და ქოხმახების წინ.

— მათ არ იციან ხორცისა და რძის გემო. ჩვენთვის, უფროსებისათვის, ამას არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, ჩვენ, სულ ერთია, მაინც ვიბრძოლებთ, ვიდრე გული გვიცემს, ჩვენ შეჩვეულები ვართ გაჭირვებას. მაგრამ გულს გვიკლავს ამ ბავშვების ცქერა, რომელთაც ბავშვობა წაართვა ომმა. — ნაღვლიანად მიხსნის პალესტინელი პარტიზანი ალი რაშიდი, მას უღიმილო სახე აქვს და ღრმა ნაჭრილობევი ამჩნევია მარცხენა ლოყაზე.

იგი ჯერ ცხრამეტი წლისაც არ არის, ობოლია. თავის ნამდვილ სახელს მხოლოდ მაშინ გამიმხელს, როდესაც განშორების ჟამი დადგება. პირველი გაცნობისას მეშინოდა, რომ გულჩახვეული იქნებოდა და სიტყვას ვერ ვათქმევინებდი, მაგრამ შიში არ გამიმართლდა. გარდა იმისა, რომ იგი მზრუნველი მეგზური იყო, მოსაუბრეც კარგი გამოდგა. მალე შევნიშნე, ალის ბავშვებზე სიტყვის ჩამოგდებისთანავე თვალებში ნაღვლიანი სითბო ელვრება. მე უჩვეულოდ მომეჩვენა ეს გარემოება ცხრამეტი წლის ახალგაზრდისათვის, რომელსაც ხუთი წელიწადია ხელიდან არ გაუშვია იარაღი. ბავშვებისათვის ასეთი თვალით ყურება შეუძლია მხოლოდ გამოცდილებით დაბრძენებულ ადამიანს, რომელმაც ხანგრძლივი ცხოვრება განვლო.

— ამათ კიდევ რა უჭირთ, — განაგრძობდა თავის სევდიან თხრობას ალი. — ამათ მშობლები მაინცა ჰყავთ. მე გაჩვენებთ ისეთ ბავშვებს, რომელთაც ომმა ყველაფერი წაართვა, გესმის? ყველაფერი!

— ეს ბავშვები ომისგან შობილი ბოკვერები არიან. მათ ცხოვრებისაგან დაქანცული მოხუცების სერიოზული შეხედულება აქვთ. მწუხარებამ ჩაუკლა მათ ღიმილი. ყველაფერი ახალი და უჩვეულო მათში სიხარულსა და უზრუნველ ცნობისმოყვარეობას კი არ იწვევს, არამედ უნდობლობას. ბევრი მათგანი, უკვე მებრძოლი გახდა და უფროსებს დიდი ჯაფა დაადგათ, რომ ისინი პარტიზანული რაზმებიდან ლიბანის ტერიტორიაზე გაეგზავნათ...

დიახ, ათი წლის ბიჭუნებს სურთ იბრძოლონ, ოცნებობენ იარაღზე.

მაგრამ პირადი გმირობისა და თავგამოჩენისათვის კი არა, არამედ იმისთვის, რომ სამშობლოში დაბრუნდნენ, როგორც განმათავისუფლებლები.

ერთხელ ასეთ ეპიზოდს შევესწარი. სამხრეთ ლიბანის ერთ-ერთ პატარა ქალაქ ლაბატიის ქუჩაში ვინმე დასავლეთელი ჟურნალისტი დაძონძილ ბავშვებში ჩამდგარიყო და ბატონკაცურად, მოყირჭებულობის შემწყალებელი ცნობისმოყვარეობით ეკითხებოდა, ყველაზე მეტად რასინატრებდითო. ბავშვები უხერხულად იმშუშნებოდნენ, თითქოს არ ესმით რას ეკითხებიანო. მათი მშიერი თვალები წვავდა ჟურნალისტს.

— აბა, რას ისურვებდით ყველაფერზე მეტად? — გაუმეორა შეკითხვა მან.

და მაშინ ერთმა, სხვებთან შედარებით უფროსმა, ასე თერთმეტი წლისა რომ იქნებოდა, ამაყად შეხედა და უთხრა:

— ყველაზე მეტად ვისურვებდით გვქონოდა სამშობლო!

## „საჩუქრები“ თელ-ავივიდან

სათამაშო—ეს არის ბავშვის სიხარულის მატერიალური ხორცშესხმა. სათამაშო—ეს არის ჭიშკარი განსაკუთრებულ, იდუმალ სამყაროში, რომელიც მიუწვდომელია უფროსებისათვის. უსათამაშოებოდ წარმოუდგენელია ბავშვობა. ლტოლვილთა ბანაკებსა და სკოლებში, მე ვნახე, როგორ აკეთებდნენ პატარა პალესტინელები სათამაშოებს. ამასთან გასაოცარ ფანტაზიასა და გამომგონებლობას ამჟღავნებდნენ. მაგრამ ჩემი გონება დაიპყრო სათამაშოებთან დაკავშირებულმა სულ სხვა შემთხვევამ.

ბოლო საღამო ბეირუთში. ხვალ დამასკოში უნდა გავემგზავრო. მე და ალი ერთ-ერთ პატარა კაფეს ტერასაზე ვზივართ. გრილი ზღვაური ქრის. შორეული გემის პროჟექტორი აუჩქარებლად დაცოცავს სანაპირო ქვებზე და მერე სადღაც ჩაშავებულ კლდეებში იხლართება. ცა კაშკაშა ვარსკვლავებით არის მოჭედილი, ჰორიზონტზე კი ნელ-ნელა ამოდის მთვარე. შიგადაშიგ საათს დავყურებ. ალი ამჩნევს ამას და დამნაშავესავით იჩეჩს მხრებს: ეტყობა, რაღაცამ შეაფერხა ჩემი მეგობრებიო.

მაგრამ აი დაბლა მავრალ გაჯახუნდა მანქანის კარი და წუთში ტერასაზე გაჩნდა ახალგაზრდების ჯგუფი. ხმაურიანი მისალმებები, დარიგება, ბედნიერებისა და ჯანმრთელობის სურვილები. ვიღაც ფოტოსურათების მთელ დასტას მაწვდის. მათზე სათამაშოებია გამოსახული. სპილოები, ძაღლები, ლამაზი, თმაგაშლილი თოჯინები, სურათებს აქვს წარწერა „გაკეთებულია ისრაელში“.

— ლტოლვილთა ბანაკებშია გადაღებული, — მიხსნის ვიღაც, რადგან სახეზე მეტყობა, რომ ვერაფერი გამიგია, როგორ მოხვდა ისრაელში გაკეთებული სათამაშოები პალესტინელების ბანაკებში.

როგორ და აი ასე:

ეს არის კიდევ ერთი სამხედრო დანაშაული, მე-20 საუკუნის ბარბაროსობა. ლამაზი თოჯინები — სიკვდილია. თოჯინები გამოტენილია ფეთქებადი ნივთიერებით. ეს სათამაშოები თვითმფრინავიდან ჩამოყარეს პალესტინელი ლტოლვილების დასახლებულ პუნქტებსა და ბანაკებში.

ახალგაზრდებმა მაჩვენეს სურათი დასახიჩრებული გოგონასი, რომელ-



მაც ასეთი თოჯინა ხელში აიღო. ასაფეთქებელმა მექანიზმმა ზუსტად იმოქმედა: გოგონას ხელები წააგლიჯა და სახე პატარა ნამსხვრევების ნაჭრილობევებმა დაუფარა. ალი რაშიდმა მიამბო, რომ ერთი ასეთი თოჯინის გაკეთებაზე დახარჯული თანხა, საკმარისი იქნებოდა იმისათვის, რომ სათამაშოებით უზრუნველგვეყო ლტოლვილთა ბანაკებში მყოფი ბავშვების თითქმის ნახევარი.

## ბავშვები ომს ხატავენ

ნამატიაში მე და რაშიდი იმ სკოლაში შევედით, სადაც პატარა პალესტინელები სწავლობენ. სკოლა ჰქვია, თორემ რა სკოლაა. იდგა დაბალი, გატყაული შენობა, რომელიც ბარაკს უფრო ჰგავდა. რამდენიმე პაწაწკინტელა ოთახში ტევა არ იყო. სკოლაში არა აქვთ სახელმძღვანელოები, რვეულები, და მაინც ყველაფერზე მეტად შემძრა ბავშვების ნახატებმა, რომლებიც გვაჩვენეს. ყოველ მათგანში ჩაბუდებულია ომი. როგორც მსოფლიოს ყველა ბავშვი, პატარა პალესტინელებიც ხატავენ მზეს, ამწვანებულ ხეებს, ზღვას, სახლებს, ადამიანებს. მათი ხეები ცეცხლის ალშია გახვეული, ზღვაში იძირება აფეთქებული გემი, სახლები ნანგრევებად არის ქცეული, ადამიანები კი... ადამიანები ფართოდ გაშლილი ხელებით მიწაზე ყრიან.

დიდხანს ვათვალიერებდი ამ გულუბრყვილო და ამის გამო თავისი სიმართლით კიდევ უფრო მეტად საშინელ ნახატებს და ამაოდ ვცდილობდი მათში ერთი მაინც მენახა ისეთი, სადაც არ იყო სიკვდილი. და აი თვალი უნებლიეთ შეჩერდა შვიდი წლის საიდის ნახატზე. მასზე არც სახლის ნანგრევები იყო, არც მტრის თვითმფრინავები და არც ჩასაძირად განწირული გემები. მხო-

ლოდ ძაღლი და ადამიანების ჯგუფი. „მადლობა ღმერთს მშვიდობიანი სცენაა“, — გავიფიქრე მე. მაგრამ იმ წამსვე მივხვდი მის ნამდვილ შინაარსს. საიდის ნახატზე კაცი ისრაელი ჯარისკაცის ფორმაში ძაღლს უსევდა მეორე კაცს!

მასწავლებელმა შეამჩნია ჩემი განსაკუთრებული ინტერესი ამ ნახატისადმი, უხმოდ მივიდა საიდთან და ორივე სახელო მხრებამდე აუკაპიწა. ბიჭს ორივე მკლავი ქოფაკის ეშვების ვარდისფერი ნაჭრილობევებით ჰქონდა დაფარული. რომ არ მეყვირა, სიმწრით ტუჩები მოვიკვნიტე და თვალი ავარიდე.

მასწავლებელმა ბავშვები შესვენებაზე გაუშვა. ისინი ხმაურით გამოცვივდნენ სკოლის ერთი ხელის დადება ეზოში. მე და ალიც გამოვყევით, იქვე ჩრდილში მივდექით და მოთამაშე ბავშვებს დავუწყეთ ცქერა. ალიმ ხელი მომკიდა და პატარა, გამხდარ ბიჭუნაზე მიმითითა, რომელიც სხვებისგან განცალკევებით ეზოს კუთხეში მიყუჟულიყო.

— ამ პატარას კი სახელიც დაუკარგავს, — ხმადაბლა დაიწყო ალიმ. — ეგ კრაფ-შუბიდან არის მგონი. აღარც სადაურობა ახსოვს, აღარც საკუთარი და დედ-მამისა და ძმების სახელი, ერთადერთი, რაც მის მეხსიერებას შემორჩენია, ეს არის, როგორ მოფრინდნენ ისრაელის თვითმფრინავები და დაიწყეს დაბომბვა. მათ სახლს ცეცხლი მოედო. დედმამა ყუმბარის ნამსხვრევებისაგან დაიღუპნენ. ძმებთან ერთად იგი სოფლიდან გაიქცა, მაგრამ გზაში დაიბნენ. ეს ბიჭუნა მარტოდმარტო ნახეს უდაბნოში. ექიმებმა თქვეს, ბიჭს შოკი აქვსო. მას პანიკური შიში ჰქონდა თვითმფრინავებისა. ყოველთვის მათ გამოჩენაზე სადმე ხვრელში შეძვრებოდა ხოლმე და იჯდა მხრებში თავჩარგული, შიშისაგან ცოცხალ-მკვდარი. თვითმფრინავმა მოუტანა მას ტანჯვა და მისი გამოჩენისაგან კარგს არაფერს ელოდა.

რაშიდმა მიამბო, რა მოიმოქმედა მასწავლებელმა იმისათვის, რომ ეს ბავშვი ეხსნა ამ შიშისაგან.

მან მუყაოსაგან გააკეთა ისრაელის თვითმფრინავის მაკეტი და ბიჭის თვალწინ დახია იგი.

— ხედავ, რა ვუქენი ამ თვითმფრინავს? აი ასე ანადგურებენ ჩვენი ჯარისკაცები მათ, — განუმარტა მასწავლებელმა.

ამ უბრალო ფსიქოლოგიურმა ექსპერიმენტმა შედეგი გამოიღო. ბიჭუნამ პირველად გაიღიმა, შემდეგ კი მთელი დღე ამ მუყაოს თვითმფრინავის ნარჩენებით თამაშობდა.

## ბოკვერის სიკვდილი

ეს შეხვედრა მოხდა ელრაშიდიოს გზაზე, პატარა სოფელში, სადაც ალის მეგობარ პალესტინელებთან შევიარეთ. ბევრი პალმების ძირში ვსხედვართ. წვიმის წვრილი წვეთები ოდნავ გასაგონი ხმაურით ეცემიან მის ფოთლებს. წვიმის სქელი ბადის იქით გაუჩინარებულია ცაც, ჰორიზონტიცა და მზით გადატრუსული ღორღიანი ველებიც. წვიმას არავინ აქცევს ყურადღებას. ჩვენ პალესტინელ ხალიდას და მის გიტარას ვუსმენთ. ხმადაბლა, სხვებს რომ ხელი არ შევუშალოთ, ისე, რაშიდი მითარგმნის სიმღერის შინაარსს. ეს არის სიმღერა ბოკვერზე, მის სიცოცხლესა და ბრძოლაზე, სამშობლო მიწის დიდ სიყვარულზე, მის პატარა სიხარულსა და სიკვდილზე.

ქარისაგან მონაბერი წვიმის წვრილი წვეთები სახეზე ცრემლებივით ჩამოსდით მსმენელ პალესტინელებს. და მე ასე მგონია, ჩემ გვერდით იმ პატარა ბოკვერის უფროსი ძმები სხედან და გულმდუღარედ დასტირიან მას. ომი უკვე მერამდენე წელიწადია უხილავად ლაძრწის ლიბანის ამ პატარა სოფელში, და სიკვდილის საშინელ მახეს უგებს ადამიანებს.

...ირგვლივ ისეთი სიბნელეა, თვალთან თითს ვერ მიიტან, პარტიზანებს წარმოუდგენლად დიდი ძალის დაძაბვა უხდებათ, გზას რომ არ ასცდნენ. ცაზე ერთი ვარსკვლავიც არ მოჩანს. მათ ჩრდილებივით უხმოდ გადაიარეს სოფლის წინ ქვა-ღორღიანი ველი და მიწას გაეკვრნენ. სოფელში მტერია, რომელმაც მშვიდობიანი მცხოვრებლები მძევლად წაიყვანა. ეს ადამიანები უნდა გაათავისუფლონ და გადაიყვანონ მშობლიური ადგილებიდან მოშორებით, რომ მტერმა კვლავ არ შეძლოს მათი ხელში ჩაგდება. ისინი იქ თავიანთ თანამოძმეებთან ერთად იცხოვრებენ პალესტინელ ლტოლვილთა ბანაკებში, შიმშილსა და სიღარიბეში, მაგრამ ისინი თავისუფლები იქნებიან. ექნებათ იმედი, გული კი მრისხანებითა და ტკივილით, სამშობლოზე დარდით აღვსილი.

თუ პარტიზანები მძევლებს ვერ გაათავისუფლებენ, ისრაელები მათ დახვრეტენ.

მეთაური პირობით ნიშანს იძლევა. იწყება იერიში, გასროლის ხმა და ყვირილი სიწყნარეს ფლეთს ნაკუწებად და ღამეულ უდაბნოში ფანტავს. ბრძოლა მალე დამთავრდა, მძევლები დახსნილი არიან. პარტიზანები ორ ჯგუფად დაიყვნენ. ერთი სოფლის მცხოვრებლებს ლტოლვილთა ბანაკში წაიყვანს, მეორე ჯგუფმა კი უნდა უზრუნველყოს მათი მშვიდობიანი წასვლა და მერე, თუკი მოახერხებს, თვითონაც დაიხიოს, ოღონდ სხვა გზით — მდევარისთვის კვალის ასაბნევად.

მძიმე სიჩუმე კვლავ მჭიდროდ შემოერტყა დარჩენილ ათეულს. კაცს ეგონება, ომმა დაიხია, სადღაც უდაბნოს უკუნეთში გადაიკარგაო. გადის ნახევარი საათი. მორჩა. ახლა უკვე შეიძლება დაძვრა, სიბნელეს უნდა შეერიო და ერთხელ კიდევ გააცურო დადარაჯებული სიკვდილი.

პარტიზანებმა ის იყო გადალახეს ქვიანი ბორცვები, რომ სადღაც გვერდით ახმაურდნენ ისრაელთა ნაღმსატყორცნები. ბოკვერმა უმალვე იცნო მათი ხმა და მეთაურთან მიიჭრა. ჭურვის აფეთქებამ მოულოდნელად დაარტყა ზურგიდან და ფოლადის ნაისრევებმა გაგლიჯეს მოზარდის სხეული.

* * *

...იგი დიდი ხანი არ არის, რაც რაზმში მოვიდა. მისი მშობლები დაიღუპნენ და მეთაურმა, რომელიც იცნობდა მათ, გადაწყვიტა ასაკის მიუხედავად ბიჭი რაზმში ჩაერიცხა. ბიჭუნა ჯარისკაცი გახდა. ის ყველაფერს აკეთებდა, რასაც უფროსები აკეთებდნენ: იდგა ყარაულში, სწმენდა იარაღს, მიდიოდა რეიდებში.

პარტიზანებმა შენიშნეს, რომ ბიჭი არასოდეს არ იშორებდა დამასკური ფოლადისაგან ნაჭედ გრძელ დანას. ამბობდნენ, ეს მისი პაპის ნაქონი დანააო. თავისუფალ დროს ბიჭი დანას ქარქაშიდან იღებდა და გულმოდგინედ პირავდა. სხვების უჩუმრად მოფერებით უსვამდა ხელს დანას და რაღაცას ბუტბუტებდა.

ბოკვერს ჰკითხეს:

— რად გინდა ეგ დანა. ავტომატი ხომ მოგცეს?

ის კი დუმდა და წყნარად იღიმებოდა.

* * *

...შორეული საძოვრებიდან ცხვარს მორეკავენ. მათი ჩლიქებისაგან ამდგარი მტვერი ჰაერში ოქროსავით ელავს.

პარტიზანების მეთაური პირველი მიდის მწყემსთან და ესალმება. შემდეგ დანარჩენებიც მოახლოვდნენ. საკაცე ძირს დაუშვეს. მწყემსი პარტიზანებს ესალმება და მომლოდინედ შესცქერის.

— აუცილებლად გვჭირდება ცოტა ხორცი, — ამბობს მეთაური, — თუნდაც მხოლოდ ამისთვის, — და თავს ბოკვერისაკენ იქნევს.



19733

— ბანაკამდე მხოლოდ ღამე მივაღწევთ, ბიჭმა კი დიდძალი სისხლი დაკარგა და მთლად გასავათებულია.

მწყემსი მწუხარედ იქნევს თავს.

— კარგით, მოგცემთ, რასაც მთხოვთ... რა მოუვიდა ბიჭს? — კითხულობს ის და საკაცესთან მიდის.

— ეს ჩვენი ბოკვერია, — უხსნის ერთ-ერთი პარტიზანი. — ისრაელები დაგვესხნენ და ნაღმსატყორცნი დაგვიშინეს. ერთი ნაღმი მეთაურის გვერდით აფეთქდა: ბოკვერი კი მასზე დაეცა და თავისი სხეულით დაფარა.

მწყემსი ბიჭს სახეზე აკვირდება და ბუტბუტებს.

— დასანანია ბიჭი... მას კეთილი სახე აქვს და მხვნელ-მთესველის ხელები.

— ის ოცნებობდა მუსიკოსი გამხდარიყო, — ამბობს მეთაური.

* * *

მზე სწრაფად მიცურავს შორეულ ბორცვებს გადაღმა. თბილი სხივის მხოლოდ ნათელი ზოლი რჩება, ვიწრო, როგორც ბოკვერის დანის პირი. პარტიზანები საკაცეს გარს უსხდნენ, უხმოდ ეწეოდნენ თუთუნს და თვალს არ აშორებდნენ ჩამავალი მზის ამ უკანასკნელ სხივს. იგი გამჭვირვალედ თრთოდა ჰაერში და უცებ ოდნავ შეეხო ბიჭის სახეს. ბიჭმა ძლივსძლიერობით ასწია ხელი, თითქოს უნდა მოეფეროსო, მაგრამ გაშავებული, გაძვალტყავებული ხელი უღონოდ დაუვარდა მკერდზე.

— მოითმინე, მალე მივალთ ბანაკში, იქ ექიმია და ის აუცილებლად გიშველის, გესმის, ბოკვერო? შენ შენს მშობლიურ მიწაზე ხარ...

ბიჭმა უკანასკნელი ძალა მოიკრიბა და მეთაურს ხელი მოუჭირა, მაგრამ უმალვე დაუვარდა.

— გათავდა, — წაიჩურჩულა ვიღაცამ.

პარტიზანები ფეხზე დგებიან და მტვერში ამოგანგლულ ბერეტებს თავიდან იხდიან.

გაისმის აფეთქება და პაწაწინა თხრილში სასოებით ჩაასვენებენ ლაბადაში გახვეულ პატარა სხეულს...

...წვიმამ გადაიღო. ბინდი ჩამოწვა. ვუსმენთ ხალიდის სიმღერას, რომელიც თანდათან ნელდება და მშრალი, უდაბნოს ქარის შესახვედრად მიფრინავს.

— რა იყო მისი ნამდვილი სახელი? — ვეკითხები რაშიდს.

— რა მნიშვნელობა აქვს? — ოხრავს რაშიდი.

**ვადიმ გურლაკი.**

ჟურნალიდან „ვოკრუგ სვეტა“.





**ნორჩ კორესპონდენტთა ჟურნალი №17**

## დილა

*დილა გათენდა მზიანი,*
*ოქროსფერდალალიანი;*
*გახარებული ჩიტები*
*წყაროს ნაპირას ჟრიალით*
*დაფრენენ ფრიალ-ფრიალით.*

*ზეცაა ვრცელზე ვრცელი.*
*ყაყაჩოდ გადაქცეული*
*წითლად ელვარებს მინდორი,*
*იქვე ხე არის ეული,*
*წმინდა ცვარ-ნამით მცვრეული.*

## ჩემი სიხარული

*ოჰ, რა კარგი დღეა,*
*როგორ მიხარია,*
*დიდი გოგო გავხდი, —*
*ოქტომბრელი მქვია.*

*მოგიზგიზე მზეო,*
*გეხვეწები გულით, —*
*ყველას გადაეცი*
*ჩემი სიხარული.*

**მანანა ჯანიაშვილი,**

თბილისის 130-ე საშუალო სკოლის II კლასის მოსწავლე.

## შრომა გვალამაზებს

ჭელიაღელის რვაწლიანი სკოლის „ნორჩ ნატურალისტთა“ წრის წევრებმა, წლევანდელი სასწავლო წელი დამთავრებულიც არ იყო, როცა ჩამოვაყალიბეთ მეაბრეშუმეთა, მეყვავილეთა და მებოსტნეთა რგოლები. თითოეული რგოლის წევრებისათვის ფუნქციები თავიდან გარკვეული იყო და საქმესაც შევუდექით.

მეაბრეშუმეობის რგოლის ჩვიდმეტმა წევრმა მოსავლელად ავიყვანეთ დაახლოებით ცხრა გრამი მური და კარგი მოვლა-პატრონობით პარკის ორმაგი მოსავალი მივიღეთ.

მეყვავილეთა რგოლში სამი გოგონაა: ლალი ბიბილაშვილი, მადონა მენაბდე და პოლინე ჭელიძე. ეს გოგონები მზრუნველობას არ აკლებენ ქიმია-ბიოლოგიის კაბინეტში მოთავსებულ ყვავილებს. ოთხშაბათობითა და შაბათობით კაბინეტში არიან და რწყავენ მათ. საცდელი მიწის ნაკვეთი კვლებად გვაქვს დაყოფილი, სადაც დავრგეთ პომიდორისა და კომბოსტოს ჩითილები, ხახვი, ნიორი, ჭარხალი, სიმინდი. საცდელი მიწის ნაკვეთში ყოველდღე მუშაობაა გაჩაღებული.

დაკვირვების რვეულში სისტემატურად შეგვაქვს ბოსტნეულის ზრდა-განვითარების ცალკეული ეტაპები, ვატარებთ ცდებს და ა. შ.

ერთი სიტყვით, სასიხარულო შრომა ჩქეფს ჩვენს „ნორჩ ნატურალისტთა“ წრეში. რადგან თითოეულმა ვიცით, რომ ადამიანს შრომა ამშვენებს, აწრთობს, ალამაზებს.

**ნანა გიგილაშვილი,**

„ნორჩ ნატურალისტთა“ წრის რგოლების ხელმძღვანელი. ამბროლაური, ჭელიაღელის 8-წლიანი სკოლა.

## გეგუთის ლოდები

*დევს ხავსიანი გეგუთის ლოდები,*
*პირქუში დუმილით უმზერენ ცას.*
*ზარები თითქოსდა მოთქვამენ გოდებით*
*და ნანგრევთ აწვდენენ ხმას.*

*აბჯრის ჟღრიალით დგებიან რაინდნი,*
*თვალთაგან მრისხანედ აფრქვევენ*
*ცეცხლს,*
*მთვარის სხივებში ელავენ მახვილნი,*
*მდუმარე ლანდები სერავენ ველს.*

*თენდება, ვარსკვლავნი ნელ-ნელა*
*ქრებიან,*
*ყორნები მიდამოს აწვდენენ ხმას.*
*სიცოცხლის ტალღები ერთურთს*
*აწყდებიან,*
*გეგუთის ლოდები უმზერენ ცას.*

## რიონის ხეობა

*საღამოა, მზე ჩადის,*
*მკრთალდება დაფიონი,*
*ცად აზიდულ მთებს შუა*
*მიდუდუნებს რიონი.*

*ყვავილების სითეთრე*
*იკარგება წიაღში,*
*ხის პატარა ყლორტები*
*დაფრიალებს ნიავში.*

*რიონი კი, ცისფერი,*
*კვლავ მთებს ედუდუნება.*
*მართლაც რომ ლამაზია*
*საქართველოს ბუნება.*

**გიორგი კვალიაშვილი,**
**თბილისის 58-ე საშუალო სკოლის VII კლასის მოსწავლე.**

## ლაშქრობა შორეთში

გული სიხარულით ამევსო, როცა გუგული ხელმძღვანელი შემოვიდა კლასში და გამოგვიცხადა, რომ ჩვენი სკოლის კომკავშირის ორგანიზაცია და პიონერთა რაზმეული აწყობდა კომკავშირის დაბადების დღისადმი მიძღვნილ ლაშქრობას შორეთისაკენ.

15 სექტემბერს დილის 7 საათისათვის მოლაშქრეთა ჯგუფი მზად იყო გასამგზავრებლად.

შევედით სოფელ ოთაში. ყველაფერი იღვიძებდა. აქეთ ძროხა ბღაოდა, იქეთ — ცხვარი და კრავი. აქა-იქ ისმოდა ძაღლის ყეფა და მამლების მოგვიანებული ყივილი. გავცდით სოფელ ოთას. მალე შევედით ტყეში. ნამმა ფეხები გაგვილუმპა. ბევრი სიარულის შემდეგ ეკლესიაც გამოჩნდა. ყველას სიხარულით აგვევსო გული.

შორეთის ეკლესია დაახლოებით XVI საუკუნის ისტორიული ძეგლია, მდებარეობს სოფელ ოთის ჩრდილო-აღმოსავლეთით. სამხრეთიდან მოპირკეთებულია მსუბუქი, მოწითალო ფერის ქვით; შემორჩენილია ფრესკის ორი ფრაგმენტი, აქვს მინაშენი და ჩრდილოეთის მხარეს წარწერა: „გრიგოლ კათალიკოსი".

ეკლესია ორსართულიანია. ირგვლივ ტყე აკრავს. იქვე ახლოს, მაღალ კლდეზე, კოშკია. კოშკს შორეთის კოშკი ჰქვია.

დავათვალიერეთ, დავისვენეთ, ვისადილეთ და ის იყო წამოსვლას ვაპირებდით, რომ კოკისპირული წვიმა წამოვიდა, გავშალეთ კარვები და შევაფარეთ თავი.

როცა წვიმამ გადაიღო, დიდებული სურათი წარმოგვიდგა თვალწინ. ამ ლაშქრობამ კიდევ უფრო შეგვაყვარა მშობლიური კუთხე.

**დარეჯან ბერიძე,**
**ასპინძის საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლე.**

## უცხოური იუმორი

სკოლაში, ეზოს ერთ კუთხეში განცალკევებით დგას პატარა ბიჭი.

— რას აკეთებ მანდ? არ გინდა ჩვენთან ითამაშო? — უთხრეს ამხანაგებმა.

— არა, როცა ვთამაშობ, დასვენება მალე მთავრდება, — უპასუხა ბიჭმა.

— მე არ ვიცი, რა მოუვიდა ამ საათს, — უთხრა მამამ დედას — აუცილებლად უნდა წავიღო გასაწმენდად მესაათესთან.

— ოჰ, არა, მამა, ვფიქრობ, იგი სუფთაა, რადგან ამ დილით ვაბანავე, — უპასუხა პატარა მარიმ.

**ფრანგულიდან თარგმნა ჰ. იაკობიძემ,**
**ქ. ჭიათურის 1-ლი საშუალო სკოლა.**

## ჩემი უცხოელი თანატოლები

### კორეის სდრ-ს პიონერული ორგანიზაცია — „სონენდანი"

იაპონელი იმპერიალისტების უღლისაგან კორეის განთავისუფლების შემდეგ, როცა ხალხმა ახალი ცხოვრების შენება დაიწყო, კორეაში შეიქმნა პიონერული ორგანიზაცია „სონენდანი".

პიონერები ატარებენ წითელ ყელსახვევს და სამკერდე ნიშანს. სამკერდე ნიშანზე გამოსახულია სახელმწიფო დროშა, ხუთქიმიანი ვარსკვლავი და კოცონი. ეს ნიშანი თავიანთი სოციალისტური სახელმწიფოსადმი, მშრომელთა პარტიისადმი, მამებისა და უფროსი ძმების საქმისადმი ერთგულების სიმბოლოა.

მშვიდობიანი მშენებლობის სულ რაღაც ოთხი წლის მანძილზე (1946-1950 წ.წ.) პიონერულმა ორგანიზაციამ ხალხის დიდი სიყვარული დაიმსახურა. პიონერული რაზმები უფროსებს ეხმარებოდნენ მიწის რეფორმების გატარებაში, შრომობდნენ ყველგან, სადაც ქვეყანას უჭირდა.

ყუმბარების ხმამ დაარღვია კორეელი ხალხის მშვიდობიანი შრომა. ლისინმანის მთავრობამ, ამერიკელი იმპერიალისტების დახმარებით, ომი გააჩაღა მშვიდობიანი ქვეყნის წინააღმდეგ. თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დასაცავად მთელი ხალხი აღდგა. პიონერებმაც დაიჭირეს თავიანთი ადგილი: მორიგეობდნენ ჰოსპიტლებში, ეხმარებოდნენ სოფლად დარჩენილ ქალებს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში, ასუფთავებდნენ ყუმბარებით დანგრეულ სახლებსა და შარაგზებს, შეფობას უწევდნენ ფრონტელებს. ოკუპირებულ ტერიტორიაზე შეიქმნა პიონერული პარტიზანული რაზმები. კორეელი პიონერების ისტორიაში ოქროს ასოებით ჩაიწერა გმირი ბავშვების შე გენ რემისა და ცოი ენ გენის — იატაკქვეშ მომუშავე პიონერული რაზმების ხელმძღვანელთა სახელები.

ახლა კორეელი პიონერები უფროსებთან ერთად ახალ ცხოვრებას აშენებენ.



# ბაბილონის გოდოლი

მოთხრობა

გიორგი ჯინჯოლია

მხატვარი ი. სამსონაძე.

ახალგაზრდა, მაღალი, საროტანის ქალი, საფეთქლებზე თმააპარსულ, ხუჭუჭა, თავშავა ბიჭუნას ხელით ეწევა მსოფლიოში პირველი ცათამბჯენის — ბაბილონის გოდოლის კიბეზე.

— გამიშვი, ხაბიბა-დედა!

მუდარით უნდა შვილს მაჯა გამოსტაცოს დედის გაფიცხებულ, გამომხმარ თითებს და ძირს დაეშვას, მინდროზე მოკურცხლოს. ირბენს, შეუჩერებლად ირბენს, სანამ სიყვითლემორეული ევფრატის მდორე ტალღებზე არ გაიგრილებს განაკვერჩხლებულ შუბლს, სანამ არ შემოაქრება მკერდსა და მკლავებზე მოდებული ალმური.

— დღეს მსხვერპლთშეწირვის დღეა, შვილო ხაზიზუმ!..

ბაბილონურ მზისებრ ცხელია ხაბიბა-დედის ცრემლი. შავ წამწამებს მოწყვეტილი, ბროლივით გამჭვირვალე კურცხალი ნატყვიარივით აჩნდება საფეხურის მონაცრისფრო ლოდს.

— იმ ბეჭებში მოღრეცილ, ჩიფჩიფა, ქურუხა მოგვისა მეშინია, დედი!

ხუჭუჭა ბიჭი მაღლა, მეორე სართულიდან საიდუმლო კიბის კარისკენ ქშიტინ-ფრატუნით მიმავალი ქურუმისაკენ იშვერს კუპრისფერ, პატარა მარჯვენას.

— ჩუმად, შვილო ჩემო ხაზიზუმ! ის ხომ უფროსი ქურუმია — სანგაა...

— ვიცი, დედი. მას ბეროსი ჰქვია!.. — ნიშნის მოგებით აწყვეტინებს მშობელს ბიჭი.

... გოდოლს ზღვა ხალხი შემორტყმია გარს. ერთნი ქვევით, გალავნის კიდესთან, მცირე ტაძრის დაბალ ბაგინზე სწირავენ ვაცებს, ხბოებს, ქურციკებს, მეორენი მაღლა მიიწევენ, მეუფესთან ახლოს უნდა დადგნენ. ისმის არეულ-დარეული ლაპარაკი, ხმაური; უთავბოლო, გაბმული ყაყანი სულის შემხუთავია, სუნთქვის შემკვრელი, დამბნევი.

მოსულან ქალაქელები ურუქიდან, ლარსიდან, ერიდუდან, ურიდან, ქიშიდან, ოპისიდან, ადაბიდან, ლაგაშიდან, მარიდან.

აქ არიან შორეული ფინიკიიდან და პალესტინიდან მოსული ვაჭრები, ხეთები, ასურელები, ბერძენი და რომაელი მოგზაურები, ადგილობრივი ხელოსნები და, ვინ მოთვლის, კიდევ ვინ.

— საზედრისსახიან ნინურთას უნდა შემწიროთ, დედი, თუ მის ძაღლისთავა მეუღლე გულას?! ადამიანებს მაინც ჰგავდნენ თქვენი ღვთაებები, დედი!



— გაჩუმდი, ხაზიზუმ! — გაწიწმატებით ამბობს ქალი და უარყოფის ნიშნად აქეთ-იქით აქნევს წვრილკისრიან, თმაჩამოშლილ თავს. მისი თხელი, მაყვლისფერი ყურების ბიბილოებზე ხტუნვას იწყებენ ნამგალამთვარისებრი, ქათქათა ნიჟარის დიდრონი საყურეები.

— მაშ ამინდის ღვთაება ადადის, წვიმის წყლის ნაცვლად მონატრებია ჩემი სისხლი?

დედის სიტყვას როგორ გადაუვა შვილი! მშობლისადმი პატივისცემა და რიდი გამჯდარა მის ძვალსა და რბილში, თორემ ღონეს მოიკრებდა თავშავა ბიჭი, — მაჯას ქურუმთქურუმს ბეროსსაც კი გამოსტაცებდა.

— თვით ფრთოსანმა, დიდმა მარდუქმა გინება შენ, ჩემო ლამაზო შვილო, ჩემო კეთილო, ჩემო ღვთიურო ბავშვო!..

ქალის სითამამეს ქვეცნობიერად შეპარული შიში თრგუნავდა, თვალს ვერ უსწორებს შვილს, ენა ერევა, თავი უბრუის, მუხლებს არაქათი ეცლებათ, გული მარწუხში მომწყვდეულა და ფართხალებს. თითქოს მხოლოდ ახლა, ამ სიტყვებთან ერთად, პირველად შეიგრძნო მან მსხვერპლთშეწირვის ძალაც და უძლურობაც, სიდიადეც და დანაშაულებრიობაც.

— მოგვები გატყუებენ, დედი!.. — ლამის ყვირილით თქვა ბიჭმა და უცებ ხელისგული დაიჭდო ტუჩებზე, რომ უკანასკნელად ზედმეტი ტკივილი არ მიეყენებინა უსაყვარლესი ადამიანისათვის.

დანაშაულს გამოვისყიდიო, გაუნაწყენებელ თვალთა მზერას მაინც დავემშვიდობოო, — აჩქარდა ხუჭუჭა ხაზიზუმი, ერთი საფეხურით გაასწრო კიდეც ხაბიბა-დედას და ახლა, პირიქით, ის ეჯაჯგურება ფეხათრევით მომავალ საროტანა ქალს. შემდეგ ისევ მოდუნდა ბიჭი, დაფიქრებულს დიდრონი წამწამები გაუშეშდა.

„თვით ირამ, კაცთა მელეტელმა, ჭირისა და ჟამიანობის გამჩენმაც კი ვერ გამიმეტა. მან ჩემი უფროსი ძმები — ილაბუმამი და იშთარელათი არ დაინდო, ჩემთვის ხელი არც უხლია. დამტოვა, რომ ყვავილები ვრწყა დედოფალ სემირამიდას ტერასებზე დაკიდებულ ბაღებში. მე გაუთენებლივ მიცინიან სამფერა იები, ნარგიზები, გვირილები, ბაიები. ზეთისხილის ხეები ცვრიანი რტოებით მელამუნებიან სახეზე. ვარდებიც კი მოიწყენენ უჩემოდ, ფერფური მისდით, ფოთლებს ჩამოყრიან ხოლმე.

მე ხომ ყოველ დილა-საღამოს დოქით, სათლით თუ თულუხით წყალი დამაქვს. ვასხურებ, ვასხურებ, სანამ თვით თავდახრილი ბალახიც არ გაიმართება. ყვავილები ხომ სულ უზრუნველნი არიან, მაგრამ უმშვენიერესნიც“.

— მარდუქის ნება-სურვილი ურღვევია!.. — სულიერი და ფიზიკური ძალების ხმობით აჯერებს თავშავა ბიჭუნას ქალი. ის, რასაც დაბადებიდან ერწმუნება მისი გონება, როგორ შეძლებს უარყოს ასე ერთბაშად, უჯობს უწინამც ამ აღმართის დაძლევაში აღმოხდეს სული.

— ეს ხომ ქურუმთმთავრის ბეროსის ნებაა და არა ღვთის არჩევანი!

ჯიუტად ჩერდება ხაზიზუმი დედის წინ და გაკერპებული მზერით ცდილობს გული მოულბოს.

— ბეროსი ღმერთთა ღმერთის მოციქულია, ბალღო!

სქელი, შავად მბზინვარე ტუჩი უთრთის ქალს და სიტყვების დამთავრების საშუალებას არ აძლევს. ცრემლის კამკამა წვეთები ისევ ტყუპ-ტყუპად მოგორავენ მუმიასებრ შემხმარ, გაცრეცილ ლოყებზე.

— ტერასაზე მდგომმა ერთხელ შემთხვევით წყალი ვასხურე მელოტ თავზე შენს ბეროსს, დედი. განგებ არა, სრულიად შემთხვევით, და მერე არც კი ვუტიე, მეგონა, შემინდობდა. მან კი თვალი დამიბრიალა, თითი დამიქნია და დამემუქრა... მაღლა მდგომს რას დამაკლებს-მეთქი — ენის წვერი გამოვუყავი გათამამებულმა. სულ ეს იყო და ეს, მეტი არაფერი დამიშავებია. გულკეთილი მეგონა, გულღვარძლიანი კი გამოდგა. ერთი თვის შემდეგ ქუჩაში მნახა და მიცნო. მისმა ბიჭებმა ხარის ტყავის მათრახი გადამიჭირეს შიშველ ზურგზე... გაქვავებულივით დავუდექ მაშინ მათ. მინდოდა ცოდვები მომენანიებინა, ახია ჩემზე-მეთქი. მოვტყუვდი. გავქცეულიყავ მაინც. შინ მოსული ცრემლებს გიმალავდი, ზურგს გარიდებდი... თურმე სულ ამაოდ, ჩემო ხაბიბა-დედი!

ბიჭი ჭკუადამჯდარ ჭაბუკს დამსგავსებია. გუნებაში წყევლა-კრულვას უთვლის ირგვლივ მოზეიმე ბრბოს.

დღეს მაინც რა ზღვა ხალხი მოსწოლია გოდოლს, თითქოს მთელი ბაბილონი მოედინებაო აიბურ-შაბუს ქუჩიდან, რომელსაც „მარდუქის გზა“, „მარდუქის სავალი“ უწოდა დიდმა მბრძანებელმა ნაბუქოდონო — სორმა.

უფალთუფლის მარდუქის პატივსაცემად გამართული საზეიმო პროცესია სწრაფად არც არასდროს შეწყვეტილა, მაგრამ დღეს მაინც სულ სხვაა, გეგონება, დასასრული არა აქვსო. უსასრულო ტევადობისა გამხდარა თვით ქუჩაც, მისი გრილი, მოსლექილი ლოდებით გაწყობილი სავალი.

კვიპაროსებზე მაღალი ციხის შეყვითლებულ კედელთა არტახებს გვერდები შეუკრავთ ქუჩისთვის, გაუთანგავთ იგი. მგზავრს ყოველ ნაბიჯზე ხახადაღებული შემოგცქერიან ფაფარაყრილი, თვალხარბი ქვის ლომები. ისინი ლამის მოსწყდნენ კედლებს და ქვაფენილზე ისკუპონ...

პირქუშია, მრისხანეა, შიშისმომგვრელია „ლომთა გზა“. და მაინც დიადია მისი სიმკაცრე, მედიდურობა. აქ გამოივლის ამაყი მბრძანებელი, თვალთმაქცი ქუ-

რუმი, უშიშარი მხედართმთავარი, შორეული ზღვისპირეთიდან მოსული გულუბრყვილო სტუმარი თუ ადგილობრივი, ავადმყოფი მონა — ყველა, ვისთვისაც დიდია მარდუქი...

არ წყდება ადამიანთა ნაკადი. მწყობრად მოემართებიან გოდოლისაკენ. საოცარი სახილველია გოდოლი პირისპირ და უფრო განსაცვიფრებელია შორიდან. კოშკები კოშკებზე შემართულან... პირველ გიგანტზე მეორე, დიდი კოშკურა შემდგარა, ამ დიდზე კი — მომცრო, მომცროზე — უფრო პატარა, ჯერ თითქოს გიგანტებს უმეორებიათ ერთმანეთი, შემდეგ მათ „შვილებსა და შვილიშვილებს“. შვიდჯერად კასკადს მეშვიდე ცამდე აუტყორცნია უფალთუფლის, დიდი მარდუქის ტაძარი.

„აქ ყველაფერი მარდუქისაა — ქუჩაც, ტაძარიც, ჩვენი სულიც კი, — ფიქრში ტუჩებს იკვნეტს ბიჭი. — ოღონდ ჩვენ თვითონ აღარაფერი გვეკუთვნის. როცა უნდათ, საფეთქლებზე თმას გვაჭრიან, როცა უნდათ — ყურს, თუ გაუხარდებათ — თავსაც კი“.

თვალსაწიერი სადღაც შორს, უსასრულეთში ინაცვლებს. უკვე ხელისგულივით მოჩანს არა მარტო კოშკის გარუშემო, სახნის ტაფისებური ველი, არამედ, თითქმის უკიდეგანოდ გადაშლილი მთელი ბაბილონიც, ევფრატიდან ტიგროსამდე.

ხალხმრავალ მარდუქის ქუჩას თითქოს გამოჰქცევია ერთი ხვადი ლომი, მოყირჭებია მოზეიმეთა თუ მომტირალთა ღრიანცელი და განმარტოებით, ქედმაღლურად შემდგარა მცირე ბექობის დიდ კვარცხლბეკზე. საკუთარ უძლეველობაში დაჯერებული დინჯად გასცქერის ველს, სივრცეს.

მოქანდაკემ უთუოდ ღრმა აზრი ჩააქსოვა ქვაში, მაგრამ მას ნამდვილად არ უფიქრია, რომ ეს სკულპტურა უგზოუკვლოდ დაკარგული ნაბუქოდონოსორის ლომად გადაქცევის ლეგენდას ჩააგონებდა მომავალში ბაბილონელ მეზღაპრეებს.

მქანდაკებელი კი გახლდათ თავშავა ბიჭის, ხაზიზუმის მამა, სპარსელებთან ომში დაცემული მეომარი.

„მამა რომ ცოცხალი იყოს, ალბათ მომეშველებოდა, მიხსნიდა, — ფიქრობს ხუჭუჭა ბიჭი და თითქოს ლომს ემუდარება: — ლომი კი ხარ, მაგრამ რაცა ხარ, მამაჩემის გაჩენილი არა ხარ? მოდი, ერთი წუთით სული ჩაიდგი და ამაცილე ეს აღმართი. — თან ღიმილი დაჰკრავს დაძაბულ სახეზე: — ამ ბრბომ ცოცხალი ლომი ჩემს გვერდით რომ დალანდოს, თვით მარდუქის შიშიც კი ვერ დააკავებს ქურუმებს და მე თავს დავაღწევ ამ მშვენიერსა და საძულველ გოდოლს“.

შვილის დუმილი და მორჩილება უმძიმეს ტვირთად აწვება დედის გულს და უნდა, კიდევ ერთხელ სცადოს — გაამხნევოს, საბოლოოდ დააჯეროს ბიჭი მომავალ ბედნიერებაში. თვითონ ხომ ღმერთია ხაბიბა — დედის შემწე, შთამაგონებელი და დამხმარე!.. საოცარია, მაშ რად კანკალებს, რად ტირის, რად ანთხევს ცხარე ცრემლებს!.. ეჭვი?! — ეს ხომ ღვთის გმობაა, მკრეხელობა... როგორ ბედავს ამას ქალი — დედა, ქალი — მხევალი!..

გაჩუმებისთვის თავს ტუქსავს ხაბიბა-დედა და კრინტი მაინც ვეღარ დაუძრავს, შვილის საყვედურითა და მუდარით სავსე მზერა მტკიცედ უკრავს კრიჭას, თითქოს ახლა თვით ღმერთზე ძლიერი იყოს პირმშო!..

„შენ, შვილო ჩემო, დღესვე იხილავ, სად სუფევს მამა, ცისა და მიწის მეუფე, ბედისწერის განმგებელი ენლილი, თავისი ჰაეროვანი მეუღლით — ნინლილით; ნახავ ციმციმა დედაღვთაებას — ინანას. ის შენს თვალწინ ამოენთება დილით, რომ ეს ქვეყანა გაასხივოსნოს და საღამოხანს, ზესკნელის კიდით კიდემდე გზაგამოვლილი, ქვესკნელის მიღმა, პირმოსაკაზმად ჩაესვენება...



მჯერა, ჩემო კარგო ბიჭო, — შენ მწყემსთა მფარველი და მეგობარი მთვარის ღვთაება, კანონთ გამჩენის დიდი უთუსის ქალწული ნანა დაგიბარებს და დაგარიგებს, შენს ბედს რომ შემდგომ ძაღლმაც ვეღარ დაჰყეფოს, შვილო ჩემო!..“

ეს მხოლოდ საკუთარ გულში ჩურჩულებს ქალი და ეს მხოლოდ საკუთარი თავის დამშვიდებაა, უმწეობიდან, სატანჯველიდან გაქცევის ცდაა.

ამასობაში სულ უფრო და უფრო მეტ ციმციმს იწყებს გოდოლი. ღია-იისფრად მოჭიქულ აგურებს თითქოს კიდით კიდემდე ატანს სხივები და, ასე გგონია, ზღვის გულიდან ამოუთლიათო ეს გამჭვირვალე, ღრუბლებამდე ატყორცნილი კამკამა სვეტი.

მთელი გოდოლის მშვენებაა მის თავზე ჯილასებრ მდგარი, მოოქრული, მბზინვარე ტაძარი დიდი მარდუქისა. ის თითქოს სხვა საოცრებათა საოცრებაა.

„დაე, მომჭრან ყური, როგორც წესია მონათათვის, ჯანდაბას, უყუროდ ვივლი. — ნატრობს საფეთქლებზე თმააპარსული ხაზიზუმი. — ოღონდ ერთხელაც ვინებივრო მდინარის ტალღებთან ერთად. ევფრატის ქვიშაზე ერთი წუთითაც გულაღმა წოლა მირჩევნია სამოთხეს, სადაც, ალბათ, ბეროსის მსგავსი ქურუმთა ტევა აღარ არის“...

— კაჟის ნამგლით უნდა გამომღადრონ ყელი?! —

თითქოს ჩვეულებრივ ბავშვურ, გულუბრყვილო შეკითხვას იძლევა ხაზიზუმი.

— არა, შვილო!..

— მაშ, მურიანი დანა უნდა ჩამცენ გულში?! — ახლა კბილების კრაჭუნით ცრის ყოველ სიტყვას თავშავა ბიჭი, რომ ყოველ მათგანს ახლებური ძალა შემატოს, რაღაც ჯადოსნური ჩააქსოვოს.

ხელები გაჰყინვია, მზერა გაშტერებია, მხოლოდ შავად მბზინვარე, სქელი ტუჩები უცახცახებენ და შესაბრალისს ხდიან შინაგანი ტკივილებით დამანჭულ ქალის ნაზ, ვიწრონიკაპიან, მრგვალ სახეს.

— მარცვლეულის მფარველი დუმუზივით ვერ გავცოცხლდები, დედი? — ხაზიზუმის ხმაში იმედის ნაპერწკალი ღვივის, თვალებში მზის სხივი ჩაუდგება.

— ვერა, შვილო!.. — ეჭვმიუტანელი და მკაცრია განაჩენი.

— ვითომ რა დავაშავე?! — სასოწარკვეთა უკანასკნელ ღონესა და ნებისყოფას აცლის ბიჭს.

— ის ღმერთი იყო, შენ მონა ხარ — ვარდუმი; არც შუშქენუმებს განეკუთვნები — მეფის თაყვანისმცემლებსა და მათ გამორჩეულ მორჩილთ, ავილუმებზე — სრულუფლებიან ადამიანებზე რომ აღარაფერი ვთქვათ.

ეს, ალბათ, უკანასკნელი ძალის მოკრებით თქვა ქალმა და მის სულში ახალმა ეჭვმა იფეთქა მანამდე შეუგრძნობი ძალით: ვაითუ, ღმერთი, ზვარაკი... სულ სიცრუეა და მაინც საკუთარი ხელით ღუპავს საყვარელ პირმშოს!..

საფეხურებზე ემხობა მისუსტებული ქალი.

„ეჰ, ვინ დაჰყო ადამიანები სრულუფლებიანებად, თაყვანისმცემლებად და მონებად? რად დავიბადე მონად, რად არის მხევალი დედაჩემი, რად იყო მამა ვარდუმი?!“ — კითხვებს დასასრული აღარა აქვს, ზიზილი მახრჩობელად ჰქცევია და სადღაც სასასთან გასჩხერია ბიჭს.

აჰა, მერამდენედ იკრებს ძალას დედა. დგება, მაღლა, მზისებრ მბზინვარე მარდუქის ტაძრის კედელს შესცქერის თვალმოჩრდილვით.

„ო, არა, არა, ამ საოცრებას, ცისა და მიწის ქვაკუთხედს, ბაბილონელი მონები რას შექმნიდნენ, თუ არა მარად შემწე მარდუქის ძალა და ნება!“

მუხლები ოდნავ მოუმაგრდნენ, თითქოს ესეც მეუფის წყალობით... ქალი ისევ მიიწევს საფეხურიდან საფეხურზე, თუმცა ყოველი ნაბიჯი უფრო და უფრო მძიმე გადასადგმელი ხდება...

„განა ყოველღამ მთელი ბაბილონის თვალი, მისი უმშვენიერესი ასული ამ ცადატანილი ტაძრის ოქროს სარეცელზე არ ელოდება მარდუქის ჩამობრძანებას?!

განა ტყუის ამ კიბეებზე მოზღვავებული ხალხი!.. მხევალი წინ როდის გადასდგომია ღვთისა და ერის ნებას!“

ქალის გული მარწუხებს იცილებს... ნეტარებით სურს ღმერთს საჩუქარი უძღვნას. და მერე როგორი საჩუქარი!..

ხაზიზუმი მაინც იძულებულია, ვაზის პატარა ჭიგოსებრ შეუდგეს დედის არაქათგამოცლილ სხეულს. ახლა ერთადერთი ხსნა თითქოს ამ კიბის უსასრულო საფეხურების დაძლევაშია.

კიდევ ორიოდე წუთი და, ღვთის სასახლისაკენ გზას საფეთქლებაპარსული ბიჭი მარტოდ განაგრძობს.

ის ერთხელ ნახავს მარდუქის ოქროს მაგიდას, ოქროს სარეცელს და ვერავის მოუყვება მათს თვალისმომჭრელ სილამაზეზე.

ტაძრის ბრტყელი სახურავი ბაგინია... ზღუდარის გასწვრივ ნელა შემოატარებენ პატარა ხაზიზუმს ჩიფჩიფა, ქშიტინა ბერები. შემდეგ ქურუმთ ქურუმი მკლავებზე გადაიწვენს მსხვერპლად განწირულს.

... ელავს ბრინჯაოს მახვილი...

ახლა ცაც ელავს, გრუხუნით შიშის ზარსა სცემს მთელი სახნის ველს, მთელ ბაბილონს, და მეხთატეხით იმსხვრევა გოდოლის თავზე.

ბზარი უჩნდება ცათამბჯენს.

ეს ამინდის ღმერთის — ადადის რისხვააო, აუწყებენ ქურუმები შეკრებილთ და კიდევ ახალი მსხვერპლის შეწირვის აუცილებლობას ბრძანებენ.

მათი ქადაგების ხმა ხმაურ-ყაყანში იკარგება. საროტანა ქალის უგონო, გამხმარ-გაშეშებული სხეული გოდოლის საფეხურებზე მიგორავს.

... იმ დღიდან დაუწყია, თურმე, ბაბილონის გოდოლს რღვევა.

## ფრანგული იუმორი

●

მასწავლებელი ეუბნება ერთ-ერთ მოწაფეს.

— ერთი მითხარი, რა დადგება შენგან, მიშელ, თუკი სულ იტყუები?

— მეტეოროლოგი, მასწავლებელო.

●

გამომცდელი: თქვით რამე შექსპირზე. რითი იქნებოდა ის ცნობილი, დღესაც რომ ეცოცხლა?

მოსწავლე: 410 წელი შეუსრულდებოდა!

●

მასწავლებელი: პიერ, გსმენია რამე „სევილიელ დალაქზე“?

პიერი: არა, მასწავლებელო, მამაჩემი თვითონ იპარსავს პირს...

●

ფიზიკის გაკვეთილზე მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეს:

— რა განსხვავებაა ელექტრონსა და ელვას შორის.?

— ელვაში ფულს არ გვახდევინებენ, მასწავლებელო.

●

— შეხედე, დედა, როგორა ჰგავს ეს ძაღლი ძია პოლს!

— ო! მარი, როგორ შეიძლება ამგვარი რამის თქმა?!

— რატომაც არა? შენ გგონია, რომ ძაღლს რამე ესმის?

●

ქიმიის გაკვეთილი. მასწავლებელი ეკითხება პიერს:

— რას წარმოადგენს ფორმულა $H_2SO_4$?

— ახლავე ვიტყვი... ენაზე მადგას, მასწავლებელო...

— უბედურო, ამ წუთშივე გადმოაფურთხე! ეგ ხომ გოგირდმჟავაა...

●

ერთ-ერთი მოსწავლის მშობელი ეკითხება მასწავლებელს:

— რამისადმი მიდრეკილება ხომ არ შეგიმჩნევიათ ჩემი ბავშვისათვის?

— როგორ არა, მადამ დიუპონ, ვატყობ, ავიაცია უნდა იტაცებდეს, გაკვეთილებზე სულ ცაში დაფრინავს.

ფრანგულიდან თარგმნა ბ. ლოლაძემ.



## ყოჩაღლობა, ბავშვებო!

# ღერძზე აძვლა და ბაგირზე ცოცვა

ეს ვარჯიშები კარგად ავითარებს კუნთებს, განსაკუთრებით ხელების კუნთებს. მშთ-ს კომპლექსის საფეხურების ჩაბარებისას ღერძზე აძვლას აკეთებენ ბიჭები, ხოლო ბაგირზე ფეხების დახმარებით ცოცვას — გოგოები.

ღერძს ზემოდან უნდა ჩასჭიდო ხელი, მკლავებგამართული ჩამოეკიდო და დაიწყო აძვლა. ვარჯიში მაშინ ჩაითვლება, როცა ნიკაპი ღერძის ზედა ხაზს გადაკვეთს. აძვლის დროს ფეხები აქეთ-იქით არ უნდა აქნიო, თორემ მოძრაობაში შეგიშლის ხელს და ზედმეტ ენერგიას დახარჯავ.

ბაგირზე ცოცვისას სამი ფაზა არის შესასრულებელი. საჭიროა ბაგირს რაც შეიძლება მაღლა ჩაჰკიდო ხელი, ზედ ჩამოეკიდო, შემდეგ ფეხები შემოაჭდო. ფეხებს რომ გამართავ, ხელები მოხარე, შემდეგ, რიგ-რიგობით, ხან ერთი ხელი ააყოლე ფეხების მოძრაობას, ხან მეორე. ცოცვის სიმაღლე იქიდან იზომება, საიდანაც ცოცვას იწყებ, ე. ი. სადაც პირველად მოჰკიდებ ბაგირს ხელს.

აი ზოგიერთი ვარჯიში, რომელიც ბაგირზე ცოცვის ათვისებაში შეგიწყობს ხელს:

1. ფეხის თითები მოხარე და ისე გაიარ-გამოიარე.

2. ჩოგბურთის ბურთი ფეხის თითებში მოამწყვდიე და გაიარ-გამოიარე.

3. გააკეთე ისე, როგორც მეორე ვარჯიშშია მითითებული, ოღონდ, ახლა 10-15-ჯერ ბურთიანად შეხტი.

4. იატაკზე დაჯექი და ჩოგბურთის ბურთი ტერფებით გააჩერე და რაც შეიძლება მაღლა ააგდე.

5. სკამზე დაჯექი, ფეხის ტერფებით ჯოხი დაიჭირე და აქეთ-იქით აქანავე.

6. იატაკიდან 20-30 სმ სიმაღლეზე მაგარი თოკი გააბი. დაწექი, თოკს ხელები ჩასჭიდე და ხელების გადაადგილებით ბოლომდე გაცოცდი (ფეხები არ უნდა დაიხმარო).

7. ამ ვარჯიშს კი ორნი აკეთებენ. თოკს ერთმა ერთ ბოლოში უნდა ჩაავლოს ხელი, მეორემ — მეორე ბოლოში და გასწიონ. გამარჯვებული ის იქნება, ვინც პარტნიორს ფეხს მოაცვლევინებს.

ბოლო ორი ვარჯიში მარტო მკლავებისა კი არა, ხელის თითების ძალის გასავითარებლადაც არის საჭირო.

მკლავის ძალის გასაზრდელად ბიჭებმა დამატებით შემდეგი ვარჯიშები უნდა შეასრულონ:

1. ვარჯიშს ორნი ასრულებენ. ერთი პირდაღმა უნდა დაწვეს და იატაკს იდაყვებში მოხრილი ხელებით დაეყრდნოს. მეწყვილემ ფეხები უნდა აუწიოს, თვითონ მკლავებს დაეყრდნოს და ხელებით გაიაროს.

2. პირისპირ დადექით, ოდნავ შებრუნდით მარცხნივ. მარჯვენა ხელები ერთმანეთს ჩაავლეთ და შეეცადეთ მოწინააღმდეგეს ხელი გადაუწიოთ. შემდეგ ეს ვარჯიში მეორე ხელით გააკეთეთ.

3. პირისპირ დადექით, ოდნავ შებრუნდით მარცხნივ. მკერდის სიმაღლეზე ერთმანეთს ხელისგულებით მიეყრდენით და ხან ერთი გამართეთ, ხან მეორე (ერთმანეთს წინააღმდეგობა უნდა გაუწიოთ).

4. პირისპირ დადექით, ერთ-ერთმა ხელები უნდა გაშალოს, მეორემ ამ გაშლილ ხელებს თავისი ხელები უნდა დაადოს და მთელი ძალით დააწვეს. ხელები რომ ჩამოეშვება, ისევ გამართვა უნდა დაიწყოს, მეწყვილემ კი ახლა გამართვაში უნდა შეუშალოს ხელი.

5. მკლავების ძალის გასავითარებლად კარგია აგრეთვე იატაკიდან აძვლა, (ოღონდ წელი გამართული უნდა გქონდეთ.).

6. კარგია აგრეთვე ჰანტელებით და რეზინით ვარჯიში.

ერთსაც და მეორესაც მოძრაობათა უსაზღვრო საშუალება აქვთ.





ეროვნული ბიბლიოთეკა

# ავტომანქანები გვირაბში

აუცილებელი არ არის მთაწმინდიდან გადმოხედო ჩვენს დედაქალაქს, რომ დარწმუნდე, როგორ გაიზარდა იგი ბოლო დროს. მტკვრის ვიწრო ხეობაში გაწოლილი თბილისი ახლა ავჭალასთან იწყება და ლოჭინის ხევთან მთავრდება (გაიხსენეთ ი. ჭავჭავაძის „სარჩობელაზედ“. კახეთიდან ქალაქისაკენ მომავალი მეურმეების ღამისგასათევ ადგილზე — ლოჭინში — დღეს თბილისის ერთ-ერთი მასივი შენდება). ურმებისა და ეტლებისათვის გათვალისწინებული, უფრო მეტად კი სტიქიურად განაშენიანებული ქალაქის ქუჩები დღეს ველარ იტევს მოზღვავებულ ტრანსპორტს. განსაკუთრებით უჭირთ ძველ უბნებს. აბა, თვითონ განსაჯეთ: მეტეხისა და 26 კომისრის რაიონის მიდამოებში ფაქტიურად ორი სიგრძივი მაგისტრალია — ერთია მარცხენა ნაწილში ბარათაშვილის აღმართი — ხეთაგუროვის ქუჩა (რომელიც დედაქალაქის ცენტრს ინდუსტრიულ საქარხნო რაიონთან, აეროპორტთან, კახეთის რაიონებთან აკავშირებს), მეორე — გორგასლის ქუჩა (რომლითაც ქალაქი ფონიჭალას, რუსთავს, მარნეულისა და ბოლნისის რაიონებს, სომხეთისა და აზერბაიჯანის რესპუბლიკებს უკავშირდება).

მარცხენა სანაპიროს თითქმის ერთადერთი მძლავრი არტერია — სანაპირო — მეტეხის ციხესთან კლდეს ებჯინება, მეტეხის ხიდზე მარჯვნივ უხვევს და ინტენსიური მოძრაობით ისედაც გადატვირთულ გორგასლის ქუჩას ერწყმის.

კარგა ხანია დაიბადა აზრი, რომ ეს მაგისტრალი გაგრძელებულიყო. მაგრამ როგორ? მეტეხიდან მოყოლებული ვიდრე ორთაჭალჰესამდე მტკვარს პიტალო კლდე და ზედ კოხტად შესკუპული აივნიანი სახლების ლამაზი ანსამბლი მიჰყვება.

ასეთი კლდის დანგრევა ბარბაროსობას უდრიდა. არც მის გასწვრივ ესტაკადის გამართვა იქნებოდა მიზანშეწონილი, რადგან ძველი თბილისის ამ შესანიშნავ უბანს თავის კოლორიტს დაუკარგავდა. ბოლოს გადაწყდა კლდის ქვეშ გვირაბი გაეყვანათ. და აი უკვე რამდენიმე წელიწადია კლდის ქანებს ერკინებიან გვირაბგამყვანები. გვირაბები უკვე გაჭრილია. (როცა ამ ჟურნალს მიიღებთ, იმ დროისათვის, ალბათ, უკვე მანქანები იგრიალებენ გვირაბებში). ორი პარალელური გვირაბი მეტეხის ციხესთან შედის კლდეში და ორთაჭალჰესის მიდამოებში გამოდის სამზეოზე. იქ 180-მეტრიანი ხიდი — აკვედური გაკეთდება. შემდეგ ისევ სანაპირო და, ასე გავა ახალი მაგისტრალი ჰესამდე. ერთი გვირაბის სიგრძე 808 მეტრია, მეორისა — 757. გვირაბის სიმაღლე 6 მეტრი და 40 სანტიმეტრია, სიგანე — 9 მეტრი და 35 სანტიმეტრი. გვირაბის პორტალები მოპირკეთდება ჭივჭავას (თეთრიწყაროს რაიონი) ლამაზი ტუფით.

გვირაბში მეტად ინტენსიური მოძრაობაა მოსალოდნელი. ამიტომ მანქანების ნაქშენმა აირებმა იქაურობა რომ არ მოწამლოს, გვირაბების შუაწელში მძლავრი ჰაერსასრუტები იქნება დამონტაჟებული, ავტომანქანები ერთ გვირაბში მარცხნივ იმოძრავებენ, მეორე გვირაბში — მარჯვნივ. ასე რომ, ტრანსპორტი ერთმანეთს არ შეხვდება და მოძრაობა არ დაბრკოლდება. საავტომობილო გზას გვერდით, ფეხით მოსიარულეთათვისაც გაჰყვება შემაღლებული ბილიკი.

ასეთი იქნება ერთ-ერთი საინტერესო ნაგებობა ჩვენს ქალაქში — საავტომობილო გვირაბი მეტეხქვეშ. იგი დიდად განტვირთავს ქალაქის ამ ნაწილს ავტომანქანებისაგან. კეთილმოეწყობა აგრეთვე გვირაბის მისადგომები, რიყის უბანი და ორთაჭალჰესის მიდამოები.

ზ. ლეშკაშელი.

# ლონდონიდან ინდოეთისაკენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანდრე კარბელაშვილი

ანტიკური დროიდან გადიოდა საქართველოზე დიდი სავაჭრო-სატრანზიტო გზა, რომლითაც ინდოეთიდან და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებიდან დასავლეთში გაჰქონდათ საქონელი კასპიის ზღვის შემოვლით, ან მასზე გავლით, მტკვრისა და რიონის გამოყენებით და ბოლოს ფოთის ნავსადგურის მეშვეობით.

სახელოვანი ქართველი მეცნიერი ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა: „საქართველოზე გადიოდა ის განთქმული გზაც, რომელიც პირკანის ზღვით, შემდეგ ალბანიით, მერე იბერიაში მტკვრით და კოლხეთში იმ დროს ფაზისად წოდებული რიონით შავ ზღვაში მდებარე ქ. ფოთის ნავსადგურთან თავდებოდა, რომ აქედან უკვე ზღვით წაეღოთ საქონელი. ინდოეთის სავაჭრო ნაწარმოები საბერძნეთსა და სხვა ქვეყნებში სწორედ ამ გზით გაჰქონდათ ხოლმე“.

საქართველოსა და ინდოეთს შორის სავაჭრო ურთიერთობას დიდი ყურადღება ექცეოდა უძველესი დროიდან. ამის შესახებ XIX საუკუნის ქართული პრესის ფურცლებზე არაერთი მასალა დაიბეჭდა.

ქართველ ვაჭრებსა და მრეწველებს ინდოეთში არაერთხელ უმოგზაურიათ. XVIII საუკუნეში კალკუტასა და მადრასში ქართული და სომხური ქარვასლებიც დაარსებულა, რამაც ხელი შეუწყო ურთიერთობის გაღრმავებას საქართველოსა და ინდოეთს შორის. საქართველოდან ინდოეთში ჩასულ სამეფო ელჩებს დიდი პატივით ხვდებოდნენ იქ მყოფი ვაჭრები და ქართველი კათოლიკეები.

საქართველოს ინდოეთთან ურთიერთობას ხელს უწყობდა საქართველოს, როგორც შემაერთებელი ხიდის ხელსაყრელი სატრანზიტო მდებარეობა ევროპასა და ინდოეთს შორის.

ამ მხრივ საყურადღებოა ქართლის მეფის ვახტანგ V (შაჰ-ნავაზის) მოსაზრება. ინდოეთში საქართველოზე გავლით მყოფ ფრანგ ჟან შარდენს ვახტანგ V ატყობინებდა — „ევროპელები ინდოეთში მისვლა-მოსვლისთვის ვერ იპოვიან ჩემს სახელმწიფოზე უკეთეს გზას. გარწმუნებთ, თუ ერთხელ სცადეს ამ გზაზე წასვლა, მეორედ სხვა გზას აღარ დაადგებიან...“

შეიძლება პირდაპირ ითქვას, სწორედ ამ მდგომარეობამ განაპირობა საქართველოს ტერიტორიაზე ევროპა-ინდოეთის ტელეგრაფის ხაზის მშენებლობა (მსოფლიოში ამ უმნიშვნელოვანესი სატელეგრაფო მაგისტრალის მშენებლობის საკითხი 1867 წელს წამოიჭრა).

... ნავსადგურში მრავალ ჟურნალისტსა დ კორესპონდენტს მოეყარა თავი. ისინი მოუთმენლად ელოდნენ ვ. სიმენსის გამოჩენას, რომელიც ინგლისიდან კავკასიაში მოემგზავრებოდა.

ვ. სიმენსი, მართალია საკმაოდ ცნობილი პიროვნება იყო, მაგრამ აქ მოსულთ აინტერესებდათ „ნილის“ გამომგზავრების კონკრეტული მიზანი, თუმცა წინასწარ ყველამ იცოდა, გემს წყალქვეშა კაბელი უნდა ჩამოეტანა ინგლისიდან შავ ზღვაში.

ვ. სიმენსი ჟურნალისტებით სავსე ოთახში რამდენიმე ინჟინრისა და გემის კაპიტნის თანხლებით შემოვიდა. იგი კარგ ხასიათზე იყო. თავაზიანად მიესალმა ყველას და ხელით მიუთითა გრძელ სკამებზე ჩამომსხდარიყვნენ, რომლებიც აქ საგანგებოდ დაედგათ.

— ვიცი, რომ მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში და, კერძოდ, ინგლისში განსაკუთრებულ ინტერესს იჩენენ „ნილის“ დღევანდელი გამგზავრებისადმი, მართლაც, სწორედ ამ გემის დახმარებით უნდა გადაწყდეს ყველაზე რთული ტექნიკური ამოცანა — შავ ზღვაში წყალქვეშა ტელეგრაფის კაბელის ჩადება. თუ ეს სამუშაო წარმატებით დამთავრდა, იმედი უნდა ვიქონიოთ, 1870 წლის დამდეგს ექსპლუატაციაში შევა მსოფლიოში ყველაზე გრძელი ტელეგრაფის ხაზი, რომელიც წარმოუდგენლად დააახლოებს ერთმანეთთან ინდოეთსა და ევროპას.

ვ. სიმენსმა რამდენიმე საინტერესო მაგალითი მოიყვანა იმის შესახებ, თუ როგორ გაადვილდებოდა ამბების გადაცემა ლონდონიდან ბომბეიში და, პირიქით. შემდეგ მან შეკითხვებზე პასუხი გასცა.

— რატომ გადაწყვიტეთ წყალქვეშა კაბელის ჩადება შავ ზღვაში, განა არ შეიძლებოდა ტელეგრაფის ხაზის გაგრძელება ეკატერინოდარიდან სოხუმისაკენ ზღვის სანაპიროს გაყოლებით?

— ეს შეუძლებელია გაუვალი ტყეების გამო! კაბელის ზღვაში ჩადება უფრო იაფი ჯდება, ვიდრე ტყეების გაჩეხვა.

— დიახ, გარდა იმისა, რომ გაძლიერებულია კაბელის ჯავშანი, მასში გარეულია მომწამვლელი ნივთიერებები, რომლებიც ზღვის ორგანიზმებს საშუალებას არ მისცემენ დაღრღნან კაბელი. ორსავე ტრიუმში კაბელები დაფარულია ზღვის წყლით, რათა ტროპიკულ ადგილებში გავლის დროს სიცხემ არ გაალღოს გუტაპერჩი, რომელსაც კაბელის კონსტრუქცია შეიცავს.

— როდის ფიქრობთ სოხუმში ჩასვლას?

— ჩემი აზრით, იქ 20 ივნისისათვის ვიქნებით. სოხუმში რუსეთის გემი „ყაზბეგი“ შეგვხვდება. სწორედ ეს გემი გვიჩვენებს კაბელის ზღვაში ჩადების ტრასას.

— ინდოეთისკენ ტელეგრაფის ხაზის მშენებლობას ზოგჯერ ამერიკასა და ინგლისს შორის ტრანსატლანტიკური კაბელის ჩადებას ადარებენ სირთულითა და გრანდიოზულობით. ხომ არ არის ეს გაზვიადებული მოსაზრება?

— არა მგონია.

ვ. სიმენსმა საათს დახედა. გამგზავრების დრო მოახლოებულიყო. მან მადლობა გადაუხადა დამსწრეთ იმ ყურადღებისათვის, რაც „ნილის“ გამგზავრების მიმართ გამოიჩინეს, შენობიდან გამოვიდა და აჩქარებული ნაბიჯით გემისკენ გაემართა.

ინდოეთ-ევროპის ხაზის მშენებლობის ყველაზე რთულ უბანს კავკასიის ტერიტორია წარმოადგენდა. ამიტომაც ინჟინრებმა გულმოდგინედ შეისწავლეს ხაზის გაყვანის ყველაზე ხელსაყრელი ვარიანტები და საბოლოოდ დადგინდა ხაზის ტრასა, რომელიც, მშენებელთა აზრით, ყველაზე იოლი და საიმედო იყო, როგორც მასალების გადაზიდვის, ისე ტელეგრაფის შემდგომი ექსპლუატაციის თვალსაზრისით. აბა, ყურადღებით წარმოიდგინეთ ქვევით მოყვანილი ადგილები, მხარეები და ქალაქები.

ლონდონიდან ჩრდილოეთის ზღვაში ჩადებული კაბელით ტელეგრაფის ხაზი უნდა მოსულიყო ემდენამდე, გაევლო ბერლინზე, ვარშავაზე, ოდესაზე და ქერჩისათვის მიეღწია. ყირიმიდან, კერძოდ, ენიკალედან, წყალქვეშა კაბელი უნდა ჩაედოთ ქერჩის სრუტეში 12 ვერსის მანძილზე. შემდგომ, სახმელეთო საჰაერო ხაზი საფოსტო გზის გასწვრივ თემრიუკს აღწევდა, გაივლიდა ეკატერინოდარს (კრასნოდარს) და სამხრეთისაკენ უხვევდა, მდინარე პშებშს მიჰყვებოდა ძალზე გაუვალი გზით შავი ზღვის სანაპიროსაკენ. აქ, მდინარე დჟუბას შესართავიდან კაბელი კვლავ ზღვაში ჩაიდებოდა და მიაღწევდა ადლერის კონცხამდე.

ადლერის კონცხიდან ტელეგრაფის ხაზი მდინარე ბზიფზე გადადიოდა, ოდნავ შორდებოდა სანაპიროს და ბომბორს აღწევდა. შემდეგ სოხუმ-კალე, მდინარე კოდორი, ილორი, ზუგდიდი, აქედან ტელეგრაფი მიჰყვებოდა ფოთ-თბილისის მშენებარე რკინიგზას და მასთან ერთად ქუთაისიდან 6 მილის დაშორებით გადადიოდა მდინარე რიონზე (ყვირილას შესართავის ოდნავ ზევით). შორაპნიდან ხაზს უნდა გაევლო ხადგურ მლეთამდე და გადასულიყო სურამის უღელტეხილზე.

აქედან ხაზი გადიოდა ტრასით — ხაშური, მცხეთა, თბილისი, დილიჟანი, ერევანი, ნახჩევანი, ჯულფა. ჯულფიდან ტელეგრაფი გადიოდა მდინარე არაქსზე და მიემართებოდა თეირანისკენ მარონდის, თავრიზის, სენჟანის, ვაზვილის გავლით. თეირანიდან სპარსეთის ყურისკენ მიემართებოდა და ბუგირს აღწევდა. აქედან ყარაჩი და ბოლოს ბომბეი, ასეთი იყო ტელეგრაფის უკანასკნელი უბანი.

საკმარისია რუკაზე თვალი გავაყოლოთ ამ ტრასას, რომ დავრწმუნდეთ, რა გრანდიოზული სამუშაოები იყო ჩასატარებელი.

ინდოეთ-ევროპის ტელეგრაფის მშენებლობის დაწყებისთანავე განსაკუთრებული ყურადღება მიექცა იმას, რომ დროულად მიეტანათ სათანადო მასალები ტელეგრაფის ტრასის ყველა უბანზე. რასაკვირველია, მათ შორის სპარსეთსა და ამიერ-კავკასიაში, რომლებიც საკმაოდ დიდი მანძილით იყვნენ დაშორებული ლონდონიდან და ბერლი-



ინდოეთის ტელეგრაფის ბოძი თბილისის მიდამოებში.






ვ. სიმენსი.

ნიდან, საიდანაც უნდა ჩამოეტანათ ტელეგრაფის სადგურებისათვის საჭირო მოწყობილობა და ბოძები.

...ლონდონიდან გამოსული „ნილი" სოხუმის ნავსადგურს უახლოვდებოდა.

— ალბათ უცხოელები ჩამოდიან.

— რაღაც სამგზავრო გემს არ უნდა ჰგავდეს.

— აბა, მაშ აქ რა უნდა ხატვირთო გემს, ფოთში შევიდოდა, თუმცა ვინ იცის...

მითქმა-მოთქმა არ წყდებოდა სოხუმის სანაპიროზე.

მალე ყველა დარწმუნდა, რომ გემზე არც მგზავრები იყვნენ და არც ტვირთის გადმოცლას აპირებდნენ. „ნილი" ნავსადგურში შევიდა, ჩვეულებრივ ღუზა ჩაუშვა და „სიცოცხლის ნიშანსაც" არ ამჟღავნებდა.

რასაკვირველია, სოხუმელებმა მაშინ არ იცოდნენ, რომ გემბანზე გამოსული სიმენსი ინტერესით გასცქეროდა მწვანეში ჩაფლულ ქალაქს და ზოგჯერ რაღაცას გადაულაპარაკებდა ახლომდგომ თანამგზავრებს. იქნებ ეს იყო პირველი შთაბეჭდილებები, ან უბრალოდ ზღვაში დაწყებული საუბრის გაგრძელება.

„ნილზე" მყოფი სიმენსი ერთხანს ყურადღებით ათვალიერებდა სოხუმს, მას არ გამოეპარა ნავსადგურში გაჩერებული რუსეთის გემი. ინდოეთ-ევროპის ტელეგრაფის კავკასიის განყოფილების უფროსს ინჟინერ გელცერს მიუბრუნდა და ჰკითხა:

— ეს გემი ჩვენ ხომ არ გველოდება?

— დიახ, გემი „ყაზბეგი" აქ 3 დღის წინათ ჩამოვიდა და ჩვენ გველოდება.

— აბა, საბოლოოდ მოვითათბიროთ ყველაფერი. სთხოვეთ „ყაზბეგის" კაპიტანს.

შავი ზღვის სანაპიროების რუკა გაშალეს კაპიტნის კაიუტაში.

როცა ყველა საკითხი შეთანხმდა, გადაწყდა, დაუყოვნებლივ შესდგომოდნენ სამუშაოებს.

6 დღის განმავლობაში გრძელდებოდა ინდოეთ-ევროპის ტელეგრაფისათვის განკუთვნილი კაბელის ჩადება შავ ზღვაში. აი, სოჭიც გამოჩნდა და სიმენსს მოახსენეს: „კაბელი უკვე თავდება და საჭიროა გემის შეჩერებაო". ტელეგრაფის კაბელი სოჭის მახლობლად ამოიტანეს სანაპიროზე.

კმაყოფილი დარჩა გამომგონებელი წყალქვეშა კაბელის ზღვაში ჩადებით. მან გემზე მყოფთ მიულოცა სამუშაოს დასრულება და სოხუმის გავლით ინგლისის სანაპიროებისკენ გამგზავრების განკარგულება გასცა.

„ნილი" და „ყაზბეგი" საყვირებით დაემშვიდობნენ ერთმანეთს.

ასე დასრულდა ინდოეთ-ევროპის ტელეგრაფის ყველაზე რთული სამუშაო და 30 ივლისს პეტერბურგში მიიღეს შავი ზღვის სანაპიროებიდან გაგზავნილი დეპეშა: „ინდოეთ-ევროპის ტელეგრაფის ხაზის შავი ზღვის წყალქვეშა კაბელი დეუბასა და ადლერის კონცხს შორის წარმატებით ჩაიდო ზღვის ფსკერზე".

1869 წლის დამლევისათვის საქართველოში ინდოეთ-ევროპის ტელეგრაფი მზად იყო ექსპლუატაციაში გადასაცემად.

გაზეთმა „კავკაზმა" 1869 წლის 10 დეკემბერს თავის მკითხველებს აუწყა: „სარწმუნო წყაროებიდან ცნობილი გახდა, რომ ამ თვეში მუშაობას დაიწყებს ინდოეთ-ევროპის ტელეგრაფი. ინდოეთ-ევროპის ტელეგრაფის გახსნა თბილისში განზრახულია აღინიშნოს დიდი ბანკეტით".

მართლაც, 1870 წლის 11 იანვარს ინდოეთ-ევროპის ხაზის მშენებლებმა ზეიმი მოაწყეს, რომელსაც თბილისის საზოგადოების ბევრი წარმომადგენელი დაესწრო.

●

რა მნიშვნელობა ჰქონდა ინდოეთ-ევროპის ტელეგრაფს საქართველოსათვის? უპირველესად საქართველოდან ინდოეთში და ინდოეთიდან საქართველოზე გავლით ასობით დეპეშამ დაიწყო „მოგზაურობა" და ისე სწრაფად, როგორც არასდროს.

ინდოეთ-ევროპის ტელეგრაფის ექსპლუატაციაში გადაცემამ თითქმის მთლიანად განტვირთა თბილის-მცხეთა-სტავროპოლ-პეტერბურგის ტელეგრაფის ხაზი ეგრეთ წოდებული „ინდური" დეპეშებისაგან, რომლებიც ევროპიდან ინდოეთში იგზავნებოდა და ხშირად აფერხებდა რუსეთსა და საქართველოს შორის დეპეშების გაცვლას.

განსაკუთრებით სასარგებლო აღმოჩნდა საქართველოსათვის შავ ზღვაში ჩადებულ კაბელში მესამე სადენის გამოყენება შინაგანი დეპეშებისათვის. საქმე ის არის, რომ კავკასია რუსეთის სატელეგრაფო ქსელთან შეერთებული იყო მხოლოდ ერთი — თბილის-მცხეთა-სტავროპოლის მიმართულებით. ეს ხაზი ხშირად ზიანდებოდა კავკასიონის უღელტეხილზე და გარდა ამისა, ძალზე გადატვირთული იყო. ამიტომ შავ ზღვაში ჩადებულ წყალქვეშა კაბელში მესამე სადენმა იმის რეალური საშუალება შექმნა, რომ კავკასიისა და, კერძოდ საქართველოს სატელეგრაფო ქსელი შეერთებულიყო რუსეთის სატელეგრაფო ქსელთან თბილის-ფოთ-კრასნოდარ-ქერჩის მიმართულებითაც. ამან აგრეთვე მკვეთრად გააადვილა დეპეშების გაცვლა თბილისსა და თეირანს შორის, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სატრანზიტო ვაჭრობის განვითარებისათვის ამიერკავკასიაში.

გარდა ამისა, უახლოესი ტექნიკის გამოყენებამ, ტელეგრაფის სადგურების აგებამ საქართველოს ცალკეულ კუთხეებში, ცხადია, დაინტერესება გამოიწვია სატელეგრაფო

საქმისადმი, განსაკუთრებით ახალგაზრდობას შორის.

ინდოეთის ტელეგრაფის ხაზი, რომელიც ერთი საუკუნის წინათ შევიდა ექსპლუატაციაში, დღესაც შერჩა საქართველოს ბევრ ადგილს. ამიტომაც ჩვენმა თაობამ კარგად იცის ამ ხაზის არსებობა, მხოლოდ თუ რა ისტორია ჰქონდა მას, ეს უცნობია, რადგან ამ საკითხზე ჩვენთან არ გამოსულა რაიმე პოპულარული ან ტექნიკური ლიტერატურა.

ინდოეთ-ევროპის ტელეგრაფიდან სადღეისოდ საქართველოში გვხვდება უმეტესად ამ ტელეგრაფის რკინის დაბალი ბოძები, რომელთა ნაწილს გერმანული წარწერა აქვს გაკეთებული „სიმენს ლონდონ". ეს ბოძები ჩამოიტანეს ლონდონიდან 1869 წლის დასაწყისში. ბოძები ჯერ კიდევ დგას ტრასაზე გაგრის, სოხუმის, გორის, კასპის, ხაშურისა და უფრო ნაკლებ თბილისის მიდამოებში: ინდოეთ-ევროპის ტელეგრაფის სადგურების შენობებია გაგრაში, სოხუმში, ზუგდიდში, თბილისში.

ინდოეთ-ევროპის ტელეგრაფის ხაზი ისტორიაში სამუდამოდ დარჩება, როგორც ყველაზე გრძელი ტრანსკონტინენტური სახმელეთო ხაზი მსოფლიოში.

●

... საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში ბუნებისმეტყველებისა და ტექნიკის ისტორიკოსთა პირველი სამეცნიერო კონფერენცია ტარდებოდა. როცა ერთ-ერთმა მომხსენებელმა გამოსვლა დაამთავრა და მას დამსწრენი შეკითხვებს აძლევდნენ ინდოეთ-ევროპის ტელეგრაფის შესახებ, სიტყვა პროფესორმა რუსუდან ნიკოლაძემ ითხოვა.

მან ინდოეთ-ევროპის ტელეგრაფთან დაკავშირებული ერთი ეპიზოდი გაიხსენა:

ნიკო ნიკოლაძეს (რუსუდან ნიკოლაძის მამას) პეტერბურგიდან აკაკი წერეთლისთვის დეპეშა გამოეგზავნა. მერე, როცა თბილისში ჩამოსულა, აკაკისთვის უკითხავს: თუ იცი, დეპეშა როგორ მიიღეთ?

აკაკის გაჰკვირვებია, როგორ და თბილის-პეტერბურგის ტელეგრაფით.

— არა, ეს დეპეშა ინდოეთ-ევროპის ტელეგრაფით გადმოიცა საქართველოში. ჯერ ლონდონში მოხვდა, მერე კი თბილისში!

უნდა ვიფიქროთ, რომ პეტერბურგ-თბილისის ტელეგრაფი ამ პერიოდში დაზიანებულ იიყო და ტელეგრაფის მოხელეებმა შემოვლითი გზით გამოგზავნეს ნიკო ნიკოლაძის დეპეშა საქართველოში, ჯერ ლონდონში გადასცეს და იქიდან კი პირდაპირ თბილისში ინდოეთ-ევროპის ტელეგრაფით.

ასეთი იყო მსოფლიოში ყველაზე გრძელი სახმელეთო ტელეგრაფის ხაზის მოკლე ისტორია, იმ ტელეგრაფისა, რომელმაც თბილისზე გავლით ჩვენი პლანეტის მრავალი მხარე დააკავშირა ერთმანეთთან და 1870 წლიდან 1931 წლამდე მოქმედებდა საქართველოში.




ინდო-ევროპის ტელეგრაფის საათი, რომელიც 1870 წლიდან დღემდე მუშაობს.

# „წრე" ინდოეთის ოკეანეში

დედამიწაზე ჯერ კიდევ ბევრი საიდუმლო თუ ფენომენია, რომელთა ბუნება მეცნიერულად დასაბუთებული და ახსნილი არ არის (ერთ-ერთ მსგავს პრობლემაზე „პიონერმა" უკვე გიამბოთ 1975 წლის მარტის ნომერში).

ასეთ საიდუმლოებათა რიცხვს მიეკუთვნება მანათობელი წრე ინდოეთის ოკეანეში.

1880 წლის იანვრის უმთვარო ღამეს ინგლისის გემი „შაჰინშაჰი" ამ ოკეანის აღმოსავლეთ ნაწილში მიცურავდა. მოულოდნელად კაპიტანმა რ. ჰარიმ და ყველამ, ვინც გემბანზე იმ დროს იმყოფებოდა, ოკეანის ზედაპირზე უცნაური მანათობელი წრე შენიშნეს. კაპიტანი გულადი კაცი იყო და გემი პირდაპირ წრისაკენ გააქანა. როგორც კი გემის ცხვირმა წრე გადაკვეთა, გემი რიტმულმა შუქმა გაანათა და რაღაცნაირ გამჭვირვალე სიბნელეში მოექცა.

სხვათა შორის, ამ შემთხვევამდე ერთი წლით ადრე, ჰიდროგრაფმა და ბრიტანეთის სამეფო საზოგადოების წევრმა კაპიტანმა ევანსმა სავახტო ჟურნალში ჩაინიშნა: „22 საათია, ღამეა, ცა ვარსკვლავებით არის მოჭედილი. გავგზავნეთ მეთვალთვალე ანძაზე და იმანაც დაადასტურა, რომ შუქი ოკეანიდან მოდის და ირხევაო. მარცხენა გემბანიდან ეს შუქი უზარმაზარ მოძრავ რგოლსა ჰგავს, მარჯვნიდანაც ასეა, ოღონდ საწინააღმდეგო მიმართულებით მოძრაობს". ევანსმა განსაზღვრა მოძრაობის სისწრაფე — 130 კილომეტრი საათში.

1908 წელს გემ „კონსელერის" სავახტო შტურმანმა დ. ტერნერმა ჟურნალში შეიტანა, რომ ხომალდი სიამის ყურეში იმყოფებოდა, როცა გვერდით ჩაუარა მანათობელ, მბრუ-




## ბოსტნეული და ფსიქიკა

ნორვეგიელი მეცნიერი ოლაფ ლინდსტრემი სწავლობს ბოსტნეულის გავლენას ადამიანის ფსიქიკაზე. ამ პროფესორის მტკიცებით, სალათი მუსიკალურობას ანვითარებს, პრასა — ლოგიკურ აზროვნებას, სტაფილო და ისპანახი სევდიან განწყობილებაზე აყენებენ ადამიანს, კარტოფილი დამამშვიდებლად მოქმედებს.

## კალციუმი და კოსმოსი

კოსმოსურ ხომალდში დიდხანს ყოფნისას ადამიანის ძვლები ძალზე ბევრ კალციუმს კარგავს — ასეთ დასკვნამდე მივიდნენ ამერიკელი ექიმები, რომლებმაც გამოიკვლიეს კოსმონავტები კოსმოსური სადგურის „სკაილების" დედამიწაზე დაბრუნების შემდეგ. კოსმოსში ერთი თვის ყოფნის დროს ეკიპაჟის წევრებმა დაკარგეს კალციუმის სამიდან ოთხამდე პროცენტი, რადგან უწონობის პირობებში ძვლებს არ ჰქონიათ რაიმე დატვირთვა.

მეცნიერთა აზრით, მარსზე გაფრენა წელიწადნახევრიდან სამ წელიწადამდე გასტანს. ამ ხნის მანძილზე კალციუმის დანაკარგი ესოდენ მნიშვნელოვანი იქნება, რომ კოსმონავტებს ფეხები მაკარონივით დაუწვრილდებათ. ასე რომ, სანამ არ გამოიძებნება ისეთი საშუალება, რომელიც აანაზღაურებს ძვლებში კალციუმის დანაკარგს, მზის სისტემის სხვა პლანეტებზე ადამიანის გაფრენა სრულებით გამორიცხულია.

## მიმიკისა და ჟესტების ესპერანტო

ჟესტების ენა, რომლის საშუალებითაც ყრუ-მუნჯები ერთმანეთს „ელაპარაკებიან", თითქმის ყველა ქვეყანაში არსებობს და ყველგან თავისებურია. ამას წინათ ყრუ-მუნჯთა საერთაშორისო კავშირმა დაიწყო ინტერნაციონალური ენის შემუშავება. თავდაპირველად ამ ენაში შევა 1500 სიტყვა — ისეთები, რომლებსაც ყველაზე ხშირად ხმარობენ საერთაშორისო შეხვედრების დროს, ყრუ-მუნჯების სწავლებისათვის გამოიცემა ილუსტრირებული ლექსიკონები, რომლებშიაც თითოეული ნიშანი ერთი ან რამდენიმე ილუსტრაციით იქნება განმარტებული.

## იქ სადაც ქიმია უძლური აღმოჩნდა

ამერიკის შეერთებული შტატების სამხრეთში ძალზე მომრავლდა წყალმცენარეები. ზოგიერთ ტბას ისე მოედო ისინი, რომ შეიძლებოდა წყლის ზედაპირზე ისე გასულიყავით, არ ჩაიძირებოდით. აშშ-ს სოფლის მეურნეობის სამინისტრო 20 წლის განმავლობაში ყოველწლიურად ოთხ მილიონ დოლარს ხარჯავდა ჰერბიციდების — სარეველა მცენარეთა მომსპობი ქიმიური ნივთი-

ნავ წრეს. წრეხაზის სიგანე ოცდაათ მეტრამდე იყო.

ეს მოვლენა ინდოეთის ოკეანეში 1957, 1961 წლებშიც, ხოლო 1967 წელს სამჯერ შეამჩნიეს, ყველამ დაინახა მოძრავი, მანათობელი წრე, ერთხელ ეს წრე ჰაერშიც დაინახეს — „წრემ ძირს დაიწია და ზღვის წრეს შეერწყა".

მეცნიერები ამ წრეების ბუნების ახსნას მანათობელი მიკროორგანიზმების თავმოყრით ცდილობდნენ. მაგრამ თუ ასეა, მაშინ რა აიძულებთ მიკროორგანიზმებს დიდ წრედ შეიკრან და ასეთი სისწრაფით იტრიალონ?

1902 წელს „ფორტ სოლსბერის" კაპიტანმა ჰაიბერმა მანათობელი წრის გავლისას ოკეანის ზედაპირზე „გრძელი შავი სხეული" შენიშნა. როგორც კი „ფორტ სოლსბერიმ" გეზი მისკენ აიღო, იგი იმ წამსვე მორევში შთაინთქა. რა იყო ეს?

მეზღვაურებმა გარემოებათა ერთი დამთხვევა შეამჩნიეს: მანათობელი წრეების რაიონებში იშვიათად როდი ხდება უცნაური კატასტროფები. სწორედ ამ რაიონში იპოვეს ხომალდები დახოცილი ეკიპაჟებით; 1884 წელს, პორტუგალიის ბრიგი „სანტა მარია", ცოტა მოგვიანებით გემი „აბი ს. ჰარტი", „ჰოლჩუ" და სხვა.

1880 წელს ინგლისის გემ „პანტას" ოფიცრებმა ოკეანის დასავლეთ ნაწილში ორი მანათობელი წრე დაინახეს, მეზღვაურებმა მათი დიამეტრი 600 მეტრით, ხოლო ბრუნვის სისწრაფე საათში 160 კილომეტრით განსაზღვრეს.

საფრანგეთის ჟურნალ „სეანს ე ვიშში" ამას წინათ გამოქვეყნებული მასალებით, მხოლოდ უკანასკნელ ათი წლის მანძილზე მოძრავი მანათობელი წრეები ბარე 50-ჯერ მაინც შეამჩნიეს. ამასთან, ყველა მნახველი ერთ მოსაზრებამდე მიდის: წრეები ოკეანის სიღრმიდან ჩნდებიან, სწრაფად ბრუნავენ, თითქოს ოკეანის სიღრმეში ჩამალულ რაღაც იდუმალ არსებას ემორჩილებიანო.

ჯერჯერობით ამ მოვლენას თანამედროვე ხელსაწყოებით შეიარაღებული მეცნიერები არ წასწყდომიან. ასე რომ, დღესდღეობით ფენომენი ამოუხსნელი რჩება და თუ მის შე-

# მეცნიერების გადაუჭრელი პრობლემები

სასწავლად ექსპედიცია გაემართება, იგი ისეთ მდგომარეობაში ჩავარდება, როგორშიც ჟიულ ვერნის რომანის „80000" კილომეტრი წყალქვეშ" გემის „ავრაამ ლინკოლნის" ეკიპაჟი აღმოჩნდა. მით უმეტეს, რომ მწერლის მოგონილი „ნაუტილუსი" ბოლოს მაინც დაენახა ხალხს, ხოლო მანათობელი წრეებისაგან ამის მოლოდინი ამაოა. ასეა თუ ისე, ფრანგული ჟურნალი მოუწოდებს მეცნიერებს, დაინტერესდნენ ამ მოვლენით და ამოიცნონ მისი საიდუმლო.

„ნედელიადან"

---

1. ფენომენი — იშვიათი, უჩვეულო, განსაკუთრებული მოვლენა.

---

ერებების შესაძენად. მაგრამ ყველაფერი ამაო იყო. მაშინ გადაწყვიტეს ენტომოლოგთა ჯგუფი გაეგზავნათ ამ სარეველების სამშობლოში — სამხრეთ ამერიკაში. იქ მეცნიერებმა აღმოაჩინეს პაწაწინა ხოჭო, რომელიც სიამოვნებით შეექცეოდა სარეველებს. ფლორიდის შტატის ერთ-ერთ მდინარეში გაუშვეს 267 ხოჭო და თექვსმეტი თვის შემდეგ უკვე შესაძლებელი გახდა მდინარეზე ნაოსნობა. ამჟამად ათობით მილიონი ხოჭო წარმატებით მუშაობს წყალმცენარეებისაგან ტბების გასაწმენდად.

## „დათარსულ" მოედანზე

ჩრდილოეთ იტალიის ქალაქ ბორგოზეზიაში არსებობს ფეხბურთის კლუბი, რომელსაც ხელმძღვანელობს ადგილობრივი მდიდარი, მეტად ღვთისმოშიში და ცრუმორწმუნე კაცი. ბორგოზეზიულ ფეხბურთელთა გუნდს უცნაური რამ სჭირს: სტუმრად ზედიზედ იგებს, შინ კი სულ აგებს. კლუბის ხელმძღვანელმა იფიქრა: ეტყობა, ჩვენი სტადიონი ვიღაცამ დათარსაო. მან, თავისი



პკუით, გამოსავალი იპოვა: მოედნის შუაგულში ეშმაკის ფიტული დადგეს, რომლის გარშემოც ბლომად ფიჩხი დაახვავეს. მოიწვიეს მღვდელი — სატანასთან ცნობილი მებრძოლი, ეფექტური შემლოცველი. ილოცეს, მოედანს ნაკურთხი წყალი მოასხურეს და ფიჩხს ცეცხლი წაუკიდეს. ეშმაკი დაიწვა. საზეიმო ცერემონიისა და შელოცვების შემდეგ დაიწყო სტუმარ ფეხბურთელებთან მატჩი და ბორგოზეზიელებმა საზეიმოდ... წააგეს.

მაყურებლებმა დაასკვნეს: ჩანს, თვითონ მღვდელი იყო ეშმაკთან წილნაყარიო.

## სულ იზრდება

მსოფლიოს ყველა ორთოპედი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ქალის ფეხის ზომა განუწყვეტლივ იზრდება. სულ უფრო იშვიათად გვხვდება 35-38 ზომის ფეხსაცმელი. ფრანგი და თურქი ქალები საშუალოდ 39 ზომის ფეხსაცმელს იცვამენ, შვედები და ინგლისელები — 40-ს, დანიელები — 41-ს. ყველაზე დიდი ფეხები აქვთ ამერიკელ ქალებს — საშუალოდ 42 ზომა.

## ნადირობა ასფალტზე

პოლიციის სტატისტიკის თანახმად, ავსტრიაში ყველაზე „იღბლიანი" მონადირეები არიან ავტომობილის მძღოლები. ავტოსტრადებსა და სოფლის გზებზე თავიანთი მანქანების რადიატორებითა და ბორბლებით შარშან მათ დახოცეს 30 500 კურდღელი, 27 000 შველი, 10 700 ხოხობი და 3 000 კაკაბი. საავტომობილო გზების გასწვრივ მდებარე ტყეებში ფრინველ-ნადირის რაოდენობა მკვეთრად შემცირდა.

## ნუ წერ!

უზნეო შინაარსის რომანებით დასავლეთის ბურჟუაზიულ ქვეყნებში ვერავის გააკვირვებ. მაგრამ ზოგჯერ ხელისუფალთა მოთმინების ფიალაც ივსება ხოლმე. აი, მაგალითად, რა მოხდა ესპანეთის ქალაქ კორდოვაში. ამ ქალაქის სასამართლომ გაარჩია მწერალ თომას ხოვედოს მორიგი რომანი. რომანის შინაარსმა სასამართლოს წევრები აღაშფოთა. განაჩენი სწრაფად იქნა გამოტანილი — წიგნის მთელი ტირაჟი უნდა მოსპობილიყო, ერთი ეგზემპლარი კი ავტორს საჯაროდ უნდა შეეჭამა ცენტრალურ მოედანზე.

განაჩენი დაახლოებით ასე აღსრულდა: „ჯალათმა" მოზრდილ წიგნს ჯერ ყდა მოაძრო, შემდეგ თითო ფურცელს აწვდიდა მთხზველს. პირველ დღეს ავტორმა წიგნის მხოლოდ ნახევარი დაღეჭა და გადაყლაპა, მეორე დღეს ნახევარიც ვერ შეჭამა, მესამე დღისთვისაც დარჩა საუზმედ. ხელისუფლებმა ბოლო ეტაპზე შეიცოდეს ხოვედო: ნება დართეს მურაბიანი ჩაი დაელია, სასჯელის მოხდის შემდეგ კი სასაქმებელი მიიღო.





# მოხუცი და ბრძენი

გ. ჩიტაიშვილი

მხატვარი ჯ. ჭანიშვილი.

იგავი

ერთმა კაცმა მთელი თავისი ცხოვრება წიგნების კითხვაში გაატარა და ხალხმა ყველაფრის ცოდნის გამო ბრძენი უწოდა.

ყველა მოწიწებით ეპყრობოდა.

ერთ დღეს მოხუცმა ქალაქგარეთ გაისეირნა. თვალი მოჰკრა განცალკევებით მდგარ ფარდულს. ფარდულში ხელოსანი თიხისაგან სხვადასხვა ფორმის ჭურჭელს ძერწავდა. სწავლაში დაბერებულს მანამდე არსად ენახა ამგვარი სახელოსნო. დაინტერესდა, მექოთნეს მთელი დღე არ მოშორებია. გულისყურით აკვირდებოდა ყოველ მის მოქმედებას. ბოლოს, გამომშვიდობებისას უთხრა:

— იქნება მეც შემასწავლოთ თქვენი ხელობა?

მექოთნემ ცერად შეხედა:

— დამცინით?

— სრულიადაც არა!

— აბა რა საკადრისია თქვენთვის ამ ხელობის სწავლა, რაში გამოგადგებათ?

მოხუცმა პასუხის ნაცვლად თხოვნა გაუმეორა და გასამრჯელოსაც დაჰპირდა.

მექოთნემ იფიქრა: „რას ვკარგავ? თუ თვითონ არ ეზარება ტალახის ზელა, მე რა მენაღვლება? პირიქით, შრომას გამინახევრებს და გასამრჯელოსაც მივიღებ“.

მეორე დღეს მოხუცი ადრე გამოცხადდა სახელოსნოში, ოსტატის მიბაძვით სახელოები იდლიამდე დაიკაპიწა. შეუდგა თიხის ზელას.

მთელ ქალაქს მოედო ეს ამბავი:

— საწყალი ბერიკაცი, ბევრმა სწავლამ გამოაჩერჩეტაო — ამბობდნენ მასზე. — პატივისცემის ნაცვლად ახლა აშკარა დაცინვა დაუწყეს.

მოხუცი ყურადღებას არ აქცევდა მათ ნათქვამს.

დღეები დღეებს მისდევდა. მექოთნე შეგირდით კმაყოფილი იყო. მოსწონდა მისი სიბეჯითე, უნარიანობა.

ძველ დროში ადამიანის ცხოვრება მეტად მძიმე და აფორიაქებული იყო. არავინ იცოდა: ღამით თავს რომ დასდებდა, იმავე სასთუმალზე თუ გამოიღვიძებდა. მთელი ქვეყანა მაბეზღარებით იყო სავსე. უდანაშაულო ხალხს ციხეებში ყრიდნენ, ან შორეულ ქვეყანაში ასახლებდნენ.

და აი რამდენიმე კაცს, მათ შორის მოხუც ბრძენსაც რაღაც მიზეზი გამოუძებნეს და გადაასახლეს.

უკაცურ ადგილზე დაყარეს უბედურნი.

მდინარისპირად, თიხნარში გამოჭრილი მღვიმეები იპოვეს და დაბინავდნენ. მაგრამ არსებობისათვის მარტო ბინა არ კმაროდა. საჭირო იყო საზრდო-სანოვაგე.

მოშორებით სოფელი მოჩანდა.

— ლუკმაპური მაინც ვითხოვოთ, — თქვეს დამშეულებმა და სოფელს ლასლასით მიაშურეს. მოხუცი მღვიმეში დატოვეს დარაჯად.

სამათხოვროდ წასულნი მოსულიერებულნი დაბრუნდნენ და შინ დარჩენილსაც საჭმლის ნარჩენი მოუტანეს.

მოხუცი ჭამას რომ მორჩა, იკითხა:

— სოფელში რა ხალხი ცხოვრობს? როგორი ზნე-ჩვეულება აქვთ?

— სასმელსა და საჭმელს ხის ჯამებით მიირთმევენ, — მიუგეს იმათ და დასძინეს: მართალია, ჯამებს გულდაგულ რეცხავენ, მაგრამ მაინც ისეთი სუნი ასდის, დამშეულებსაც გულზე წამოგვაზიდა.

მოხუცს იმ ღამით თვალი არ მოუხუჭავს. თავისთვის რაღაცას ჩურჩულებდა.

მეორე დღეს, ვინ ტყეში გააგზავნა შეშისათვის, ვის თიხის თხრა და წყლის ზიდვა დააკისრა. თვითონ კი სახელოები დაიკაპიწა და თიხის უზარმაზარი ცომი დააგუნდავა.

გახურდა მუშაობა.

ხუთიოდე დღეში რამდენიმე სხვადასხვა ფორმის ჭურჭელი გამოძერწეს, გამოწვეს და სოფელში წაიღეს ქირნახულზე გადასაცვლელად.

მალე მდინარის პირად ნამდვილი ქარხანა გაიმართა. მათ ნახელავ ჭურჭელს შორის გაუვარდა სახელი. გადასახლებულნი მღვიმეებიდან გამოვიდნენ, მიწის ზემოთ დაიდგეს სახლები და ადამიანური ცხოვრება დაიწყეს.

ერთ დღეს, როდესაც მდიდრულ სუფრას უსხდნენ ყველანი და დროს ატარებდნენ, მოხუცს უთხრეს:

— აი, რა სულელები ვიყავით ჩვენ თვითონ მაშინ, როცა მექოთნესთან შეგირდობის გამო დაგცინოდით. რა გვეშველებოდა აქ, თქვენ რომ ეგ ხელობა არ გესწავლათ?

— შიმშილით დავიხოცებოდით, — შესძახეს ერთხმად.

— დიახ, სწავლა კაცს თურმე სიკვდილამდე არ მოსჭარბებია — თქვეს და მოხუცი ბრძენის სადღეგრძელო ძირამდე შესვეს.



## ახალი წიგნები

# ჰომეროსი ოდისეა

შვიდი ქალაქი იჩემებდა ძველ საბერძნეთში ჰომეროსის მშობლიური ქალაქის სახელს — სმირნა, როდოსი, კოლიფონი, სალამანი, ქიოსი, არგოსი, ათენი. მაგრამ ჩვენს დროში აზრი დაკარგა ამ დავამ: დღეს ჰომეროსი თანაბრად ეკუთვნის არა მარტო ამ ძველ ქალაქებსა და სრულიად საბერძნეთს, არამედ მთელ ცივილიზებულ მსოფლიოს, — წერენ მთარგმნელები და მართლაც ძნელია მსოფლიო ლიტერატურაში მოიძებნოს მეორე მწერალი, რომელსაც ესოდენი პოპულარობა მოეპოვებინოს. იგი თანაბრად და სავსებით ეკუთვნის ყოველ ხანას კაცობრიობის ცხოვრებისას.

დიდი ბერძენი პოეტი ჰომეროსი ჩვენს ერამდე IX საუკუნეში მოღვაწეობდა. დღესდღეობით ჩვენამდე სრულად არის მოღწეული მისი მხოლოდ ორი ნაწარმოები „ილიადა“ და „ოდისეა“.

არ მოგიყვებით ამ წიგნის შინაარსს, ეს, ალბათ, ყოველმა თქვენგანმა იცის ისტორიის სახელმძღვანელოდან, გეტყვით მხოლოდ, რომ „ილიადა“ ტროადის ცნობილი ათწლიანი ომის ამბებს ეხება. ხოლო „ოდისეაში“ ტროას ომის ერთ-ერთი გმირის ოდისევსის სამშობლოსაკენ მოგზაურობა, ამ გზაზე გადატანილი უამრავი ფათერაკისა და გასაჭირის ამბავია მოთხრობილი.

„ოდისეა“ სიუჟეტურად ძალზე დაძაბული და ამდენად საკითხავად მეტად მიმზიდველია, მაგრამ წიგნის მთავარი ღირსება შორს სცილდება ერთი წაკითხვით გამოწვეულ ემოციურ ეფექტს. „ოდისეა“ ეს არის ამბავი მრავალტანჯული ადამიანისა, რომელიც ილტვის გაარკვიოს თავისი პიროვნული დამოკიდებულება ადამიანისადმი, ომისადმი, ცისა და დედამიწისადმი. მოყვასისა და სტუმრის მაღალი ჰუმანური მცნება თავიდან ბოლომდე გასდევს „ოდისეას“. კაცობრიობის აზროვნების გარიჟრაჟზე დაბადებულმა ამ წიგნის ჰუმანისტურმა იდეებმა დიდი როლი შეასრულა მსოფლიოს ყველა ხალხის ლიტერატურის განვითარებაში.




როგორც ცნობილია, ჰომეროსის ქმნილებები ლექსად არის დაწერილი; ზ. კიკნაძემ და თ. ჩხენკელმა „ოდისეა“ პროზაულად თარგმნეს, მაგრამ ამით დედნისეული ბრწყინვალება სულაც არ მოჰკლებია მას. თარგმანი შესრულებულია დიდებული ქართულით, უხვად არის გამოყენებული ქართული ენის უმდიდრესი ლექსიკა, მრავალფეროვანი სინტაქსი.

ბავშვებო, წაიკითხეთ ეს წიგნი, იგი საოცარ სამყაროში გამოგზაურებთ, ბევრ რამეზე ჩაგაფიქრებთ, დიდ სიამოვნებას განგაცდევინებთ.




ველოსიპედების უმეტესობას ღია ჯაჭვი აქვს. სატერფულის ტრიალისას შიგ შარვლის ტოტი ეტნევა ხოლმე (განსაკუთრებით სახიფათოა, დღეს რომ მოდაშია, ისეთი ფართოტოტებიანი შარვალი). ველოსიპედს ღერძებზე ლითონის ასეთი სამაგრი გაუკეთე და იგი შარვლის ტოტს ჯაჭვამდე აღარ მიუშვებს.

ჩვენ ხშირად გვქონია საუბარი იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა ჩამაგრდეს ესა თუ ის საგანი ბეტონის კედელში. ვინც ის რჩევა-დარიგება დაიხსომა, ბარემ ესეც მიუმატოს: თუ ბეტონის კედელზე მსუბუქი რაიმე (ვთქვათ, თხელი ფარდა) გინდა ჩამოჰკიდო და კედელი ლურსმანს არ იმაგრებს, გამოძებნე კბილის საწმენდი პასტის ტუბის ხუფი და კედელზე რეზინის წებოთი მიამაგრე. მანამდე ტუბს ნახვრეტი გაუკეთე, შიგ ლარი ან წვრილი ბაწარი გაუყარე. და ზედ რაც გნებავს ის ჩამოჰკიდე.

ძველი მოდელების მაცივრებს კარზე ბუდეები არ გააჩნია, რაც კონსტრუქტორებს გამორჩათ, შენ შეგიძლია გამოასწორო. საპნის შესანახი პლასტმასის პატარა თაროები შეიძინე, ამ თაროების კარზე მიმაგრება კი სულ იოლი საქმეა.

ლითონის ფურცელში თუ ელექტრომავთულის გატარება გინდა და ხელთ საიზოლაციო ზონარი არა გაქვს, აიღე ბოთლის პოლიეთილენის საცობი, ჩასვი ფურცელში გაჭრილ არეში და მავთული შიგ გაატარე.

თუ გსურს შეინახო საღებავი ან რომელიმე ქიმიური რეაქტორი და თან ჭურჭლის მოსვრა არ გინდა, ჭურჭელში პოლიეთილენის პარკი ჩააფინე და ხსნარი შემდეგ ჩაასხი. პარკს თავი ძაფით ან საათთიაქო რეზინით მოუკარი.














## სარჩევი

მესხიშვილი გ. — ამორძალები ქართლის ზვრებში (ნარკვევი) . . . გარეკ. . . . . 1
ვარაზანაშვილი გ. — სიმართლის გზა (მოთხრობა) . 4
ფურცხვანიძე ა. — კოსმოსისაკენ (წერილი) . . 7
მარიჯანი — პიონერის სურვილები (ლექსი) . . 9
მიდელაური მ. — ომში დაკარგული ბიძის ხსოვნას; გაზაფხულის საზრუნავი; ტყისადმი (ლექსები) 9
დარელი ჯ. — ჩემი ოჯახი და ცხოველები (ნაწყვეტი წიგნიდან. დასასრული) . . . . . 10
ბურლაკი ვ. — მქონდეს სამშობლო (ნარკვევი) . 15
აისი . . . . . . . . . . 18
შენი უცხოელი თანატოლები . . 19
ჯინჯოლია გ. — ბაბილონის გოდოლი (მოთხრობა) 20
უცხოური იუმორი . . . . . . 23
ყურადღება, სტარტზე! . . . . . . 24
ლეშკაშელი ზ. — გვირაბი მეტეხქვეშ (წერილი) . 25
კარბელაშვილი ა. — ესტაფეტა ინდოეთისაკენ (წერილი) . . . . . . . . . 26
„წრე“ ინდოეთის ოკეანეში (წერილი) . 28
ჯადოსნური სარკე . . . . . . 28
ჩიტაიშვილი გ. — მოხუცი ბრძენი (იგავი) . . 30
ახალი წიგნები . . . . . . . 31
საზრიანის ხელში . . . . . . 32
ცხრაკლიტული . . . გარეკ. . . 3

გარეკანის მხატვრობა ედუარდ ამბოკაძისა.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

მთავარი რედაქტორი ბაბულია შელია.

სარედაქციო კოლეგია: დოდო ვადაჭკორია, ზურაბ ლეშკაშელი (პ/მგ. მდივანი), ზურაბ ლომიძე, მარიჯანი, გაიოზ ფოცხიშვილი (მხატვარი-რედაქტორი), გიორგი ქლიბაძე, ნოდარ შამანაძე, სიმონ შამფრიანი, ლევან ჩიქვანაია, ზურაბ ჭუმბურიძე.

ჩვენი მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14.
ტელეფონები: რედაქტორის—93-97-05
93-31-81
პ/მგ. მდივნის 93-97-03 93-53-05
განყოფილებების—93-97-02
93-97-01

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი ლენინის ქ. № 14.
«ПИОНЕРИ», на грузинском языке. Издательство ЦК КП Грузии
Типография изд-ва ЦК КП Грузии. Тбилиси, ул. Ленина № 14.
გადაეცა ასაწყობად 11/VIII-75 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 3/X-75 წ. ქაღალდის ფორმატი $60 \times 90^{1}/_{8}$. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 4,19.
შეკვ. № 3088. ტირ. 140.875. უე 12672.

ფასი 20 კაპიკი

 © „პიონერი“, 1975 წ.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეცნობებათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კ რ ო ს ვ ო რ დ ი





### შარადა

ციმბირში რომ მდინარეა,
გვინდა მისი სახელი,
ოღონდ ბოლო ორი ბგერა
სწრაფად გამოკელი.
მეორე კი ქალაქია,
რაჭის მთებში ჩასმული,
ის მთლიანად პირველ სიტყვას
უნდა ჰქონდეს დართული.
გარეული ფრინველია,
ახლა ისიც გვჭირდება,
მისი წინა მარცვლისაგან
სიტყვა აიკინძება.
შეაერთეთ ყველა ერთად,
გახლავთ დიდი პოეტი,
მისი ლექსის შნო და მადლი
გვაგონდება ყოველთვის.

ნ. ნასუაშვილი.

**თარაზულად:** 2 მუსიკალური საკრავი; 4. ხილი; 7. ფრინველი; 9. გარეული ცხოველი; 11. საქართველოს ერთ-ერთი რაიონი; 12. საქართველოს ერთ-ერთი კუთხე; 13. საერთაშორისო პიონერული ბანაკი; 14. ქალაქი ევროპაში; 15. ჭურჭლის წონა; 16. ბუნების სტიქიური მოვლენა; 18. XVIII საუკუნის ესპანელი მხატვარი; 20. სოფელი ქართლში; 21. ფრანგი მწერალი: 22. სოფელი აჭარაში; 24. სოფელი ყვარლის რაიონში; 26. საომარი იარაღი ძველად; 29. მსხვილი სისხლძარღვი; 31. აფრიკული ცხოველის თავის ნაწილი; 34. ტაძარი საქართველოში; 35. მხატვრულ თავისებურებათა ერთობლიობა; 37. სუბტროპიკული მცენარე; 38. ზღვა სსრკ-ში; 40. სუბტროპიკული მცენარე; 41. ჭურჭლის სახეობა კუთხურად; 44. ასოთა რიგი; 46. საქაპანე საქონლის დღისა და ღამის მწყემსი; 47. შავი ზღვის კურორტი; 48. სპორტული თამაშის დროის მონაკვეთი; 50. სამუსიკო საკრავი; 51. ტბა საქართველოში;

**შვეულად:** 1. გერმანელი მწერალი; 3. სოფელი გარდაბნის რაიონში; 5. რაფიელ ერისთავის მშობლიური სოფელი; 6. ვოლგოგრადის ძველი სახელწოდება; 8. შავი ზღვის ერთ-ერთი ნავსადგური; 10. მედიცინის მუშაკი; 15. ქალის სახელი; 17. ქალაქი სსრკ-ში; 19. დაბა ქართლში; 20. რევოლუციური გაზეთი; 21. ვალის წინდი; 23. მამაკაცის სახელი; 25. ერთხმიანი სიმღერა; 27. ოლქი ესპანეთში; 30. ნივთიერების უწვრილესი ნაწილაკი; 32. ქართული ლიტერატურული ჟურნალი; 33. გამოჩენილი ქართველი პოეტის სახელი; 34. ლითონის რკალი; 36. ავსტრიელი კომპოზიტორი; 38. შესვენება თეატრში; 39. რაჭაში გავრცელებული გვარი; 43. სახელმწიფო აფრიკაში; 45. სამეფო კარიდან წარგზავნილთა ჯგუფი; 48. მწერი; 49. მოწინააღმდეგე მხარე; 52. სახელმწიფო მოღვაწის მოგზაურობის დიპლომატიური ტერმინი.

გია ნანობაშვილი,
თბილისის 126-ე საშუალო სკოლის IV კლასის მოსწავლე.

ნათელა ნანობაშვილი,
სიღნაღის რაიონი, სოფელ ვაქირის საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლე.

### პასუხი № 9-ში მოთავსებულ „სხრაკლიტულზე“

**გამოცანები**

ბროწეული; საათი; დღე და ღამე; ყაყაჩო; აბრეშუმის ჭია; ენა.

**შარადა**

ვენახი.

**კ რ ო ს ვ ო რ დ ი**

**თარაზულად:** 2. სინგაპური; 4. ყვავი; 5. მეხი; 6. ერგი; 9. ბირნი; 10. გენია; 15. ალუბალი; 16. ვაისი; 18. ბაირალი; 19. კრატერი; 22. დაგომეა; 24. იანძი; 25. ასურეთი; 27. ილიონი; 29. ლორდი; 32. სვია; 33. კალა; 34. ვარნა; 35. ინდონეზია.

**შვეულად:** 1. კანადა; 2. სომხეთი; 3. იმერეთი; 7. მუმუ; 8. ლენა; 9. ბულგარეთი; 11. ანარქისტი; 12. ჩაი; 13. ნიუტონი; 14. სიო; 16. ვარდი; 17. იარდი; 20. ოდა; 21. ბია; 23. გემი; 26. ენდო; 28 ლეგიონი; 30. დედაენა; 31. ტირანა.



ИНДЕКС 76157